# კათოლიკე ეკლესიის კალენდარი

## წელი უფლისა

# 2016

*ითარგმნა და იბეჭდება*
*მეუფე ჯუზეპე პაზოტოს*
*ლოცვა–კურთხევით*

კავკასიის ლათინ კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრაცია

# წმიდა წერილის წიგნთა სახელების შემოკლებანი

## ძველი აღთქმა

დაბ – დაბადება
გამ – გამოსვლა
ლევ – ლევიანნი
რიცხ – რიცხვნი
რჯლ – მეორე რჯული
იესო – იესო ნავეს ძე
მსჯ – მსაჯულნი
რუთ – რუთი
1მეფ – პირველი მეფეთა
2მეფ – მეორე მეფეთა
3მეფ – მესამე მეფეთა
4მეფ – მეოთხე მეფეთა
1ნეშტ – პირველი ნეშტთა
2ნეშტ – მეორე ნეშტთა
1ეზრ – პირველი ეზრა
ნეემ – ნეემია
ესთ – ესთერი
იობ – იობი
ფს – ფსალმუნნი
იგ – იგავნი სოლომონისა
ეკლ – ეკლესიასტე
ქებ – ქებათა-ქება
ეს – ესაია წინასწარმ.
იერ – იერემია წინასწარმ.
გოდ – გოდება იერემიასი
ეზეკ – ეზეკიელ წინასწარმ.
დან – დანიელ წინასწარმ.
ოს – ოსია წინასწარმ.
იოელ – იოელ წინასწარმ.
ამ – ამოს წინასწარმ.
აბდ – აბდია წინასწარმ.
იონ – იონა წინასწარმ.
მიქ – მიქა წინასწარმ.
ნაუმ – ნაუმ წინასწარმ.
აბაკ – აბაკუმ წინასწარმ.
სოფ – სოფონია წინასწარმ.
ანგ – ანგია წინასწარმ.
ზაქ – ზაქარია წინასწარმ.
მალ – მალაქია წინასწარმ.
1მაკ – პირველი მაკაბელთა
2მაკ – მეორე მაკაბელთა
3მაკ – მესამე მაკაბელთა
4მაკ – მეოთხე მაკაბელთა
ბარ – ბარუქ წინასწარმ.
2ეზრ – მეორე ეზრა
3ეზრ – მესამე ეზრა
ივდ – ივდითი
ეპ. იერ. – ეპისტოლე იერემიასი
სიბრძ – წიგნი სიბრძნისა
ზირ – სიბრძნე ზირაქისა
ტობ – ტობითი

## ახალი აღთქმა

მთ – მათეს სახარება
მარ – მარკოზის სახარება
ლკ – ლუკას სახარება
იო – იოანეს სახარება
საქ – საქმე მოციქულთა
რომ – რომაელთა მიმართ
1კორ – 1 კორინთელთა
2კორ – 2 კორინთელთა
გალ – გალატელთა
ეფ – ეფესელთა მიმართ
ფლპ – ფილიპელთა
კოლ – კოლასელთა
1თეს – 1 თესალონიკელთა
2თეს – 2 თესალონიკელთა
1ტიმ – 1 ტიმოთეს მიმართ
2ტიმ – 2 ტიმოთეს მიმართ
ტიტ – ტიტეს მიმართ
ფლმ – ფილიმონისადმი
ებრ – ებრაელთა მიმართ
იაკ – წმ. იაკობის წერილი
1პეტ – წმ. პეტრეს I წერ.
2პეტ – წმ. პეტრეს II წერ.
1იო – წმ. იოანეს I წერილი
2იო – წმ. იოანეს II წერ.
3იო – წმ. იოანეს III წერ.
იუდ – წმ. იუდას წერილი
გამოცხ – გამოცხადება

# I იანვარი

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა დდ, [ს], თ

(19.XII) წმ. ღირსი გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა ხახულელნი

## 2016 პარასკევი

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

**მარიამმა კი ჩაიმარხა ყოველი სიტყვა და ჩაიდო ისინი გულში** ლკ 2,19

მარიამ, იესოს დედაო, შენ შეგვეწევი შენი მაგალითით, ვიცხოვროთ მისთვის და მასში: ჩვენც ჩავიმარხავთ გულში ყოველივეს, რაც მას ეხება, მის სიტყვასა და მისი ცხოვრების მოვლენათა ხსოვნას. შენ გვასწავლი მთელი გულით მის შეყვარებას.

მარიამ, ხორცშესხმული ღვთის დედავ,
ილოცე ჩვენთვის!

# 2 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

წმ. ბასილ დიდი (†379) და წმ. გრიგოლ ნაზიანზელი (†390), ეპ. და მოძ. (მ)

2016 შაბათი

Iიო 2,22-28; ფს 97; იო 1,19-28

## შვილებო, დარჩით მასში Iიო 2,28

ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ზოგიერთი ,,ცრუ ძმები‘‘ ანგრევდნენ საკრებულოს რწმენას და უარყოფდნენ, რომ იესო ქრისტეა, ღმერთისაგან საკუთარ ძედ მოვლენილი. წმ. იოანე მხურვალედ მოუხმობს ქრისტიანებს, დარჩნენ იმ მოძღვრებაში, რაც უსწავლიათ, მაშინაც, როცა ძნელია ეს. დღითი დღე ჩვენც შევინახავთ ერთგულებას, რათა ,,მართალნი‘‘ აღმოვჩნდეთ იესოს დაბრუნებისას.

# 3 იანვარი

II კვირადღე შობის შემდეგ, «გ», [II], თ

2016 კვირა

ზირ 24,1-4.8-12; ფს 147; ეფ 1,3-6.15-18; იო 1,1-18

## ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება იო 1,14

წმიდა იოანეს, სხვა მოციქულებთან ერთად შეუძლია დაამოწმოს, რომ იესო ღმერთისგან მოვიდა. შეუძლია ამის თქმა, რადგან ისმინა მისი წინასწარმეტყველური სიტყვა და იხილა ამ სიტყვის დამადასტურებელი სასწაულები. იხილა მისი დიდება მთაზე და, მრავალ მოწაფესთან ერთად, ჯვარზე შეწირული მისი მსხვერპლისა და აღდგომაში სიკვდილზე გამარჯვების მოწმე გახდა.

# 4 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

# 2016 ოთხშაბათი

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

## რას ეძებთ? იო 1,38

იესოსთან შესახვედრად დავდივარ კი ეკლესიაში წმიდა წირვაზე? თუ სხვა მიზეზით, ანდა, უმიზეზოდ? იგი აქაა, მაგრამ ნამდვილად მას ვეძებ კი, მწადია მასთან ყოფნა, რათა მთელი გულით შევიყვარო, თუ დავეძებ ემოციებს, გალობებსა თუ ქადაგებებში კმაყოფილებას, ან, რაიმე სხვა ნუგეშს?

სულო წმიდაო, შემეწიე,
სერიოზულად ვიცხოვრო იესოში ჩემი რწმენით!

# 5 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

# 2016 სამშაბათი

Iიო 3,11-21; ფს 99; იო 1,43-51

## ღმერთი ყოველივეს უწყის Iიო 3,20

წმ. იოანე საუბრობს ქრისტიანთა, როგორც ღვთის შვილთა ცხოვრებაზე. ისინი ასეთები არიან იმის გამო, რომ გაწყვიტეს კავშირი ცოდვასთან, პირველი ადგილი წაართვეს მრავალ კერპს: სამსახურს, სპორტს, თამაშს, მოუწესრიგებელ სიყვარულს... ძმურ სიყვარულს საქმით ამტკიცებენ სახლში, სამრევლოში, და მზად არიან გამოეგებნონ მათ, ვინც გასაჭირშია. მათზე ღმერთი უწყის ყოველივეს, პირველ რიგში მათ ძალისხმევას და გარჯას ცხოვრების ამგვარ სტილში: მიუზღავს მათ მათი ლოცვების შესმენით.

# 6 იანვარი

უფლის გაცხადება, დღ, [ს], თ

## 2016 ოთხშაბათი

ეს 60,1-6; ფს 71; ეფ 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

## იხილეს ყრმა, განერთხნენ და თაყვანი სცეს მას მთ 2,11

დღეს ვზეიმობთ ღვთის, ანუ, ყველა ხალხისათვის მოსული იესოს გაცხადებას. ეს გარეგანი გამოცხადება როდი ყოფილა: მოგვებმა ოდენ ჩვილი იხილეს, თანაც ძალზე ღარიბი. იგი გამოეცხადა მათ გულებს და მათაც სცნეს იგი თაყვანის ღირსად, ღირსად იმისა, რაც მათ გააჩნდათ ყველაზე ძვირფასი. დღეს ჩემს გულშიც ღვთის გაცხადებაა: იესო მეცხადება ჩემს უფლად, ჭეშმარიტ ღმერთად და ჭეშმარიტ ადამიანად.

# 7 იანვარი

შობის ჟამი II, [ს], თ

წმ. რაიმუნდე პენიაფორტელი, მღვ. †1275

# 2016 ხუთშაბათი

Iიო 3,22 - 4,6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

## ვინც ღვთისგან არ არის, არ გვისმენს ჩვენ

Iიო 4,6

იესოს ნათქვამი ჰქონდა თავისი მოციქულებისათვის: „ვინც თქვენ გისმენთ, მე მისმენს“; ახლა იოანე მოციქული იმეორებს იმავეს. თუკი არ ვაქცევ ყურადღებას და არ ვუგონებ ეპისკოპოსსა და მის წარმომადგენლებს, ვწყდები იესოსთან და ღმერთთან თანაზიარებას. სულო წმიდაო, მომანიჭე გულის სიმდაბლე!

# 8 იანვარი

შობის ჟამი II, [ს], თ

# 2016 პარასკევი

Iიო 4,7-10; ფს 71; მარ 6,34-44

## **ღვთისგანაა სიყვარული** Iიო 4,7

მეც მხოლოდ სიყვარულის შემოშვებას ვისურვებდი ჩემს გულში, რადგან მხოლოდ სიყვარულია რომ მომდინარეობს მამისგან და მასთან ერთობაში მამყოფებს. შემეწიე, სულო წმიდაო, გაანათე ჩემში, რათა ჩემი არსებობა და ქმედება – ფიქრებში, სიტყვებში, ქმედებებში – მუდამ სიყვარული იყოს, საკუთარი თავის მიძღვნა მამისადმი და, მის მიერ, ძმებისადმი!

# 9 იანვარი

შობის ჟამი II, [ს], თ

# 2016 შაბათი

1იო 4,11-18; ფს 71; მარ 6,45-52

9-10 იანვარი – ახალგაზრდები წეროვანში

## **მან თავისი სული მოგვცა** 1იო 4,13

ჩვენმა ღმერთმა მიგვითითა სიყვარულის გზა, მაგრამ ოდენ ,,საგზაო ნიშნები‘‘, ანუ მცნებანი და ბრძანებები როდი მოუცია! მოგვიძღვნა, აგრეთვე, ,,საწვავიც‘‘, თავისი სული! ღმერთი სიყვარულია და მისი სული გვანიჭებს სიყვარულის უნარს, მეტიც, თავად მას უყვარს ჩვენში!

# 10 იანვარი

უფლის ნათლისღება «გ», დ, [ს], თ

2016 კვირა

ეს 40,1-5.9-11; ფს 103; ტიტ 2,11-14; 3,4-7; ლკ 3,15-16.21-22

## შენა ხარ ჩემი ძე, საყვარელი ლკ 3,22

იესო, ის-ის იყო ჩახვედი ერის ცოდვით დასვრილ წყლებში: ამ ცოდვის წყევლას შენს თავზე აიღე; მას ატარებ შენი გზის ბოლომდე, ჯვრამდე, სადაც შენი სიყვარული და შენი ტანჯვა გადააქცევს მას მადლად და კურთხევად. მამა უსიტყვოდ ვერ დარჩებოდა: შენა ხარ მისი ძე, შენ მოიცავ მთელ მის სიყვარულს ჩვენდამი და ხორცს ასხავ ამ სიყვარულს! სიხარულით გვეუბნება მამა ჩვენ ამას!

# 11 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ
ლუწი წელიწადი

# 2016 ორშაბათი

1მეფ 1,1-8; ფს 115; მარ 1,14-20

## სამწუხაროდ დაუხშო მას უფალმა 1მეფ 1,6

რამდენჯერ გვეწვევა ხოლმე ცდუნება, უსამართლო
და აუხსნელი ღვთის ნება ვუწოდოთ მდგომარეობებს!
არა, ღმერთი არც იქმს და არც დაუშვებს არაფერს,
რაც სინამდვილეში ჩვენი უფრო დიდი სიკეთე არაა.
უნაყოფობის ის პერიოდი დაანახვებს ანას რომ შვილი
სამუელი ნამდვილად ღვთის საჩუქარია, და მართლაც,
თავადვე მიუძღვნის მას დიდი სიხარულით.
მამაო, ვერ გავუგე ვერაფერი ამ ჩემს ტანჯვებს,
მაგრამ შენ მოგენდობი: შენ ხომ გიყვარვარ!

# 12 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ

# 2016 სამშაბათი

1მეფ 1,9-20; 1მეფ 2,1.4-8; მარ 1,21-28

## უფალს მივცემ მას ვიდრე ცოცხალი იქნება

1მეფ 1,11

ეს სიტყვები ანას, სამუელის დედის, ლოცვიდანაა, ღმერთს რომ მიმართავს. იგი გულგამწარებულია, რადგან უნაყოფოა; აღთქმას უდებს ღმერთს, რომ შვილის შეძენის შემთხვევაში, მას მიუძღვნის. მადლობა შევწიროთ მამას სიცოცხლის ნიჭისათვის, მისგან რომ მომდინარეობს. მადლობა ყველა დედასაც და მამასაც, რომლებიც მზად არიან საკუთარი შვილი მიუძღვნან ღმერთს!

13 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ
წმ. ილარიონი, ეპ. და ეკლ. მოძღ., †367;
(31.XII) წმ. ღირსი დედა საბიანა, აბადესა

2016 ოთხშაბათი

1მეფ 3,1-10.19-20; ფს 39; მარ 1,29-39

## ბრძანე, უფალო, გისმენს შენი მსახური

1მეფ 3,9

უფალმა დაუძახა და გააღვიძა სამუელი, მაგრამ არაფერი გაუმხელია მისთვის, ვიდრე მისგან არ მოისმინა ეს სიტყვები: „ბრძანე, უფალო, გისმენს შენი მსახური“. უფალი ზოგჯერ გვაღვიძებს ხოლმე, აგვიხელს თვალს, რათა დავინახოთ ჩვენი მდგომარეობა, შემდეგ კი იცდის: არ სურს ჩვენი კარის შემონგრევა, არ სურს რაიმე მოგვახვიოს თავს, მოელის ჩვენს მზაობას.
ილაპარაკე, უფალო, გისმენ!

# 14 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ

# 2016 ხუთშაბათი

1მეფ 4,1-11; ფს 43; მარ 1,40-45

**გამაგრდით და ვაჟკაცურად იყავით** 1მეფ 4,9

თუკი ღმერთია ჩვენი მფარველი, ვერაფერს გახდება ჩვენთან ვერც ადამიანთა და ვერც სულთა ძალები, რომლებიც გვებრძვიან. მაგრამ, თუკი ჩვენი ავადმყოფობა გამოწვეულია ჩვენი ცოდვისაგან, უფალი ვერ გვაკურთხებს; ასეთ შემთხვევაში ჩვენმა მტრებმა შეიძლება გვძლიონ.

უფალო, მოგვმადლე ერთგულების ნიჭი!

# 15 იანვარი

რიგითი I კვირა [I] მწ

# 2016 პარასკევი

1მეფ 8,4-7.10-22; ფს 88; მარ 2,1-12

## პასუხს აღარ გაგცემთ უფალი 1მეფ 8,18

უფალი როდი გვატყუებს: მიგვითითებს ჩვენდა სა-
სიკეთოდ, გვირჩევს, გვაფრთხილებს იმისაგან, რაც
გვავნებს, ოღონდ არ გვაიძულებს. თუკი გავჯიუტდები
და სასმენელს დავიხშობ, მიმიშვებს, კვლავაც მთელი
ყურადღებით ჩემსკენ მოპყრობილი, და განმაცდევი-
ნებს ჩემი ურჩობის შედეგებს; მაშინვე როდი ამომათ-
რევს ჩემი მორევიდან, არამედ ელის, როდის მივხვდები
მისი სიტყვების სიკეთესა და სიმართლეს.

# 16 იანვარი

რიგითი I კვირა [I] მწ

# 2016 შაბათი

1მეფ 9,1-4.17-19; 10,1; ფს 20; მარ 2,13-17

## აჰა, ის კაცი, რომელზეც გელაპარაკე

1მეფ 9,17

ვინც მთელი გულით მიემღვნება უფალს, სამუელის მსგავსად, მუდამ იგი ექოლება მეგზურად მისივე ნების აღსასრულებლად.
უფალო იესო, გმადლობ რომ მეც მიმიძღვი, როცა სრულად შენს განკარგულებაში ვარ ხოლმე!

# 17 იანვარი

რიგითი ჟამის II კვირადღე, «გ», [II], მწ

2016 კვირა

ეს 62,1-5; ფს 95; 1კორ 12,4-11; იო 2,1-11

## მან გამოავლინა თავისი დიდება და ირწმუნეს იგი მისმა მოწაფეებმა იო 2,11

იესო თავის დიდებას ავლენს პირველი ,,ნიშნით‘‘ კანაში. მას, განწმენდისათვის განკუთვნილი წყლის ღვინოდ გადაქცევით გადავყავართ რჯულის აღსრულების სიმძიმიდან, რომელსაც მუდმივი გარეგანი განწმენდები ესაჭიროება წყლით, ღმერთთან სიყვარულის ურთიერთობაზე, რასაც ღვინო განასახიერებს, ღვინო, რომელიც შიგნიდან ათბობს და ათრობს გულს, რითაც ადამიანს ანიჭებს ღმერთის სიტყვით გახარებული ცხოვრების უნარს. იესოს მიღებით მომხდარი ამგვარი მოქცევის, ცვლილების წინაშე მოწაფენი ირწმუნებენ, რომ ნამდვილად იგია მესია.

# 18 იანვარი

რიგითი II კვირა [II] მწ

# 2016 ორშაბათი

1მეფ 15,16-23; ფს 49; მარ 2,18-22

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

## მოსმენა უკეთესია საკლავზე 1მეფ 15,22

სავლე მეფემ შემლო ამალეკელების დამარცხება, უფლის ბრძანებისამებრ. არადა, მან და მისმა კაცებმა არ გაწყვიტეს ყველა პირუტყვი, როგორც ნათქვამი ჰქონდა ღმერთს, არამედ შემოინახეს რამდენიმე თავი პირუტყვი მსხვერპლად შესაწირად. ღმერთმა კი ამ ნაბიჯში დაინახა, თუ რაოდენ მიჯაჭვულნი იყვნენ ისინი საგნებს, და არა მას. ვეღარ ენდობოდა მათ!

მადლობა, მამაო, რომ ხედავ ჩვენს გულებს. მადლობა, რომ მოგვიხმობ, სერიოზულად მივუდგეთ შენს სიტყვას და გაგიგონოთ, დაგყვეთ, დაგემორჩილოთ, რათა შეგვწევდეს ძალა ვიცხოვროთ ყველამ როგორც ძმებმა.

# 19 იანვარი

რიგითი II კვირა [II] მწ

# 2016 სამშაბათი

1მეფ 16,1-7.10-13; ფს 88; მარ 2,23-28

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

უფლის ნათლისღება საქ. მართლ. ეკლესიაში

## კაცის ძე შაბათის უფალიც არის მარ 2,28

უფალო იესო, შეგვეწიე, სწორად გავიგოთ ღვთის სიტყვა, გულით დავიცვათ ის ყოველ დღე, მისი ნების შესაცნობად. მოგვმადლე, შენს სიყვარულში შეერთებულებმა ვიცხოვროთ, რათა დიდება ვუძღვნათ მამას, შენს დარად. გმადლობთ, იესო!

# 20 იანვარი

რიგითი II კვირა [II] მწ

წმ. ფაბიანე, პაპი და წამ. IIIს.
წმ. სებასტიანე, წამ., †~304

# 2016 ოთხშაბათი

1მეფ 17,32-33.37.40-51; ფს 143; მარ 3,1-6

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

## **შუაში გამოდი!** მარ 3,3

იესო ეუბნება ხელგამხმარ კაცს, დადგეს სინაგოგის შუაში. ყველამ ,,უნდა" დაინახოს შაბათის რჯულის ნამდვილი განმარტება, შაბათისა, რომელიც ღმერთის ნამოქმედარით გახარების დღე უნდა იყოს. ღვთის ნამოქმედარზე ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი, მათაც, ვინც სხვებთან ურთიერთობებში შებოჭილნი არიან. მადლობა, იესო, შენი ლოცვისათვის, რომ ჩვენ ქრისტიანები ერთნი ვართ შენში, და შენი ძალისათვის ჩვენი ზღუდეებისა და ურთიერთჩაკეტილობის განკურნება რომ ძაგლიძს!

# 21 იანვარი

რიგითი II კვირა [II]

წმ. აგნესა ქალწ. წამ., † 304 (მ), წ
(8.I) წმ. აბო თბილელი, წამ., წ

# 2016 ხუთშაბათი

1მეფ 18,6-9;19,1-7; ფს 55; მარ 3,7-12
ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

## ბევრი განკურნა მარ 3,10

შენ მეც განმკურნე, იესო!
მეშინოდა ღმერთის, მეშინოდა ცოდვის, მეშინოდა ჯოჯოხეთის, მეშინოდა სიკვდილის, მეშინოდა...
შენს ეკლესიაში მომანიჭე მტკიცე რწმენა, რომ ღმერთი მამაა, შემაგრძნობინე მისი სიყვარული. აღარ მეშინია, იესო: მადლობა!
შენ მოგანდობთ სასოებით, აგრეთვე, ჩვენ, ქრისტიანებს შორის ერთობის აუცილებლობას: ქმენ, რომ შეგვეძლოს შენი დამოწმება ძმური სიყვარულით, საკუთარი ოჯახიდან და სამრევლოდან დაწყებული!

# 22 ი ა ნ ვ ა რ ი

რიგითი II კვირა [II] მწ

წმ. ბიკენტი, მოწ. დიაკ. † 303

# 2 0 1 6 პ ა რ ა ს კ ე ვ ი

I მეფ 24,3-21; ფს 56; მარ 3,13-19

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

## უფალი იყოს მსაჯულად ჩვენს შორის

I მეფ 24,13

დავითი, მიუხედავად იმისა, რომ საავლესაგან დევნას განიცდის, პატივისცემით ეპყრობა მას და არ იძიებს შურს, მაშინაც კი, როცა ამის შესაძლებლობა აქვს, არამედ არწმუნებს მას, თავის წრფელ ქცევაში. მოუხმობს უფალს, რომელიც ყოველივეს ხედავს და სიმართლით განსჯის: მისგან ელის დაცვას.

იესო, მომმადლე უწყინარობა და სიყვარული მტერთა მიმართაც!

# 23 იანვარი

რიგითი II კვირა [II] მწ

# 2016 შაბათი

2მეფ 1,1-4.11-12.17.19.23-27; ფს 79; მარ 3,20-21

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

## როგორ დაეცნენ ბრძოლაში გმირები

2მეფ 1,25

ამ სიტყვებით დაიტირა დავითმა ღმერთის წინაშე საულე მეფე და მისი ძე იონათანი. იგი განადიდებს მათ გმირობას ისრაელის სამეფოს შეკავშირებისათვის და მტრებისაგან მის დასაცავად მათ ძალისხმევას.

შევთხოვოთ იესოს, რათა კვლავაც აღძრას, როგორც ჩვენ, კათოლიკებს შორის, ასევე სხვა აღმსარებლობათა ძმებს შორის, ადამიანები, რომლებიც დააფასებენ განსხვავებულობას, რათა მიმართონ ის მისი დიდებისა და ერთობისაკენ.

# 24 იანვარი

რიგითი ჟამის III კვირადღე, «გ», [III], მწ

2016 კვირა

ნეემ 8,2-4.5-6.8-10; ფს 18; 1კორ12,12-30; ლკ 1,1-4; 4,14-21

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

## სული უფლისა ჩემზეა ლკ 4,18

როგორც იქნა! ეს გასაოცარი სიტყვა, ისრაელის ერს რომ მიეცა წინასწარმეტყველის პირით, პოვებს თავის აღსრულებას. მათივე თანამემამულე იესო, მათივე ბავშვებს შორის რომ გაიზარდა, მათსავე სინაგოგაში წერილის წამკითხველი: მასზე დაივანა უფლის სულმა. ვინც ისევე უპოვარი და თავმდაბალი იქნება, როგორც ქრისტე, რომელიც ღმერთმა მოავლინა თავისი სიყვარულის ჩვენთვის მოსატანად, შეიცნობს გულის თავისუფლებას და სიცოცხლის სისავსეს!

# 25 იანვარი

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

## 2016 ორშაბათი

საქმ 22,3-16 (ან: 9,1-22); ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული

არალში მეშურნეთის ეკლესიის დღესასწაული

## მე ვარ, იესო ნაზარეველი, რომელსაც შენ სდევნი საქმ 22,8

დასაწყისიდანვე იესო იდევნება თავის მოწაფეებში დედამიწის მრავალ კუთხეში. დღეს ვზეიმობთ იესოს შეხვედრას ერთ თავის მდევნელთან, სავლესთან: ამ შეხვედრამ თვალი აუხილა სავლეს, ცხოვრება და სახელი გამოუცვალა, აქცია უძვირფასეს მოწაფედ. წმიდა პავლეს შუამდგომლობით სხვა მდევნელებსაც შეუძლიათ დღეს იესოსთან შეხვედრა! და ის მდევნელიც, რომელიცა ვარ ხოლმე ზოგჯერ თავადაც, იქცეს ეკლესიაში ერთობის მუშაკად!

# 26 იანვარი

რიგითი III კვირა [III] თ

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპ. I ს. (მ)

## 2016 სამშაბათი

2ტიმ 1,1-8 (ან, ტიტ 1,1-5); ფს 95; ლკ 10,1-9

## მაშ, ნუ შეგრცხვება ჩვენი უფლის დამოწმებისა 2ტიმ 1,8

კვირის წირვისთვის ვემზადები და სტუმარი მომადგა? არ შემრცხვება და ვეტყვი, მოგვიანებით შემომიაროს: თუკი ჩემთან ცოტაოდენი სიყვარულისა და სიბრძნისათვის მოსულა, დაე, იცოდეს, რომ მხოლოდ იესოსგან ვღებულობ თავად სიყვარულსაც და სიბრძნესაც; ვერ გავაცდენ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას მასთან! წმიდანო ტიმოთე და ტიტე, იესოს მოწაფენო პირველ ეკლესიაში, ითხოვეთ ჩვენთვის წმიდა სული!

# 27 იანვარი

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი,
ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ

წმ. ანჯელა მერიჩი, ქალწული († 1540)

# 2016 ოთხშაბათი

დაბ 12,1–7; ფს 95; 1კორ 1,26–31; მარ 16,15–20

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი

წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

## უფალი განამტკიცებდა სიტყვას მათი თანმხლები სასწაულებით მარ 16,20

ჰე, იესო, მსურს შენ გისმინო; მსურს ვისმინო და დავიცვა, შევინახო შენი სიტყვა. შენ დღესაც თესავ მას ჩემში: წმიდა წირვაზე შენთან შეხვედრისას, ლოცვის დროს, დღეს რომ დაგითმობ, სახარების კითხვისას, ანდა როცა შენს რომელიმე ნათქვამს გამახსენებ. იესო, მსურს შენ გისმინო: შენი სიტყვის თესლი ნაყოფს გამოიღებს! ღვთის სიტყვის მოციქულო ნინო, ილოცე ჩვენთვის!

# 28 იანვარი

რიგითი III კვირა [III] თ

წმ. თომა აკვინელი, მღვდ. და ეკლ. მოძ.,†1274(მ);
(15.I) წმმ. სალომე უჯარმელი და პეროჟავრ სივნიელი

## 2016 ხუთშაბათი

2მეფ 7,18-19.24-29; ფს 131; მარ 4,21-25

## რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ

მარ 4,24

როგორ მიჭირდა იმის დათმობა..., არადა ვხედავ-
დი, რომ ჩემს ძმას ის ჩემზე მეტად სჭირდებოდა; და
დავუთმე მას. დიდი ხნის ცდა არ დამჭირვებია: მეორე
დღესვე ისეთი თანაზიარების წუთი განვიცადე მასთან,
რომელმაც სიხარულით ამავსო.
მადლობა, იესო, შენი სიტყვის ერთგული რომ ხარ!

# 29 იანვარი

რიგითი III კვირა [III] მწ

# 2016 პარასკევი

2მეფ 11,1-10ა.13-17; ფს 50; მარ 4,26-34

## რას შევუდაროთ ღვთის სასუფეველი?

მარ 4,30

იესო ხშირად საუბრობს ღვთის სასუფეველზე. კი მაგრამ, რა არის ღვთის სასუფეველი? ეს ის რეალობაა, რომელიც დგება იქ, სადაც გული უფალს მორჩილებს, ჰოს ეუბნება მის მითითებებს; იქ შეუძლია მას თავისი მეფობა გამოხატოს: ანუ, შეუძლია უყვარდეს, აღავსოს სიცოცხლით, მშვიდობით, სიხარულით!

# 30 იანვარი

რიგითი III კვირა [III] მწ

# 2016 შაბათი

2მეფ 12,1-7.10-17; ფს 50; მარ 4,35-41

## **შევცოდე უფალს** 2მეფ 12,13

დავითმა მოაკვლევინა ურია, რათა არ გამჟღავნებულიყო მის ცოლთან ჩადენილი მისი ცოდვა. ნათან წინასწარმეტყველისგან გაკიცხვით აღიარებს თავის ცოდვას და მიეტევება...

მადლობა, იესო, შენი გულმოწყალებისათვის: მეც ურიცხვჯერ მომანიჭე შენმიერი მიტევება შენი მსახურის ხელით. შენა ხარ ჩემი იმედი სამომავლოდაც. შენში ვპოვებ მშვიდობას.

# 31 იანვარი

რიგითი IV კვირადღე, «გ», [IV], მწ

# 2016 კვირა

იერ 1,4-5.17-19; ფს 70; 1 კორ 12,31 - 13,13; ლკ 4,21-30

სალეზიელთაკონგრეგაციის დღესასწაული

## არც ერთი წინასწარმეტყველი არაა მიღებული თავის სამშობლოში ლკ 4,24

იესოს თანასოფლელებმა ვერ ამოიცნეს მასში ღვთის ძე, ნანატრი მესია, და ექცევიან მას როგორც ფალსიფიკატორს. როდესაც იესოს კვალს მივყვებით მის სიყვარულსა და სიბრძნეში, ჩვენც შეიძლება დაგვცინონ და უარგვყონ საკუთარმა ნათესავებმა თუ ახლობლებმა. თუკი თავად იესომ განვლო ეს ციცაბო გზა, მაშ, არაფრის არ უნდა გვეშინოდეს.

# I თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV] მწ

(19.I) წმ. ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, თ

## 2016 ორშაბათი

2მეფ 15,13-14.30; 16,5-13; ფს 3; მარ 5,1-20

## გადი ამ კაცისაგან, არაწმიდა სულო!

მარ 5,8

შენს წინაშე, იესო, ავ სულებს, რომლებიც შესაძლოა ჩემშიც იყვნენ, არ დაედგომებათ. შენა ხარ გამათავისუფლებელი; შენ მოგმართავთ, როცა ისინი შეგვაწუხებენ და შენთან მოვიყვანთ იმათაც, ვინც მათ მონობაში არიან. მადლობა შენი ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნისათვის!

# 2 თებერვალი

უფლის ტაძრად წარდგენა (მირქმა),
დ, [ს], თ

## 2016 სამშაბათი

მალ 3,1-4 ან, ებრ 2,14-18; ფს 23; ლკ 2,22-40

ბერ-მონაზონთა დღე, შეხვედრა ქუთაისში

## და თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი

ლკ 2,35

„მახვილი", რომელიც გაივლის მარიამის სულში, ყველასაგან მიტოვებული და თავად ღმერთისაგან „წყეულად" მიჩნეული იესოს ჯვარზე სიკვდილის ხილვის მტანჯველი ტკივილია. მიუხედავად იმისა, რომ იგია „ხალხთა ნათელი", სიმეონის წინასწარმეტყველებისამებრ, იესო ამავე დროს საცილობელი ნიშანია. ვინც იღებს მას და აღიარებს ღვთის ძედ, მზადაა დაითმინოს წუთისოფლისა და წყვდიადის სიძულვილი. მარიამმა სხვებზე მეტად შეიყვარა იგი და ამიტომ სხვებზე მეტიც იტანჯა ამის გამო. მადლობა, იესო, სიყვარულის მოწმობისათვის, მარიამისაგან რომ მიიღე და მადლობა, რომ ჩვენი გაძლიერებაც განგიზრახავს!

# 3 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV] მნ
წმ. ბლაზი, ეპისკოპოსი და წამებული †IVს.;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ეპისკოპოსი †865.

## 2016 ოთხშაბათი

2მეფ 24,2.9-17; ფს 31; მარ 6,1-6

## დიდად შევცოდე, ეს რომ გავაკეთე 2მეფ 24,10

დღეს მოთხრობილი დავითის ცოდვა მდგომარეობდა იმაში, რომ მან იმედები უფლის ნაცვლად ჯარისკაცთა სიმრავლეში დაამყარა. მაგრამ: „დავითს გულმა რეჩხი უყო...“. და მეფე ღებულობს მადლს, მის გულს რომ ეხება, შეინანებს და ერთან ერთად იხდის თავისი ცოდვის სასჯელს. შემდეგ კვლავ იგალობებს, კიდევ უფრო დიდი მადლიერებითა და თავმდაბლობით, თავისი უფლის სიყვარულს, რომელიც შეუსწორებს, მიუტევებს და ანუგეშებს.

# 4 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV] მწ

# 2016 ხუთშაბათი

3მეფ 2,1-4.10-12; 1ნეშტ 29,10-12; მარ 6,7-13

## **გამაგრდი და კაცი იყავი** 3მეფ 2,2

დავითი აკურთხებს თავის ძეს, სოლომონს ტახტის მემკვიდრედ. ეუბნება, იყოს მტკიცე და უდრეკი მოსეს რჯულის დაცვასა და შესრულებაში. ამგვარად ღმერთი შეძლებს მისი ტახტის განმტკიცებას და მასზე მის შთამომავალთა დასმას.

მადლობა, იესო, იმ ძალისათვის, რასაც მანიჭებ შენი სახარების ცხოვრებაში გასატარებლად, მაშინაც, როცა მრავალთა თვალში არაფრად ვვარგივარ.
გმადლობ, რადგან შენს კვალში მავალთ
შენ სთავაზობ გემსახურონ შენს ეკლესიაში.

# 5 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმ. აგათა ქალწ. და წამებ., †≈250 (მ) წ

# 2016 პარასკევი

ზირ 47,2-11(2-13); ფს 17; მარ 6,14-29

## არ გერგება შენი ძმისცოლი ცოლად

მარ 6,18

გამოვუცხადოთ სიყვარულით ღვთის
სიბრძნე და ნება ჩვენს მოყვასს, დიდი წყალობაა.
თუ გაიგონა, პოვებს მშვიდობას, ჩვენ კი სიხარულს;
თუმცა, შესაძლოა დაგვხვდეს მტრობა და დევნა,
წმიდა იოანე ნათლისმცემლის მსგავსად.
სულო წმიდაო, მოგვანიჭე შენი ნათელი და ძალა!

# 6 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმმ. პავლე მიკი და მეგ., წამ. (მ) †1597, წ.

## 2016 შაბათი

3მეფ 3,4-13; ფს 118; მარ 6,30-34

## მიანიჭე შენს მსახურს დამყოლი გული 3მეფ 3,9

ამას სთხოვს სოლომონი უფალს, რათა შეეძლოს გაარჩიოს „სიკეთე ბოროტებისაგან“ და ამგვარად შეძლოს ბრძნულად მართოს, ერის სასიკეთოდ.

მამაო, მეცა გთხოვ გულს, შენი, შენს შთაგონებათა და შენი სიტყვის დამყოლი რომ იქნება. განკურნე ის ინსტინქტების მონობისაგან ამწუთიერი სურვილების, კომფორტის, ცდუნებების კვალზე სიარულისას... მაშინ ვიქნები შენი სიყვარულის იარაღი, სხვათათვის გაწვდილი ხელი.

# 7 თებერვალი

რიგითი V კვირადღე, «გ», [I], მწ

# 2016 კვირა

ეს 6,1-2.3-8; ფს 137; 1კორ 15,1-11; ლკ 5,1-11

## მოისროლეთ ბადეები თევზის დასაჭერად

ლკ 5,4

ჩვენ, ქრისტიანები, იესოს მოწაფენი, ვმონაწილეობთ ადამიანთა დახსნის მის გასაოცარ დავალებაში, თევზების მსგავსად მათი ამოთრევით ქაოსის ზღვიდან, მამისაგან დაშორებული ცხოვრებიდან, ნათელსა და სიყვარულს მოკლებული ცხოვრებიდან. ჩვენს ,,საქმეში'' ვფლობთ თავად იესოს მითითებებს; ვეძებთ მათ მის სიტყვაში, მის ეკლესიაში, ლოცვაში, ძმათა ხმაში, განსაკუთრებით კი მწყემსთა ხმაში.

# 8 თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

წმ. იერონიმე ემილიანი, †1537;
წმ. იოსეფინა ბახიტა, ქალწული, †1947;
(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი

# 2016 ორშაბათი

3მეფ 8,1-7.9-13; ფს 131; მარ 6,53-56

## ვინც კი ეხებოდა მას, იკურნებოდა მარ 6,56

მშვენიერი და დიდია, ყველაზე ნამდვილი სიყვარულია ამ ხალხის სიყვარული, რომელსაც იესოსთან მოჰყავს თავისი სნეულნი და ტანჯულნი! მეც, სნეულმა, „შევეხე“ იესოს: მაშინ გავიგე რა ყოფილა სიცოცხლე და სიხარული; გავიგე, რომ თურმე ადამიანს მხოლოდ იესო სჭირდება! იესო, მაცხოვარო ჩემო: მადლობა!

# 9 თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

# 2016 სამშაბათი

3მეფ 8,22-23.27-30; ფს 83; მარ 7,1-13

## ნუთუ ნამდვილად იმკვიდრებს მიწაზე ღმერთი? 3მეფ 8,27

სოლომონ მეფის ლოცვის სიტყვებია, მთელი ერის წინაშე რომ აღავლენს ახალდასრულებულ ტაძარში. დღეს ჩვენ, უფლის ახალი ერი, გაკვირებითა და მადლიერებით დავამოწმებთ, რომ ღმერთი მართლაც ჩვენთანაა: ყოველდღიურ განსაცდელებში, პირად ლოცვებში, ეკლესიის საიდუმლოებში, საკვირაო კრებულში ,,ვეხებით" იესოს, განვიცდით მის სიყვარულს. და ჩვენს გულს არ ეშინია და იცის, რაცაა სიხარული!

# 10 თებერვალი

ნაცრის დაყრა ოთხშაბათი, [ს], ი

წმ. სქოლასტიკა, ქალწ. †≈542 (მ)

# 2016 ოთხშაბათი

იოვ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20 - 6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

## ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს 2კორ 5,20

არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებიც სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა. ის, რისკენაც მოგვიწოდებს წმ. პავლე, ყველაზე ძლიერაა სიკვდილ-სიცოცხლის საქმე, რადგან მარადიულ სიკვდილსა და მარადიულ სიცოცხლეზეა ლაპარაკი.

დღეს მსურს იესოს მხარი დავიჭირო და კვლავ გამოვუთავისუფლო მას ადგილი ჩემს ცხოვრებაში, გადავშლი დამტვერილ სახარებას, დავუჯდები მას მარტო ეკლესიაში, ტაბერნაკულუმში რომ იმყოფება, მივალ მღვდელთან ღვთიური მიტევების გამოსართმევად. მადლობა, იესო, ამ ძვირფას შესაძლებლობას რომ მაძლევ: არ მინდა მისი ხელიდან გაშვება!

# II თებერვალი

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი
(მოხს: ღურჲის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება)1858
(29.I) წმ. აშოტ დიდი კურაპალატი, წამებ.)

# 2016 ხუთშაბათი

რჯლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

სნეულთა დღე

## ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს თავის სიცოცხლეს, იგი იხსნის მას ლკ 9,24

დავხარჯოთ მთელი ჩვენი ცხოვრება შენთვის, იესო, მთელი გულით შენი შეყვარებისათვის, შენი სიტყვების უშიშრად და ვინმეს მორიდების გარეშე მორჩილებით, აი, ესაა ჩვენთვის ხსნა, თავისუფლება ყოველი შიშისაგან და ნამდვილი სიცოცხლე. მადლობა ამ შესაძლებლობას რომ გვანიჭებ.

# 12 თებერვალი

პარასკევი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

# 2016 პარასკევი

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

## წინ წაგიძღვება შენი სიმართლე ეს 58,8

„ჩემი“ სიმართლე, ანუ, ქრისტიანის სიმართლე მდგომარეობს მამის ნების აღსრულებაში ისე, როგორც შვილს შეჰფერის. იქ, სადაც მისი ხელი დაგვსხამს, დღითი დღე, დარწმუნებულნი ვართ რომ შეგვიძლია შევასრულოთ მისი მადლით, მისდამი და ძმათადმი სიყვარულის ჩვენი დავალება.

# 13 თებერვალი

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

# 2016 შაბათი

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

## მოვედი არა მართალთა მოსაწოდებლად, არამედ ცოდვილთა ლკ 5,32

არადა მე სულ თავის მართლებაში ვარ, საკუთარ ნაკლს ვამცირებ, საკმარისად კარგი მგონია თავი, მრავლაზე უკეთესი, უარესად რომ იქცევიან. ამგვარდ ხომ, კარს ვკეტავ და იესოსაც გარეთ ვტოვებ, მოსატევებლად და მამასთან და ძმებთან თანაზიარებაში ჩემს აღსადგენად რომ მოსულა. პაპი ფრანცისკეს ბებია ამბობდა: „სჯობს ერთხელ გაწითლდე სირცხვილისაგან, ვიდრე ათასჯერ გაყვითლდე შიშისაგანო“! ჰო, იესო, ცოდვილი ვარ: შენ მომიტევე!

# 14 თებერვალი

დიდმარხვის I კვირადღე, «გ», [I], ი

## 2016 კვირა

რჯლ 26,4-10; ფს 90; რომ 10,8-13; ლკ 4,1-13

### არა მხოლოდ პურით იცოცხლებს კაცი ლკ 4,4

შენ იქნები, უფალო იესო, ჩემი ,,პური" პასექისკენ მიმავალ ამ გზაზე! შენ მეყოლები გულში ყოველ წუთს: მე დამაპურებს შენი სიყვარული, გზას შენი სიტყვა გამინათებს... და იმ ამქვეყნიურ საგნებსაც, რაც კი მჭირდება, მამას გამოვართმევ მადლიერებით, არც შფოთითა და არც დაუფლებით! რა კარგი იქნება, იესო, შენთან ერთად უდაბნოში ყოფნა!

# I5 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

# 2 0 I 6 ო რ შ ა ბ ა თ ი

ლევ I9,I-2.II-I8; ფს I8; მთ 25,3I-46

## შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი ლევ I9,I8

აი, ყველასათვის ხელმისაწვდომი მარხვა, სიწმიდის ბილიკი, რომელიც ჩვენს ბუნებას შეესაბამება. ესაა ის სავარჯიშო მოედანიც, რომელშიც იესო კმაყოფილებით ადევნებს თვალს ჩვენს ვარჯიშს: ვიფხიზლოთ ჩვენს გულზე, მხოლოდ სიყვარული შევუშვათ მასში, მამისაგან მომდინარე სიყვარული, მომთმენი სიყვარული, მაკურთხებელი, სხვებისთვის ხელის გაშლისაკენ რომ მივყავართ.

# 16 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

## 2016 სამშაბათი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

## ლოცვისას სიტყვებს ნუ გაფლანგავთ მთ 6,7

მადლობა, იესო, რომ დღეს გვასწავლი ლოცვას.
შენ იმ არსებით სიტყვებს გვაწვდი, რომლითაც უნდა
მივმართოთ მამას, შენს შვილობრივ სასოებასა და
სიყვარულს, ძმებთან თანაზიარების სულს, რომელთაც
სწამთ შენი. მადლობა!

# 17 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I] ი
(მოხს.: ნეტარ ქალწული მარიამის მსახურთა ორდენის შვიდნი დამფუძნებელნი)

2016 ოთხშაბათი

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

## მთელი ძალით შეჰღაღადონ ღმერთს იონ 3,8

ამგვარი ბრძანება გასცა ნინივეს მეფემ მთელი ხალხისთვის, მოქცევისა და მონანიებისაკენ მოხმობით, მას შემდეგ, რაც იონა წინასწარმეტყველის სიტყვა მოისმინა, ქალაქის დანგრევას რომ იუწყებოდა. ყველამ იწამა ღმერთის და მოექცნენ და სასჯელიც ასცდა მათ. მადლობა, მამაო საჩიერო, შენი გულმოწყალებისათვის!

# 18 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

# 2016 ხუთშაბათი

ქსთ 4,17 n.p-r.aa-bb.gg-hh; ფს 137; მთ 7,7-12

## **ითხოვეთ და მოგეცემათ** მთ 7,7

ერთ სამრევლოში სამი ქალი რეგულარულად იკრიბებოდა და ლოცულობდა სავარდს, რათა ზეციერი მამისათვის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შუამდგომლობით ეთხოვათ წინამძღვარი, წლების მანძილზე მათ ეკლესიას მღდელი არ ჰყავდა! ამგვარი თხოვნის ასრულება, ერთი შეხედვით, შეუძლებელი იყო მღვდლების ნაკლებობის გამო. არადა, ათი წლის ბეჯითი ლოცვის შემდეგ მღვდელი გამოჩნდა.

მადლობა, მამაო, რომ ისმენ შენს მორწმუნეთა ლოცვას!

# 19 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

## 2016 პარასკევი

ეზეკ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

**წადი, ჯერ შენს ძმას შეურიგდი** მთ 5,24

მადლობა, იესო, შენი ძვირფასი სწავლებისათვის! შენ ჩემი ცხოვრება მოგწონს მაშინ, როცა მშვიდობითა ვარ ჩემს ძმებთან. შენ გსურს რომ ვეძიო ის, ვისაც რაიმე აქვს ჩემს წინაალმდეგ, რათა მე მას შევურიგდე და იგი მე: შენი შეწევნის იმედი მაქვს. მადლობა, იესო!

# 20 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

## 2016 შაბათი

რჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

### იგი იქნება შენთან, ...
### მხოლოდ თუ მისი გზებით ივლი რჯლ 26,17

მეორე რჯულის წიგნი დაჟინებით გვიმეორებს, შე-
ვიყვაროთ ღმერთი მთელი გულით, მთელი სულით და
მთელი ძალებით და უარვყოთ კერპთაყვანისმცემლობა.
ხშირად გვიმეორებს, რომ ღმერთმა იკისრა ვალდე-
ბულება, დალოცოს თავისი ერი, თუკი ეს უკანასკნელი
გამართულად ივლის მისი გზებით და გაუგონებს მას.
ეს მორჩილება პირველ რიგში ეხება უპოვართა და
ტანჯულთა მიმართ გულისხმიერებას.
მადლობა, იესო, ამ დიდმარხვის ჟამისათვის,
რომელშიც გსურს გვავარჯიშო მოწყალებაში.
მადლობა, რადგან მისით ვიპყრობთ შენს გულს.

# 21 თებერვალი

დიდმარხვის II კვირადღე, «გ», [II], ი

## 2016 კვირა

დაბ 15,5-12.17-18; ფს 26; ფილიპ 3,17 - 4,1; ლკ 9,28-36

## მოძღვარო, რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა

ლკ 9,33

წმიდა პეტრემ სამოთხე დააჭაშნიკა.
მას, იაკობთან და იოანესთან ერთად,
მიეცა იესოში ღმერთის დიდების ხილვა.
მადლობა, იესო, იმ ნეტარებისათვის, რომელსაც ანიჭებ მას, ვინც შენს წინაშე ჩერდება ხანგრძლივად. მადლობა იმ წუთების სიყვარულისა და სიტკბოებისათვის, იმედისა და მტკიცე რწმენისათვის განსაცდელის ჟამს.

# 22 თებერვალი

წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ

## 2016 ორშაბათი

1პეტ 5,1-4; ფს 22; მთ 16,13-19

## შენ მოგცემ ცათა სასუფევლის გასაღებებს მთ 16,19

იესო, პეტრეს რწმენის აღსარების მოსმენის შემდეგ, მასში „ქრისტეს" რომ აღიარებდა, ბეჭედს ასვამს მამის ამ შთაგონებას და ანიჭებს პეტრეს ეკლესიაში ხელისუფლების მსახურებას, რასაც განასახიერებს გასაღებები. პეტრეს – და მის მსგავსად, მის მემკვიდრეებსაც – ექნება ხელმწიფება მორწმუნეთა სასუფეველში შეშვებისა ან არ შეშვებისა. და ყველაფერი, რასაც ის გადაწყვეტს, დადასტურებლი იქნება ზეცაში, ანუ, თავად ღმერთის მიერ.

# 23 თებერვალი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

(მოხს.: წმ. პოლიკარპე, ეპ. და წამ., † 155)

# 2016 სამშაბათი

ეს 1,10.16-20; ფს 49; მთ 23,1-12

მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება

## ისწავლეთ სიკეთის ქმნა ეს 1,17

ღმერთი დიდმარხვის ამ მეორე კვირაში ესაია წინასწარმეტყველის საშუალებით გვიწვევს ,,სიკეთის ქმნისკენ“. გვიხსნის, რომ ეს ნიშნავს ხელგაშლილობას ,,ჩაგრულთა, ობოლთა და ქვრივთა“ მიმართ, ანუ საზოგადოებაში უპოვართა მიმართ. მოგვიწოდებს, გულისხმიერნი ვიყოთ მათი გასაჭირისადმი: ეს შეგვიძლია პირადადაც, სიფაქიზით და მორიდებულობით, და ეკლესიის სხვადასხვა ასოციაცების წამოწყებებთან თანამშრომლობითაც: კარიტასი, კამილიელები, დედა ტერეზას დები, ახალგაზრდული ცენტრი... წმ. იაკობი კი იტყვის: ,,მოწყალების გაცემა მრავალ ცოდვას ფარავს“.

# 24 თებერვალი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

## 2016 ოთხშაბათი

იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

## ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, თქვენი მსახური იყოს მთ 20,26

დიდობის ცნება იესოსთვის სრულებით განსხვავდება იმისაგან, რასაც ჩვეულებრივ ვფიქრობთ ხოლმე. ზოგადად გვგონია, რომ დიდობა ნიშნავს საპატიო ადგილებსა და ხელისუფლებას საზოგადოებაში, სიმდიდრეს, თუნდაც სხვების ხარჯზე. იესოსთვის კი დიდობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ხდება ადამიანი სხვათა მსახური და ცხოვრობს ჯვრის სიბრძნით. დიდია ის, ვისაც ძალუძს სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებაც, და არა მხოლოდ საკუთარის, ვინც სულგრძელი და ხელგაშლილია ყველას მიმართ და მზადაა დაფაროს სხვათა ცოდვები, ვინც მზადაა უსამართლოთათვის მოკვდეს, სწორედ იესოს მსგავსად.

# 25 თებერვალი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

# 2016 ხუთშაბათი

იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

## კურთხეულია კაცი, რომელიც უფალზეა დანდობილი იერ 17,7

ეს სიტყვები მახსენებს იმ დღეებს, როდესაც იესოს მოხმობისთვის უნდა მეპასუხა და მიმეტოვებინა ყველაფერი. ერთი ეჭვის გამო ვყოყმანობდი: შეძლებდა კი იესო ეზრუნა ჩემი ცხოვრებისათვის, როგორც თქვა: „ეძიეთ უპირველესად ღვთის სასუფეველი და მისი სიმართლე და ყველაფერი დანარჩენი მოგეცემათო“? იმათი შემხედვარე, ვინც ნამდვილად სერიოზულად მიიღო ეს სიტყვა, მეც გავბედე და ვუპასუხე ჩემი ამენით. მადლობა, იესო!

# 26 თებერვალი

ღიღმარხვის II კვირა [II] ი

# 2016 პარასკევი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46

## ეს მემკვიდრეა. მოდი, მოვკლათ მთ 21,38

სიხარბით დაბრმავებული მევენახეების იგავში, ბატონის მის დანახვაზე, მისი მიღების ნაცვლად მოკვლას დაუპირებენ, ვენახზე დაპატრონების სურვილით. ასეთია ერის მთავართა მდგომარეობა, იესოს რომ უსმენენ. მათ სძულდათ იგი, რადგან ერის მართვაში მათ ინტრიგებსა და ანგარებას ააშკარავებდა. წინასწარმეტყველთა მსგავსად იგიც ეცადა ღმერთის ნამდვილ თაყვანისცემისკენ მათ მოტრიალებას, მაგრამ უშედეგოდ. მათთვის იესო მხოლოდ სიკვდილს იმსახურებდა.

# 27 თებერვალი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

## 2016 შაბათი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

### კვლავ შეგვიბრალებს ჩვენ მიქ 7,19

ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებული ერი იერუსალემის ირგვლივ იკრიბება, ძალზე გაღარიბებულ მიწაზე. მიქა წინასწარმეტყველი ერის სახელით აღავლენს ღვთისადმი თავის ლოცვას და იხსენებს იმ სასწაულებს, ეგვიპტეში რომ მოიმოქმედა. თავისი აღთქმის ერთგული და „გულმოწყალებით თავმომწონე" უფალი „კვლავაც შეიბრალებს თავის ერს".

# 28 თებერვალი

დიდმარხვის III კვირადღე, «გ», [III], ი

# 2016 კვირა

გამ 3,1-8.13-15; ფს 102; 1კორ 10,1-6;10-12; ლკ 13,1-9 (ან, „ა“ წლის საკითხავები)

## თუ არ მოექცევით, ყველანი მათსავით დაიღუპებით ლკ 13,5

ვინც, იესოსთან და მის სიტყვასთან შეხვედრის შემდეგ არ მიიღებს მას, სრული ნდობით, მუდმივ საფრთხეში რჩება, ადამიანის მტრისგან, ეშმაკისაგან დაუცველი. იესო, მოდი ჩემს ცხოვრებაში, მსურს კარი გაგიღო და მოგენდო სრულად, შენ, ჩემს ერთადერთ მაცხოვარს!

# 29 თებერვალი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

# 2016 ორშაბათი

4მეფ 5,1-15; ფს 41-42; ლკ 4,24-30

## არც ერთი წინასწარმეტყველი არ შეუწყნარებიათ თავის მამულში ლკ 4,24

იესოსთან ერთობაში ცხოვრებას, მის სიტყვებში გაფესვიანებას, წმიდა სულით სიარულს შეუძლია მიგვიყვანოს თანამემამულეთა და ოჯახის წევრთაგან უარყოფამდე, როგორც შეემთხვა იესოს. მაგრამ, თუ მტკიცედ დავრჩებით, შევძლებთ შევეწიოთ მათ უფალთან მიახლოებაში!

# I მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

## 2016 სამშაბათი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

### ნუ მოგვიშლი შენს მოწყალებას დან 3,35

დანიელის ვედრების სიტყვებია, რომელიც ჩადენილ ცოდვათა შედეგებად აღიარებს ისრაელის ერის შეჭირვებულ მდგომარეობას. ქრისტიანთა საკრებულოს რამდენი სირთულე შეგვიძლია ამოვიცნოთ იგივე შედეგად! ეს ვედრება, აგრეთვე, მევალის ექოა დღევანდელი იგავიდან: „ცოტაც მაცალე“.
მამა მუდამ მზადაა თავისი წყალობით შეგვმოსოს: საამისოდ კმარა, შევინანოთ და მივუტევოთ.

# 2 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

# 2016 ოთხშაბათი

რჯლ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

## ახლა ისმინე, ისრაელო, წესები და სამართალნი, რომელთაც მე გასწავლით თქვენ

რჯლ 4,1

ჰო, მამაო, შენი მცნებანი შენი სიყვარული, შენი სიბრძნის ძვირფასი საჩუქარია! შენ, რომელმაც გვინდომე და შეგვქმენი, შენ უწყი, რომელი გზა მიგვიყვანს სიხარულში. მოგენდობით შენ და მთელი გულით გვწადია, დაგყვეთ: მადლობა, რომ შეგვეწევი, მადლობა, რომ მოგვიტევებ და წამოგვაყენებ, მუდამ!

# 3 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

(22.II) წმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი, წამებულნი (VIს.)

## 2016 ხუთშაბათი

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

დედის დღე

## მე ვიქნები თქვენი ღმერთი და თქვენ იქნებით ჩემი ერი

იერ 7,23

უფლის ამ დაპირებას წინ უძღვის სიტყვები:
„ისმინეთ ჩემი ხმა და...“. ხოლო იესო იტყვის:
„ვისაც ვუყვარვარ, ის დაიცავს ჩემს სიტყვას“.
მადლობა, იესო, შენი სიტყვისათვის:
შენი ნიჭია, რომელიც, თუ მივიღებ, მაქცევს „შენად“,
შენი ეკლესიის წევრად, რომელიცაა შენი სხეული.
შენი ხმა კვლავაც ცოცხალად ჟღერს:
წმიდა წერილში, ეკლესიაში, ჩემს გულში!

# 4 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

(მოხს.:წმ. კაზიმირი, †1484)

## 2016 პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

## განვკურნავ მათ ორგულობას ოს 14,5

რაგვარად გვკურნავს უფალი?
თავისი სიყვარულის სიდიადის ჩვენებით:
უსასრულოდ ერთგული სიყვარული, ფაქიზი,
მოტევებისთვის და ხელახლა მიღებისთვის გახსნილი,
ხელშესახები სიყვარული,
ყველა ძალას რომ ხმარობს ჩვენს მისაზიდად
და ჩვენში მისი სასოების ხელახლა ასანთებად.
მადლობა, მამაო: შენი ძის, იესოს ჯვარცმული სიყვარუ-
ლი სძლევს ჩემს ორგულობას და აღმიძრავს წყურვილს,
კვლავ შეგიყვარო მთელი გულით, მთელი არსებით.
ამ სიყვარულში კი ადგილს პოვებს ყველა ჩემი ძმა.

# 5 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2016 შაბათი

ოს 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

## სიყვარული მსურს და არა მსხვერპლი ოს 6,6

ჯერ კიდევ წინასწარმეტყველნი, წმიდა სულით განათებულნი, მიმხვდარიყვნენ და ასწავლიდნენ ისრაელის ერს, რომ ის, რაც მოსწონს უფალს, მასთან სიყვარულის ურთიერთობაში გატარებული სიცოცხლეა.
იესო, შენი მსხვერპლით შენ აღასრულე მამის წყურვილი: შვილებად გვაქციე მისთვის! კვლავაც მოგვმადლე წმიდა სული, რათა მისი ნათლით შევძლოთ ვიაროთ სიყვარულის გზაზე!

# 6 მარტი

დიდმარხვის IV კვირადღე, «გ», [IV], ვ

# 2016 კვირა

იესო 5,9.10-12; ფს 33; 2კორ 5,17-21; ლკ 15,1-3.11-32 (ან, "ა" წლის საკითხავები); წირვა "ad libitum": მიქ 7,7-9; ფს 26; იო 9,1-41
მიტევების დღე

## გაიქცა, ყელზე მოეხვია და აკოცა ლკ 15,20

იესო ამგვარად წარმოგვიდგენს ჩვენს ზეციერ მამას: იმ შვილს, რომელმაც მის სიყვარულს მემკვიდრეობის წილი ამჯობინა და თავისთვის წავიდა, რითაც მოუკლა მას გული, ეს მამა ყოველთვის მოელოდა უსაზღვრო სიყვარულით.

მეც, მამი, საბრალო ცოდვილი ვარ: მადლობა შენი ამბორისა და მკლავებისათვის ჩემთისაც რომ შლი!

# 7 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

(მოხს.: წმ. პერპეტუა და ფელიციტა, წამ. † 202/203)

# 2016 ორშაბათი

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

## მე ვქმნი ახალ ცას და ახალ მიწას ეს 65,17

ცაც, მისი ვარსკვლავებით, მისი ლაჟვარდითა თუ ღრუბლებით; და მიწაც, მისი მთებით, დაბლობებით, ამონაზარდით, ახალი მშვენებით ბრწყინდება, როდესაც შენ, იესო ცხოვრობ ჩემს გულში, შენი მშვიდობის მონიჭებით! შენი სიტყვით, შენი საიდუმლოებებით შენ გვამზადებ ახალი, აღმდგარი სიცოცხლის ნიჭისათვის — გმადლობთ, იესო!

# 8 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

(მოხს.: წმ. იოანე ღმრთისა, ბერი †1550)

## 2016 სამშაბათი

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

ქალთა საერთაშორისო დღე

## ყოველი სულიერი არსება, რომელიც იძვრის ყველგან, სადაც მივა ეს ნაკადი, იცოცხლებს ეზეკ 47,9

წყალი სიცოცხლის ნიშანია. წყალი, რომელიც იხილა ეზეკიელმა ტაძრის მარჯვნიდან გამომავალი, გვაფიქრებინებს ჯვარზე იესოს მარჯვენა გვერდიდად დაღვრილ წყალზე; გვაგებინებს იმ სიცოცხლის სიუხვესა და სისავსეს, იესო რომ გვანიჭებს, გვარწმუნებს განკურნებაში, რასაც ეკლესიის მიერ იგი კვლავაც აღასრულებს, როგორც მაშინ ბეთესდას აუზთან.

# 9 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

(მოხს.: წმ. ფრანცისკა რომაელი, მონაზონი, †1440)

# 2016 ოთხშაბათი

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

## ხსნის დღეს შეგეწიე ეს 49,8

მეც შემიძლია გავიმეორო ეს სიტყვები და შენც. გაგვიტარებია სუსხიანი და ბნელი ღამეები, გამოგვივლია შიმშილიც და წყურვილიც... ჩვენი ცოდვების გამო, იესოს სიტყვისადმი ურჩობის გამო იყო რომ დავიტანჯეთ. მაგრამ, გასაჭირში მოვუხმეთ მას, მხოლოდ მას, და მანაც სიცოცხლე აღგვიდგინა თავისი მოტევებით. მადლობა, იესო!

# 10 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

# 2016 ხუთშაბათი

გამ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

## შენ კი გაქცევ დიდ ხალხად გამ 32,10

მოსეს ეუბნება უფალი ამ დაპირებას. მაგრამ, მოსე უკვე თავად ატარებს გულით იმავე სიყვარულს, რომლითაც ღმერთს უყვარს ერი: მისთვის ცხოვრობს და მისთვის, თუნდაც ცოდვილისთვის, იგი ლოცულობს, რათა თავად უფალმა დალოცოს ის და იხსნას. არ უსმენენ მას, არ ემორჩილებიან, ის კი მაინც ლოცულობს მათთვის: უფალი კი ისმენს და მიუტევებს.
რაოდენ დიდი და მშვენიერია ღვთის სიყვარული ადამიანის გულში! მეც ძალმიძს მისი მიღება!

# 11 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

# 2016 პარასკევი

სიბრძ 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

## მათმა ბოროტებამ დააბრმავა ისინი სიბრძ 2,21

წმიდა წერილის ეს ნაწყვეტი წინასწარმეტყველებაა იმაზე, თუ როგორ უარყვეს იუდეველმა მთავრებმა იესო. იესოს გამოვლილ გზას, სხვა და სხვა სიძლიერით განიცდის ყველა, ვინც ცდილობს დაემორჩილოს, დაჰყვეს უფალს, იმათ სიმრავლეში, ვინც ყურს არ უგდებს მის ხმას.

იესო, თავმდაბლად შეგთხოვ, ხელი ჩამჭიდე:
ნუ დაუშვებ, რომ ჩემმა თავკერძობამ დამაბრმავოს,
და შენს წინასწარმეტყველთათვის კარის მიხურვით
უკუვაგდო შენი სიყვარული!

# 12 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

## 2016 შაბათი

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

### შენ მოგანდე ჩემი საქმე იერ 11,20

იერემია, რომელიც სრულად მიენდობა ღმერთს დიდ საცდელებში, რასაც ხვდება წინასწარმეტყველის მისიის შესრულებისას, იესოს, მამისადმი მისი მორჩილი სასოების წინასახეა: სასოება თვით სიკვდილში შებიჯებამდე, მის ხელთ მინდობით. იმედი, რომელიც არ გაცრუებულა: აღდგომის აისი გაბრწყინდება.
იესო, შენთან ერთად მსურს მივენდო მამას,
დღეს და მარადის!

# 13 მარტი

დიდმარხვის V კვირადღე, «გ», [I], ი

## 2016 კვირა

ქს 43,16-21; ფს 125; ფილიპ 3,8-14; იო 8,1-11
(ან, "ა" წლის საკითხავები)
წირვა "ad libitum": 4მეფ 4,18-21.32-37; ფს 16; იო 11,1-45

## წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ იო 8,11

იმ ცოდვილი ქალის მსგავსად მეც, იესო, მარტო დავრჩი, შენთან! შენი მოტევების სიტყვა მაჩუქე, ხელშესახები, ისე ძლიერი, რომ ყველა ბორკილი დაამსხვრია; მე მომანიჭე შენი სიყვარული, ისე მართალი, რომ ყოველ წყურვილს მიკლავს... როგორღა დაგშორდე შენ? კვლავაც და კვლავაც, სამწუხაროდ ვეცემი გზაზე, მაგრამ შენგან შორს ველარ დავრჩები!

# 14 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

## 2016 ორშაბათი

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,12-20

**ის კი შეჰყურებდა ზეცას, რადგანაც უფლის იმედად იყო მისი გული** დან 13,35

რწმენის, უფლის სასოების რამდენ მაგალითს ვხვდებით ბიბლიაში, წმიდანთა ცხოვრებაში, ისევე, როგორც მრავალი თანამედროვე ძმის ცხოვრებაში! დაე, დიდმარხის ეს დასასრული იყოს ჟამი, როდესაც იზრდება მამის სიყვარულისადმი ჩვენი მინდობა და სასოება: მაშინ გაიფურჩქნება იმედი და აყვავდება მშვიდობა და საპასექო სიხარული.

# 15 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

## 2016 სამშაბათი

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

**ყოველი დაგესლილი, ვინც მას შეხედავს, ცოცხალი დარჩება** რიცხ 21,9

უფალო იესო, შენა ხარ მაღლა ჯვარზე, ბრინჯაოს გველის ნაცვლად. მე შენ გიმზერ და ვიკურნები იმ სენისაგან, ჩემი ცოდვა რომ წარმოშობს. ჩემი წუწუნი და ჩივილი და ბრალდებები, მე რომ მაბოროტებენ, იკურნება. შენი შემყურე მეც მივემღვნები მამას რათა ავიღო წუთისოფლის ცოდვა.

# 16 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

(მოხს: (3.III) წმ. იოანე IV (V) კათალიკოსი)

## 2016 ოთხშაბათი

დან 3,14-20.46-50.91-92.95; დან 3,52-56; იო 8,31-42

**თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ** იო 8,31

,,თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით'': თუკი ჩემი ფიქრები და გრძნობები, ჩემი ნაბიჯები და ქმედებები ,,მის სიტყვაშია'', მის სულშია, მის ,,კვალშია'', მაშინ იესოში ვცხოვრობ, მართლა მისი ვარ!

# 17 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I] ი
(მოხს.: წმ. პატრიციუსი, ეპ., †~461)

# 2016 ხუთშაბათი

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

## შენი მხრივ კი უნდა დაიცვა ჩემი აღთქმა

დაბ 17,9

რა მშვენიერია: ვიდრე რამეს მოსთხოვდა აბრაამს, უფალი ჩამოუთვლის მას ყველა მადლს, მთელ სიკეთეს, რისი მიცემაც გადაწყვიტა მისთვის და მისი შთამომავლობისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღუთქვა თავისი სიყვარული და თავმდებად დაუდგა მას, სთხოვს აბრაამს იმ მცირედს, რაც მას მართებს თავის მხრივ. ნამდვილად შემიძლია ვენდო და დავყვე იმ ღმერთს, რომელიც პირველი კისრულობს ვალდებულებებს!

# 18 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I] ი
(მოხს.: წმ. კირილე იერუსალემელი, ეპ. და მოძ. † 386)

# 2016 პარასკევი

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

## უფალი კი ჩემთანაა, როგორც მამაცი მებრძოლი იერ 20,11

მადლობა, იესო, რომ როგორც მამა იყო შენს გვერდით ყოველ განსაცდელში, ასევე შენც ჩემთანა ხარ! მთხოვ ოდენ სიმშვიდეს, სასოებას, სიყვარულში დარჩენას და ჩემი დაცვის შენთვის მონდობას.

# 19 მარტი

წმ. იოსები, ნეტ. ქალწ. მარიამის მეუღლე
დდ, [ს], თ

## 2016 შაბათი

2მეფ 7,4-5.12-14.16; ფს 88; რომ 4,13.16-18.22;
მთ 1,16.18-21.24 ან ლკ 2,41-51

არლის ეკლესიის დღეობა

## იოსები ისე მოიქცა, როგორც უფლის ანგელოზმა უბრძანა მთ 1,24

დღეს ეკლესია თავისი მფარველის, ქალწული მარიამის მეუღლის, წმიდა იოსების ზეიმშია. იგი, ვინც მამობა გაუწია ჩვილ და ყრმა იესოს, იმათი მფარველიცაა ვისაც ეკლესიაში, გინდ ხორციელი, გინდ სულიერი მამობის ვალდებულება აკისრია.

წმიდაო იოსებ, შეეწიე ყველა მამას, მუდამ ეძიონ და უსმინონ უფლის ნებას თავიანთ შვილებთან დაკავშირებით: იხილავენ მათ ზრდას სიბრძნეში, სულგრძელობასა და სიხარულში!

# 20 მარტი

ბზობა, «გ», [ს], წ

## 2016 კვირა

ლკ 19,28-40; ქს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11; ლკ 22,14-23,56

## ილოცეთ, რომ არ ჩაცვივდეთ განსაცდელში ლკ 22,40

იესო, შენ იმის ნიმუში მოგვეცი, თუ როგორ უნდა შევეგებოთ განსაცდელს: შენ ილოცე მამისადმი მთელი შენი ძალებით, სისხლის ოფლამდე! ამ დიდი შვიდეულის მანძილზე მსურს დავესწრო და მონაწილეობა მივიღო შენი ეკლესიის ლოცვაში: მეც მივიღებ ძალებს ჩემი ყოველდღიური ,,ბრძოლისათვის'': შემეძლება შენი ერთგულება და ჩემი რომელიმე ძმაც შეწევნას იპოვის ჩემში!

# 21 მარტი

დიდი ორშაბათი [II] ი

## 2016 ორშაბათი

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

**მე, უფალმა მოგიწოდე სიმართლეში** ეს 42,6

იესო, მამამ, რომელსაც უყვარხარ მარადისობიდან,
ინება შენთვის მოენდო ყველა ჩვენგანის
დახსნის თავისი ჩანაფიქრი. და შენ მიიღე ნება
მისი, განახორციელე ის, მდუმარე სიყვარულში,
დამცირებასა და უსასტიკეს ტანჯვაში
შენი ვნებისა და ჯვარზე სიკვდილისა.
იესო, მამის მხოლოდშობილო ძეო,
მართალო ჩვენ უმართლოთათვის, დიდება შენ!

# 22 მარტი

დიდი სამშაბათი [II] ი

# 2016 სამშაბათი

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

## **მე გაგხდი შენ ხალხების სინათლედ** ეს 49,6

იესო, შენ როდესაც გალილეისა და იერუსალემის
გზებს ადექი, მამის სიყვარულისა და მის დანაპირებთა
აღსრულების უწყებით, შენ მიმართავდი ისრაელის ერს.
ახლა, როცა ახლოვდება შენი სიცოცხლის გაღების
ჟამი, ადამიანთა ხელში საკუთარი თავის გადაცემის
ჟამი, ფიქრობ ყოველ ერზე, მთელ კაცობრიობაზე:
უწყი, რომ შენი მსხვერპლი ხსნა იქნება
ყოველი ჟამის ყოველი ადამიანისათვის, ჩემთვისაც.
თაყვანსა გცემ, უფალო იესო!

# 23

# მარტი

დიდი ოთხშაბათი, [II], ი

წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში

# 2016

# ოთხშაბათი

ქს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

მღვდლებისა და ბერ-მონაზვნების იუბილე

## უფალმა ღმერთმა მომცა მე მცოდნეთა ენა ეს 50,4

თუკი იესოს ნამდვილი მოწაფენი ვიქნებით, თუკი მისგან ვისწავლით, განსაკუთრებით ამ წმიდა დღეებში, საკუთარი ჯვრის ტარებას მამისადმი სიყვარულითა და სასოებით, თავად იესო ჩადებს ჩვენს ბაგეებში საკუთარ სიტყვებს: სიტყვები, რომლებიც ათბობენ და ანათებენ გულს, იმედსა და ახალ სიცოცხლეს რომ ანიჭებენ ამაქვეყნის შეჭირვებულთ.

# 24 მარტი

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

## 2016 ხუთშაბათი

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15
(წირვა “in Cena Domini”)

## იყოს ეს დღე თქვენთვის სამახსოვროდ

გამ 12,14

ისრაელის ერს უნდა აღენიშნა განსაკუთრებული დღესასწაულით ეგვიპტის მონობიდან გათავისუფლება. ჩვენ, იესოს ეკლესია, დღეს და ყოველ დღე, წმიდა ევქარისტიაზე აღვნიშნავთ იესოს ჯვარზე შეწირვას; სიყვარულის ამ აქტით მან გამოგვიხსნა ცოდვისა და სიკვდილის მონობიდან. მადლობა, უფალო იესო!

# 25 მარტი

წითელი პარასკევი, [ს], წ

უფლის ხარება, აღდგომის შვიდეულის გამო აღინიშნება
აღდგომის მეორე კვირის ორშაბათს

# 2016 პარასკევი

ეს 52,13 - 53,12; ფს 30; ებრ 4,14-16; 5,7-9; იო 18,1 - 19,42

მძიმე მარხვის დღე

## შენც მისი მოწაფეთაგანი არა ხარ? იო 18,25

დიახ, ვარ მისი მოწაფე, რაკი იესომ ისე შემიყვარა, რომ თავისი სიცოცხლე გასცა ჩემთვის. ვარ, რადგან მისი ბაგეებიდან ვისმენ მხოლოდ მიტევებისა და მშვიდობის სიტყვებს. ვარ, რადგან მხოლოდ იგი წარმიდგენს ღმერთს როგორც მამას. ვარ, რადგან მხოლოდ მან დაამარცხა სიკვდილი და აქცია ის სიყვარულის აქტად. ვარ, იგია ჩემი მაცხოვარი, ჩემი უფალი და ჩემი ღმერთი.

შენი სისხლი, იესო, გარდმოიღვაროს ჩემზე
და მაქციოს შენს მოწმედ.

# 26 მარტი

დიდი შაბათი [ს]
საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

# 2016 შაბათი

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (†1966)

## გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე მართალი იესო ქრისტე 1იო 2,1ბ-2

დღეს, იესო, შევჩერდები შენს სამარხთან, გიმზერ შენ, ჩემს ღმერთს, ჩემივე სიკვდილი რომ გაიზიარე. შენ ის მიიღე, რათა მამას მუდამ ვყოლოდი თავის მკლავებში სიყვარულითა და გულმოწყალებით. ბრალმდებელი ხომ, შენი მსხვერპლის წინაშე, უნდა დადუმდეს: მადლობა, იესო, შუამდგომელო ქომაგო ჩემო, ჩემო მაცხოვარო!

# 27 მარტი

პასექი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა,
«გ», დღ, [ს], თ

## 2016 კვირა

საქმ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 ან: 1კორ 5,6-8; იო 20,1-9 ან: ლკ 24,1-12 ან: ლკ 24,13-35

## უფალი ჭეშმარიტად აღდგა ლკ 24,34

იესო, ცოცხალი ხარ და სიკვდილი ველარ შეგაშინებს! ყოველ ჟამსა და ყოველ ადგილას იმყოფები, აღდგომის ძალით: ახლა უფალი ხარ, შეგვიძლია გამოგყვეთ, შეგიყვაროთ, გისმინოთ, შეგვიძლია გაგიგონოთ და დავყვეთ შენს ყოველ სიტყვას ყოველ მდგომარეობაში. ჩვენს სიხარულს ველარავინ შეეხება, ცილისწამებაც კი, დევნაც კი. ყოველივე ეს შენთვის აღარ არსებობს!

# 28 მარტი

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2016 ორშაბათი

საქმ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

**ნუ გეშინიათ, წადით და აუწყეთ...** მთ 28,10

ქალები ანგელოზის სიტყვას უჯერებენ და გზაზე ხვდებიან იესოს. იგი მათ პირველ რიგში აწყნარებს, შემდეგ კი მნიშვნელოვან დავალებას აძლევს. მათ უნდა აუწყონ ამ შეხვედრის შესახებ მოწაფეებს. ყველასათვის სასიხარულოა იმის ხილვა, რომ ქალთა ადგილი აღმდგარი იესოსათვის წინ უსწრებს და ასწრებს მოციქულებს!

# 29 მარტი

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2016 სამშაბათი

საქმ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

## იხსენით თავი ამ გარყვნილი მოდგმისაგან

საქმ 2,40

ამ სიტყვებით მიმართა პეტრემ იმ იუდეველებს, რომლებიც მოექცნენ იესოსაკენ, მას შემდეგ, რაც სასიკვდილოდ გადასცეს იგი. აღმდგარი იესო კი, რომელიც იმყოფება თავისიანებში და მათ თანაზიარებაში, ხელს როდი ჰკრავს თავის ჯვარმცმელებს: იგი მათთვისაც მოკვდა, აძლევს მათ სიცოცხლის სიტყვას: ,,ნუ მოატყუებინებთ თავს წუთისოფლის სულს, თქვენთვის სიყვარულისა და სიხარულის წართმევა რომ სურს". ამას გვიმეორებს იესო ჩვენც, საბრალო ცოდვილთ, დღეს! ალელუია!

# 30 მარტი

ოთხშაბათი ბრწყინვალე შვიდდღეულისა [ს], თ

2016 ოთხშაბათი

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

## დარჩი ჩვენთან, ვინაიდან მწუხრი ჩამოდგა

ლკ 24,29

ორმა ემაუსელმა მოწაფემ ისმინა იმ უცხოსაგან, მათ რომ დაემგზავრა, სიტყვები, რომლებიც მათ გულს აღანთებდა; სურვილი ჰქონდათ მასთან დარჩენილიყვნენ... კვლავაც გველაპარაკე, იესო! შენი სიტყვა ცოცხალი ეკლესიაში, წმიდა სახარებაში, გვამხნევებს და სიცოცხლეს გვაძლევს: შენთან ერთად წუთისოფლის ღამე აღარ შეგვაშინებს! ალელუია!

# 31 მარტი

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

# 2016 ხუთშაბათი

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

## სიცოცხლის წინამძღვარი მოჰკალით

საქმ 3,15

დიახ, ადამიანებმა მოკლეს სიცოცხლის შემოქმედი, იესო. მაგრამ კიდევ უფრო მეტიც: იგი თავად გადაეცა სასიკვდილოდ; მიეცა ადამიანთა ხელს, რათა ისინი გამოეგლიჯა მტრის ხელიდან. მხოლოდ სიცოცხლის შემოქმედს შეეძლო სიკვდილის დამარცხება და, თავის უკიდეგანო და ღვთიურ სიყვარულში,
აღასრულა კიდეც: ალელუია!
დიდება, ქება და თაყვანი შენ, უფალო იესო!

# I აპრილი

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

# 2016 პარასკევი

საქმ 4,1-12; ფს 117; ით 21,1-14

## სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა საქმ 4,12

იესოში გვაქვს ჩვენი ცოდვების მიტევება,
ჭეშმარიტი ნათელი სიცოცხლისათვის,
ნამდვილი სიბრძნე მის სიტყვებსა და მაგალითში,
ყოველი მადლი ღვთის შვილებად ცხოვრებისათვის.
მადლობა, იესო, რომ აქ და ახლა ხარ, სამუდამოდ!
მადლობა, შენი რწმენის ნიჭისათვის!

# 2 აპრილი

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

# 2016 შაბათი

საქმ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

## ყველა ადიდებდა ღმერთს მომხდარისათვის საქმ 4,21

რა მომხდარიყო? პეტრე ტაძარში შედიოდა და, იოანესთან ერთად, ისურვა განკურნების ,,მოწყალება გაეცა‘‘ ერთი დავრდომილისათვის, რომელიც ,,ლამაზი‘‘ კარიბჭის წინ იჯდა: უბრძანა მას ამდგარიყო იესო ქრისტეს სახელით. და ახლა იგი დგას მათთან ერთად სინედრიონის წინაშე და ადიდებს ღმერთს მთელ ხალხთან ერთად. ალელუია!

# 3 აპრილი

პასექის II კვირადღე, ღმრთაებრივი გულმოწყალებისა, «გ». [ს]. თ

2016 კვირა

საქმ 5,12-16; ფს 117; გამოცხ 1,9-11.12-13.17.19; ინ 20,19-31

ივლიტის საკრებულოს დღესასწაული

## დადგა შუაში და თქვა: „მშვიდობა თქვენდა!“ იო 20,26

აღდგომიდან რვა დღის შემდეგ იესო კვლავ ეცხადება თავისიანებს. აქვეა თომაც. სურს თომასაც მიანიჭოს თავისი მშვიდობა, მიუძღვნას მთელი თავისი სიყვარული, მიუხედავად იმ ამპარტავნებისა, რამაც შეუშალა მას ხელი, ერწმუნა და გაეხარა სხვებთან ერთად. მადლობა, იესო, ვინაიდან შენ გულმოწყალება აღმოგვიჩინე თომასა და ჩვენ, იმ სიზანტისათვის მოციქულთა მოწმობის წინაშე რომ გამოვიჩინეთ.

# 4 აპრილი

უფლის ხარება, დდ, [ს], თ

# 2016 ორშაბათი

ეს 7,10-14; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ჭიათურის საკრებულოს დღესასწაული

## შენთანაა უფალი ლკ 1,28

ანგელოზი ამ სიტყვებით მიმართავს ყოვლადწმიდა მარიამს, რათა უთხრას მას, რომ ღმერთმა გაიხსენა თავისი ერისათვის მიცემული დაპირებანი და სთხოვს მას მათი განხორციელებისათის მზადყოფნას, როგორც თავის დროზე სთხოვა მოსეს, გედეონს, დავითს და მრავალ სხვას. კურთხევა: „უფალი თქვენთანაო“, ითქმის ჩვენს მიმართაც წმიდა წირვისას. მღვდელი შეგვახსენებს და გვიდასტურებს, რომ იესო ჩვენთანაა, რათა შეგვაძლებინოს მისდამი ერთგულება იმ მისიის შესასრულებლად, რომელსაც მოგვანდობს ჩვენს ოჯახში, სამრევლოში და საზოგადოებაში.

# 5 აპრილი

აღდგომის II კვირა [II] თ

(წმ. ბიკენტი ფერერი, ხუცესი †1419)

# 2016 სამშაბათი

საქმ 4,32-37; ფს 92; იო 3,7-15

## დიდი მადლი იყო ყოველ მათგანზე საქმ 4,33

ისინი, ვისაც უყვართ უფალი იესო და სიყვარულით მორჩილებენ მას, მშვიდობისა და სიყვარულის წყაროდ იქცევიან ერთმანეთისთვის; ამისათვის მათ აფასებენ თავმდაბალნი და გულწრფელნი. სულო წმიდაო, გვაქციე ქრისტიანები ერთი გულისა და ერთი სულის ხალხად, ღვთის სადიდებლად!

# 6 აპრილი

აღდგომის II კვირა [II] თ

## 2016 ოთხშაბათი

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

**წადით და უქადაგეთ ხალხს ამ სიცოცხლის ყოველი სიტყვა** საქმ 5,20

ანგელოზის სიტყვებია, საპყრობილედან მოციქულთა გასათავისუფლებლად რომ მოსულა. იგი მოუწოდებს მათ, ტაძრად მივიდნენ, იესოს სახელით მოქცევისა და ცოდვათა მიტევების საუწყებლად. მათი ქადაგება ნამდვილ სიცოცხლეს მიანიჭებს ყველას, ვინც გაუგონებს მათ!

# 7 აპრილი

აღდგომის II კვირა [II] თ

(მ: წმ. ჟან ბატისტ დე ლა სალ, ხუც. †1719)

# 2016 ხუთშაბათი

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

## მოწმენი ვართ ამ ამბებისა ჩვენ და სულიწმიდა საქ 5,32

ვისაც იესო უყვარს, მას არ აშინებს ადამიანთა მსჯავრი, მოწმობს მათ შესახებ, ადამიანური რიდის გარეშე, უშიშრად, წმიდა სულით გამაგრებული, რომელსაც განუწყვეტლივ ღებულობს მისგან. იესო, მწადია სულ უფრო ძლიერ მიყვარდე, მსურს დაგყვე შენ!

# 8 აპრილი

აღდგომის II კვირა [II] თ

# 2016 პარასკევი

საქმ 5,34-42; ფს 26; იო 6,1-15

## დაუცხრომლად ასწავლიდნენ და ახარებდნენ რომ იესო ქრისტეა საქ 5,42

წმიდა სულით აღსავსე მოციქულები ტაძარში და სახლში დაუცხრომლად ასწავლიდნენ ერს, რომ იესო ქრისტეა. აკეთებდნენ ამას წერილების შედარებით იესოს ცხოვრებასთან. მისი შობისათვის შეეძლოთ მეორე ფსალმუნის მოყვანა: ,,ჩემი ძე ხარ შენ, დღეს გშობე შენ“; ვნებისათვის, ესაიას წიგნის 53-ე თავიდან: ,,როგორც კრავი, დასაკლავად რომ მიჰყავთ, და როგორც ცხვარი, მის მპარსველთა წინაშე რომ დუმს“; აღდგომისათვის, 16-ე ფსალმუნი: ,,...გასახრწნელად არ გაიმეტებ შენს წმიდას“.

# 9 აპრილი

აღდგომის II კვირა [II] თ

# 2016 შაბათი

საქმ 6,1-7; ფს 32; იო 6,16-21

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

## ილოცეს და ხელები დაასხეს მათ საქ 6,6

ისინი, ვინც არჩეულნი არიან ეკლესიაში რაიმე მისიის აღსასრულებლად, დღესაც ფლობენ საკრებულოს ლოცვას, რომელიც მიავლენს და ეპისკოპოსის კურთხევასა და ხელდასხმას. მამაო სახიერო, კვლავაც მოავლინე წმიდა მღვდლები და დიაკვნები შენს ყანაში!

# 10 აპრილი

პასექის III კვირადღე, «გ», [III], თ

2016 კვირა

საქმ 5,27-32.40-41; ფს 29; გამოცხ 5,11-14; ი‍ო 21,1-19

## კარგად იცოდნენ, რომ უფალი იყო ი‍ო 21,12

სხვადასხვა ნიშნებით შეძლეს მოციქულებმა აღმდგარი იესოს ამოცნობა. ნაპირზე მდგარმა უცნობმა მათ „შვილებოო“ მიმართა, და ისიც უთხრა, რომ ნავის მარჯვენა მხარეს ესროლათ ბადეები: „მარჯვენა მკლავით“ არაა რომ მოქმედებს ღმერთი?! დაბოლოს მისმა სიტყვამ გაამჟღავნა იგი: ბადე გაივსო თევზით. იოანე ყველაზე გულისხმიერი გამოდგა აღმდგარი იესოს იქ ყოფნის ამოცნობაში. მადლობა, იესო, მათთვის, ვინც გვეხმარება შენს ამოცნობაში.

# 11 აპრილი

აღდგომის III კვირა [III] თ
(წმ. სტანისლავი, ეპ. და წამ. †1079)

# 2016 ორშაბათი

საქმ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

**სტეფანე კი, მადლით და ძალით აღსავსე, დიდ სასწაულებსა და ნიშნებს ახდენდა ხალხში** საქ 6,8

სტეფანეს, ერთ პირველ დიაკვანთაგანს,
მთელი გულით უყვარს იესო: ამგვარადაა რომ მისგან
აღივსება წმიდა სულით, ვისი ძალითაც ახდენს
თავისივე უფლის მსგავს სასწაულებს.
ჩვენც მოგვანიჭე, იესო, შენ შეგიყვაროთ
და ამგვარად კეთილად დაგამოწმოთ!

# 12 აპრილი

აღდგომის III კვირა [III] თ

# 2016 სამშაბათი

საქმ 7,51 - 8,1; ფს 30; იო 6,30-35

## დაინახა ღვთის დიდება და ღვთის მარჯვნივ მდგარი იესო საქმ 7,55

იესო ეცხადება მათ, ვისაც უყვარ ის. სტეფანე ერთი ამათგანია; იესოსადმი თავისი ერთგულების გამო, მაშინ, როცა კლავდნენ მას, იხილა მისი დიდებით მოსილი სახე.

სულო წმიდაო, შემეწიე, დავყვე იესოს ყოველ დღე, სიყვარულით!

# 13 აპრილი

აღდგომის III კვირა [III] თ

(წმ. მარტინ I, პაპი და წამებული, †655)

# 2016 ოთხშაბათი

საქმ 8,1-8; ფს 65; იო 6,35-40

## მრავალი დავრდომილი და კოჭლი იკურნებოდა საქ 8,7

იესო დაგვპირდა: ,,ვისაც სწამს ჩემი,
იმ საქმეებსაც აღასრულებს, რასაც მე ვასრულებ...“
დღევანდელი სიტყვა გვიდასტურებს ამას;
იგივე ხდება დღესაც, გინდ სულიერი გაგებით,
გინდ, ზოგჯერ, ხორციელადაც.
მოგვანიჭე, იესო, ცოცხალი რწმენა შენში
და შენი სიყვარულით შეგვაყვარე ყოველი ადამიანი!

# 14 აპრილი

აღდგომის III კვირა [III] თ

# 2016 ხუთშაბათი

საქმ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

## გახსნა ფილიპემ ბაგეები და ახარა იესოს შესახებ საქ 8,35

ფილიპე, წმიდა სულით აღძრული, შეხვდება ეთიოპიის დედოფლის ერთ მოხელეს. გაიგო რა, რომ ესაია წინასწარმეტყველის წიგნს კითხულობდა, ,,იაჰვეს მორჩილის" ადგილს, ჰკითხა, ესმოდა თუ არა, რასაც კითხულობდა. ამ მუხლით დაწყებული უხსნის მას, რომ იესოა ,,დასაკლავად წაყვანილი კრავი, პირი რომ არ გააღო", რომელსაც წაართვეს სიცოცხლე, მაგრამ, რომლის შთამომავლობა ახლა უთვალავია.

მადლობა, იესო, ყველა იმათთვის,
ვინც გვიმარტავენ წერილებს და გვეხმარებიან,
ვირწმუნოთ, რომ შენა ხარ ღვთის ძე!

# 15 აპრილი

აღდგომის III კვირა [III] თ
(2.IV) წმ. გიორგი მაწყვერელი

# 2016 პარასკევი

საქმ 9,1-20; ფს 116; ინ 6,52-59

## მე ვაჩვენებ მას, რამდენი უნდა იტანჯოს ჩემი სახელის გულისთვის საქ 9,16

იესოს სიყვარულში ზოგჯერ ტანჯვასაც ვხვდებით ხოლმე; მართლაც, მისი ნების აღსასრულებლად, საჭიროა მივატოვოთ ჩვენი ნება, შესაძლოა აუზჩად აგვიგდოს და გვდევნოს მან, ვისაც არ უყვარს იგი, აუცილებელია, აგრეთვე, მრავალი განსაცდელის გამოვლა მის სასუფეველში შესასვლელად.
მოდი, სულო წმიდაო, წარგვიძეხ და შეგვეწიე!

# 16 აპრილი

აღდგომის III კვირა [III] თ

# 2016 შაბათი

საქმ 9,31-42; ფს 115; ინ 6,60-69

## **მრავალმა იწამა უფალი** საქ 9,42

ეს სიტყვა მაგონებს ერთ ნიშანს, რომელიც ვთხოვე
იესოს მისი მოწოდების დასტურად. თუკი მიჩვენებდა
ადამიანებს, რომლებიც მისთვის ცხოვრობდნენ,
სრულებით მის განგებაზე მინდობილნი,
მივატოვებდი ყველაფერს და გავყვებოდი მას.
დიდად ვმადლობ მას ამ ნიშნისათვის!
მადლობა, იესო, იმ სასწაულებისათვის, რომლითაც
შენს მოყვარულებს უჩვენებ, რომ შენა ხარ უფალი!

# 17 აპრილი

პასექის IV კვირადღე, «გ», [IV], თ

# 2016 კვირა

საქმ 13,14.43-52; ფს 99; გამოცხ 7,9.14-17; იო 10,27-30

## ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ იო 10,27

მადლობა, იესო: მე ვარ შენი ,,ცხვარი", რადგან შენ
შემიძინე შენი სისხლის ფასად, რათა სამარადისოდ
ვიყო შენი. ქმენ, რომ სიყვარულით გისმინო,
შენს სადიდებლად და ძმათა სასიკეთოდ!
შენი ხმა და შენი სიტყვა იყოს ჩემი სიცოცხლე.

# 18 აპრილი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

# 2016 ორშაბათი

საქმ 11,1-18; ფს 41-42; io 10, 1-10

## წარმართებსაც მისცა ღმერთმა მოქცევა

საქმ 11,18

,,წარმართები‘‘, რომლებზეცაა საუბარი ასისთავი კორნელიუსი და მისი ოჯახია. ღმერთმა თავისი ანგელოზის საშუალებით მოუხმო კორნელიუსს პეტრეს საძებრად გაეგზავნა ხალხი. მოციქულმა კი, კორნელიუსის შიკრიკების მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ხილვა ნახა, მის შესამზადებლად, რათა გაჰყოლოდა მათ. მადლობა, სულო წმიდაო, როგორც განაგებ იმათ საგნებსა და მოვლენებს, ვინც ცდილობს შეიცნოს და შეიყვაროს უფალი! გმადლობთ, რომ იესოს სიკვდილისა და აღდგომის უწყებით შენ ხსნი გულებს რწმენისა და სიყვარულისათვის!

# 19 აპრილი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

## 2016 სამშაბათი

საქმ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

**მე და მამა ერთი ვართ** იო 10,30

მადლობა, უფალო იესო, რომ  გვეცხადები ღმერთის მხოლოდშობილ ძედ, სრულებით რომ მამასთანაა ერთობაში. სახარებაში ნანახი შენი ქმედებანი გვიდასტურებენ ამას. მოგვანიჭე რწმენა და სიყვარული, რათა ყველამ პოვოს შეწევნა შენს სარწმუნებლად!

# 20 აპრილი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

# 2016 ოთხშაბათი

საქმ 12,24 - 13,5; ფს 66; იო 12,44-50

## არ მოვსულვარ სოფლის განსაკითხავად

იო 12,47

მადლობა, უფალო იესო, რომ მოხვედი ჩვენს დასახსნელად. არავინ, ვინც შენ მიგიღო, დაგყვა და მოგენდო, არ გაწბილდება! შენში გვექნება ნამდვილი მშვიდობა და სიხარული, რაც გვწყურია.

# 21 აპრილი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

(წმ. ანსელმი, ეპ. და ეკლ.მოძღ. †1109)

## 2016 ხუთშაბათი

საქმ 13,13-25; ფს 88; ით 13,16-20

## ღმერთმა მოუვლინა ისრაელს მხსნელად იესო საქ 13,23

წმ. პავლემ ეს სიტყვები წარმოთქვა პისიდიის ანტიოქიაში (დღევანდელი თურქეთი) მცხოვრები ებრაელების წინაშე. იგი მოკლედ ჰყვება დახსნის ისტორიას, ისრაელის ერის ეგვიპტიდან გათავისუფლებიდან დაწყებული ვიდრე იესომდე, რომელზეც ამბობს, რომ ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით. წმ. პავლე ამბობს მასზე, რომ იგია აღთქმული მესია.

მადლობა, აღმდგარო იესო, რომ მეც დამიხსენი ფულის „ღვთაების" მონობისაგან, რომელიც ზედაპირულს მხდიდა შენი სიტყვის სმენაში და მოყვასის სიყვარულში, და რომ მომმადლე შენთან მეთანამშრომლა!

# 22 აპრილი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

# 2016 პარასკევი

საქმ 13,26-33; ფს 2; იო 14,1-6

## ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემით იო 14,6

იესო, შენა ხარ ერთადერთი პიროვნება, ჩვენთვის ზეციერი მამის გაცნობა რომ ძალუძს, და შენ ხარ ერთადერთი, რომელსაც შეგიძლია მიგვიყვანო მასთან შეხვედრამდე, რათა სამუდამოდ მასთან ვიცხოვროთ. შენ მოგენდობი.

# 23 აპრილი

აღდგომის IV კვირა [IV] თ
(წმ. გიორგი, წამებული †303
წმ. ადალბერტი, ეპ. და წამ. †997)

# 2016 შაბათი

საქმ 13,44-52; ფს 97; ио 14,7-14

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება († 1943)

## მე დაგაყენე წარმართთა ნათლად საქმ 13,47

ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდანაა ეს სიტყვები, რომლებსაც პავლე და ბარნაბა საკუთარ თავზე ისმენენ. მას სურს ჩვენც გვაქციოს თავისი ხსნის იარაღად მრავალთათვის. რა შეგვიძლია გავაკეთოთ და რისი კეთება გვმართებს? თავად იესო გვეუბნება სახარებაში: ვიწამოთ იგი, მივენდოთ მას, ჩვენი დრო მას მივუძღვნათ!

# 24 აპრილი

პასექის V კვირადღე,«გ», [I], თ

## 2016 კვირა

საქმ 14,21-27; ფს 144; გამოცხ 21,1-5; იო 13,31-33.34-35

## როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი იო 13,34

ეს ახალი მცნება იესომ საიდუმლო სერობისას მოგვცა, როცა ჯვარზე განდიდების ჟამი ახლოვდებოდა. იგი მიუთითებს თავის მოწაფეებს, რომლებიც მესიანურ საკრებულოს შეადგენენ, მიბაძონ მის სიყვარულს. ამგვარად ისინი ძმურად იცხოვრებენ მისი სიყვარულისათვის, ერთი მეორის საკუთარ თავზე მეტად მიჩნევით, ეცდებიან ივარჯიშონ ურთიერთ მორჩილებაში და უფრო სხვათა სარგებელზე იზრუნებენ, ვიდრე საკუთარზე. მადლობა, იესო!

# 25 აპრილი

წმ. მარკოზ მახარობელი, დ, [ს], წ

## 2016 ორშაბათი

1პეტ 5,5-14; ფს 88; მარ 16,15-20

**ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს** 1პეტ 5,5

დახსნის ისტორიაში, კაცობრიობის ისტორიაში და ჩვენს პირად ისტორიაში ეს სიტყვა მუდამ მართალი ჩნდება. იესოში, მის დედა მარიამში, ისევე, როგორც მის წმიდანებში ბრწყინავს ნამდვილი თავმდაბლობა, ის, მეც რომ შევნატრი. მოდი, სულო წმიდაო, შენ წმიდა მარკოზის შთამაგონებელო!

# 26 აპრილი

აღდგომის V კვირა [I] თ

# 2016 სამშაბათი

საქმ 14,19-28; ფს 144; ио 14,27-31

## მივდივარ და დავბრუნდები თქვენთან

იო 14,28

მწამს, იესო, რომ შენ ამ ქვეყნიდან დაბრუნდი მამასთან, მის მარჯვნივ; მწამს, აგრეთვე, ის რომ შენ იმყოფები ჩვენს შორის, ვისაც გვწამს შენი, და მწამს, რომ ხილულად დაბრუნდები წუთისოფლის აღსასრულს. მოგვანიჭე, მთელი გულით შენი შეყვარების მადლი!

# 27 აპრილი

აღდგომის V კვირა [I] თ

# 2016 ოთხშაბათი

საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

## უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ

იო 15,5

უშენოდ, იესო... სწორედაც რომ არაფრის! როცა შენ არა ხარ, საკუთარ თავს გამოვფენ ხოლმე, და ჩემი ძმები ამ დროს რას ხედავენ და რას აღიქვამენ? ოდენ ამაოებასა და ამპარტავნებას! უშენოდ ჩემი კეთილი საქმენი ,,ბინძური სამოსელია‘‘, როგორც იტყოდა ესაია. შენთან ერთად კი, წმიდა სულით ვარ გარშემორტყმული და ვატარებ მის სიყვარულს, რაოდენ ღარიბულადაც არ უნდა ვაკეთებდე ამას, უუნაროდ, უძლურად და სნეულად.

# 28 აპრილი

აღდგომის IV კვირა [IV] თ

(წმ. ლუი მარი გრინიონ დე მონფორტი, ხუც.†1716; წმ. პეტრე შანელი, ხუც. და წამ. †1841; წმ. ჯანა ბერეტა მოლა †1962)

2016 ხუთშაბათი

საქმ 15,7-21; ფს 95; ინ 15,9-11

## დარჩით ჩემს სიყვარულში ინ 15,9

იესომ მოგვანიჭა მამისაგან მიღებული მთელი სიყვარული, მთელი მისი სიბრძნე, და მოგვიწოდებს გულით შევინახოთ ისინი, მისი სიტყვის ცხოვრებაში გატარებით. იესო, მოგვანიჭე შენი სულის ძალა!

# 29 აპრილი

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწ. და ეკლ. მოძღვ.
ევროპის მფარველი (მ) †1380

# 2016 პარასკევი

1იო 1,5-2,2; ფს 102; მთ 11,25-30

წითელი პარასკევი მართლმადიდებელ ეკლესიაში

## თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, საკუთარ თავს ვატყუებთ 1იო 1,8

წმ. იოანე საუბრობს მამაზე, რომელიცაა ნათელი. ისინი, ვინც, იესოს წყალობით, იცნობენ მას, ნათელში არიან, ცოდვის წყვდიადიდან გამოსულები, აღარ არიან ღმერთისგან შორს. თუმცა იესოს კვალში ვდგავართ, კვლავაც შეგვიძლია დაცემა, ამიტომაც, ვინც ამბობს, რომ უცოდველია, ატყუებს თავის თავს. წმიდანებმა აღიარეს თავიანთი ცოდვა და ითხოვეს პატიება. შევთხოვოთ წმ. ეკატერინეს, მოგვიპოვოს იესოსგან თავმდაბლობის მადლი, ჩვენთვის, რათა შევიცნოთ ჩვენი ცოდვები, და ევროპის ხალხებისთვის, რათა აღიარონ ის დიდი ცოდვა, რომლებშიც იხრჩობიან და მოექცნენ.

30 აპრილი

აღდგომის V კვირა [I] თ

(წმ. პიუს V, პაპი †1572; (17.IV) წმ. ეფრემ ღიდი მაწყვერელი)

2016 შაბათი

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

დიდი შაბათი მართლმადიდებელ ეკლესიაში

## მოდი მაკედონიაში და დაგვეხმარე საქ 16,9

მათ, ვისაც უყვარს და ემსახურება მას, უფალი შეიძლება დაელაპარაკოს ხილვაშიც, რათა თავისი ნება უჩვენოს, როგორც შეემთხვა წმიდა პავლეს. ჩვეულებრივ კი იგი გველაპარაკება თავისი ეკლესიის მიერ. მზად ვიქნებით, გავუგონოთ და დავყვეთ მას?

# I მაისი

პასექის VI კვირადღე,«გ», [II], თ

## 2016 კვირა

საქმ 15,1-2,22-29; ფს 66; გამოცხ 21,10-14,22-23; იო 14,23-29

აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

## ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება იო 14,27

ნამდვილი პასექის ნაყოფი, იესოს ვნების, სიკვდილისა
და აღდგომის ნაყოფი ნამდვილი მშვიდობაა!
იესო, შენ დაამარცხე ყოველი ბოროტება ჩვენთვის:
ცოდვა, სიკვდილი! სასოებით ვდგავართ შენთან,
ვცდილობთ ვისმინოთ შენი ხმა და დაგყვეთ: შენ
ღებულობ ყოველ ჩვენს სწრაფვას სიცოცხლისა
და სიხარულისაკენ, თანხმობისა და სიწმიდისაკენ:
ღატაკნი ვართ, იესო, მაგრამ შენნი! ალელუია!

# 2 აპრილი

აღდგომის VI კვირა [II] თ

(წმ. ათანასე (მ) ეპ. და ეკლ. მოძ. †373)

## 2016 ორშაბათი

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26 - 16,4

1 მაისი - წმ. იოსებ მშრომელის ხსენება,
უდის „ქვედა ეკლესიის“ დღესასწაული

მიცვალებულთა დღე მართლმადიდებელ ეკლესიაში

## უფალმა გაუხსნა გული პავლეს ნალაპარაკევის მოსასმენად საქ 16,14

რწმენა მადლია. ოღონდ ისეთი მადლი, რომლის მინიჭებაც ყველასათვის სურს მამას: ყველასათვის გასცა თავისი სიცოცხლე იესომ და დაამარცხა სიკვდილი. უფალს სურს, ყველას გაუხსნას გული, თუმცა იცდის, რადგან არა სურს ძალადობა; თავისი სიბრძნით მოელის იმ წუთს, როდესაც მის საჩუქარს შეიწყნარებენ. მოდი, სულო წმიდაო, შენ რომელიც იცნობ მამის გულს... და ჩემს გულს!

# 3 მაისი

წმიდანნი ფილიპე და იაკობ მოც., დ, [ს], წ

## 2016 სამშაბათი

1კორ 15,1-8; ფს 18; იო 14,6-14

### ვინც მე მიხილა, მამა იხილა იო14,9

ფილიპე დიდი ხანი ცხოვრობდა იესოსთან, არადა
ჯერაც არ იცნობდა მას ნამდვილად... მეც მოგმართავ,
იესო ლოცვით, გიღებ ზიარებაში, ვფიქრობ შენზე...,
არადა ჯერაც არ გიცნობ!
მსურს დავიწყო ახლა შენთან მჭიდრო კავშირი,
სრული სასოებითა და ნდობით: შენა ხარ ჩემთვის
მამაზეციერის მარადიული სიყვარული! ალელუია!

# 4 მაისი

აღდგომის VI კვირა [II] თ

## 2016 ოთხშაბათი

საქმ 17,15.22 - 18,1; ფს 148; ით 16,12-15

### თავად ანიჭებს ყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს საქმ 17,25

ღმერთო ჩემო, უფრო სწორედ, მამაო ჩემო, შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო, არადა ჩემი ცხოვრების რაოდენ დიდი ნაწილი არ მახსოვდი შენ, რაოდენ ხშირად კვლავაც მავიწყდები შენ ყოველდღიურ ორომტრიალში. შენ ყოველ წამში ხარ ჩემი სიცოცხლის მომნიჭებელი, საუკუნო სიცოცხლის მომნიჭებელი. მადლობა შენი სიყვარულისთვის, რომლითაც ვარსებობ!

# 5 მაისი

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «გ», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს

## 2016 ხუთშაბათი

საქმ 1,1-11; ფს 46; ებრ 9,24-28; 10,19-23; ლკ 24,46-53

### **ამაღლდა ზეცაში** ლკ 24,51

ამ წმიდა დღეს შენით ვხარობთ, იესო: გიმზერთ შენ ,,ზეცად რომ მაღლდები‘‘! შენ მხოლოდ დამდაბლდი თავად, მსახურად იქეც; აქციე შენი ცხოვრება სიყვარულის მუდმივ, სრულყოფილ ძღვენად. ახლა კი თავად მამა განგადიდებს, აჰყავხარ თავის გვერდით, გაჯილდოვებს: შენი სისხლის მიერ, შენთან ერთად შეგიძლია გყავდეს, აწ უკვე გამოსყიდული, თითეული ჩვენგანი! იესო, შენ მამა გაახარე! ალელუია!

# 6 მაისი

აღდგომის VI კვირა [II] თ

# 2016 პარასკევი

საქმ 18,9-18; ფს 46; იო 16,20-23

## ნუ შეგეშინდება, არამედ ილაპარაკე და ნუ დადუმდები საქმ 18,9

ამ საპასექო დღეებში ხელახლა ვპოვეთ უფრო ცოცხალი თანაზიარება შენთან, იესო, და აღარ გვეშინია! ყველას სჭირდები, რომელიცა ხარ ერთადერთი ნამდვილი სიცოცხლე; გვსურს შენი თავი ვაუწყოთ ყველას, თუნდაც მხოლოდ ერთი ღიმილით, გამგები მზერით, შენი სიყვარულიდან მომდინარე ერთი სიტყვით!

# 7 მაისი

აღდგომის VI კვირა [II] თ

# 2016 შაბათი

საქმ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი

კატექისტებისა და ბავშვების იუბილე

## მადლის ქმედებით გამხდარიყვნენ მორწმუნენი საქმ 18,27

წმიდა პავლემ დაწერა, რომ „ვერავინ იტყვის, რომ იესო უფალია, თუ არა წმიდა სულის მოქმედების ქვეშ“. გწამდეს, რომ იესოა ღმერთის „სახე“, რომ მისი სიტყვა ერთადერთი საიმედო მეგზურია, რომ მისი მსხვერპლი აღმადგენს ღმერთთან და ძმებთან თანაზიარებაში, რომ სიკვდილზე მისი გამარჯვება ნამდვილი იმედის საფუძველია, რომ იგია ის, ვისაც შემიძლია მივანდო ჩემი ცხოვრება, წმიდა სულის ნამოქმედარია. წმიდა სული კი... მუქთახორა როდია! იმის მოლოდინშია, რომ მოვუხმო მას, მივცე მას შესაძლებლობა, იმოქმედოს. მოვუხმოთ მას ყოველდღიურად, როგორც მოგვიწოდებს, აი უკვე კარგა ხანია, პაპი ფრანცისკე.

# 8 მაისი

პასექის VII კვირადღე,«გ», [III], თ

## 2016 კვირა

საქ 7,55-60; ფს 96; გამოცხ 22,12-14.16-17.20; იო 17,20-26

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენების დღე

**რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი — შენში** იო 15,17

ამაღლებასა და სულთმოფენობას შორის ვისმენთ იესოს ამ ვედრებას, პასექში შესვლამდე რომ აღავლინა მამისადმი. ეჭვგარეშეა, ამით უფალმა მამის ყოვლად სანუკვარი სურვილი გააჟღერა: მოწაფეთა ერთობა! შეუძლებელი როდი ყოფილა, რაკი ის მადლია, რასაც ღმერთი გვიწვდის ჩვენ. ჩვენი ერთობის წყარო და ნიმუში მისა და მამის ერთობაში მოგვეძევება. მოდი სულო წმიდაო! მამაო, იყავნ ნება შენი!

# 9 მაისი

აღდგომის VII კვირა [III] თ

# 2016 ორშაბათი

საქ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

ფაშიზმზე გამარჯვების დღე

## **გადმოვიდა მათზე სულიწმიდა** საქ 19,6

იესო, როცა აღასრულე შენი მისია დედამიწაზე, დაბრუნდი მამასთან; და შენი მოწაფენი სიხარულით და ლოცვის სულით არიან აღვსილნი! მსგავსი რამ ხდება ხოლმე, როცა ესა თუ ის ძმა ნამდვილი სიყვარულის აქტით გიერთდება შენ: მაშინ, იდუმალი სახით, ვგრძნობ გულში შენს სიხარულს და უფრო ცოცხალ კავშირს შენთან!

იესო, მამის მარჯვნივ მჯდომარევ, შენ კვლავაც და უფრო ძლიერადაც ხარ ჩვენთან და ჩვენთვის! ალელუია!

# 10 მაისი

აღდგომის VII კვირა [III] თ

# 2016 სამშაბათი

საქმ 20,17-27; ფს 67; იო 17,1-11

## ვემსახურებოდი უფალს მრავალი ცრემლითა და განსაცდელებით საქმ 20,19

ასე ამბობს წმიდა პავლე ეფესოს უხუცესებთან გამომშვიდობებისას. მოციქულთა განსაცდელებისა და ტანჯვათა მოსმენით გული გვემლევა: როდესაც რაიმე მცირეოდენ მსახურებაში ჩვენს სამრევლოსა თუ სხვა ეკლესიურ ჯგუფში ვაწყდებით ვერგაგებას, ან შურისა თუ ეჭვიანობის საგანი ვხდებით, განვმტკიცდეთ: ესენი იესოსათვის უფრო ნამდვილი და სუფთა სიყვარულის მიძღვნის შესაძლებლობებია! იგი გაიხარებს ამით და მისი სამეფოც გამდიდრდება!

# II მაისი

აღდგომის VII კვირა [III] თ

# 2016 ოთხშაბათი

საქმ 20,28-38; ფს 67; იო 17,11-19

## გაუფრთხილდით თქვენს თავსაც და თქვენს სამწყსოსაც საქმ 20,28

პავლე მოციქული ამგვარად მოუწოდებს ეფესოს უხუცესებს და შეახსენებს მათ, რომ თავად წმიდა სულმა დაადგინა ისინი ამ სამწყსოს მწყემსებად, იმ ეკლესიის მწყემსებად, რომელიც ღმერთმა შეიძინა საკუთარი ძის სისხლის ფასად. დიდი დავალებაა საკუთარ თავში და სხვებში რწმენის დაცვა; პასუხისმგებლობაა, რომელმაც შეიძლება შეგვაშინოს. თავად იესომ სთხოვა მამას ჩარეულიყო: ,,მამაო წმიდაო, შენს სახელში დაიცავი ისინი, ვინც მე მომეცი" და მათთვის გასწირა საკუთარი თავი. ყოველი დავალება, ყოველი გარჯა და ყოველი პასუხისმგებლობა შეიძლება, მეტიც, უნდა იყოს განცდილი მუდამ მისადმი ნდობით, ვინც მიგვავლინა.

# 12 მაისი

აღდგომის VII კვირა [III] თ
(წმმ. ნერეოს და აქილევსი, წამ. †IIIს.;
წმ. პანკრაციუსი, წამ. † 304)

## 2016 ხუთშაბათი

საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26

წმ. ანდირა მოციქულის დღესასწაული საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

## გამხნევდი, ვინაიდან, როგორც იერუსალიმში მოწმობდი ჩემზე, ასევე რომშიც გმართებს დამოწმება საქ 23,11

ამაღფრთოვანებს პავლე მოციქული: მე უკან დავიხევდი... შესაძლოა პავლესაც დაეხია უკან... მაგრამ იესოს ამ სიტყვებმა მის ყურს რომ მისწვდა, ხმამ, რომელიც გულში მოესმა, აქცია იგი გაბედულ მოწმედ. ზეციდან მომდინარე ძალა, წმიდა სულის შემწეობა, იესომ რომ აღგვითქვა, კვლავაც მოქმედებს: რამდენი ძმა დღესაც მოწმობს იესოს საკუთარი სიცოცხლის ფასად.
მოდი, სულო წმიდაო, შენ, რომელიც მიჩურჩულებ: ,,გამაგრდი, შენი მოწმობა აუცილებელია, ძვირფასი!“.

# 13 მაისი

აღდგომის VII კვირა [III] თ

ფატიმის ნეტ. ქალწ. მარიამი-1917

# 2016 პარასკევი

საქმ 25,13-21; ფს 102; ით 21,15-19

## ვიღაც გარდაცვლილი იესო, რომლის შესახებაც პავლე ამტკიცებდა, ცოცხალიაო

საქმ 25,19

იმ იესოსათვის, რომელსაც შეხვდა, პავლემ დაითმინა მრავალი დევნა და თვით მოწამეობაც: იესოს სიყვარული იყო მისთვის ყველაფერი, და ის უფრო ხელშესახები იყო მისთვის, ვიდრე ყოველი სხვა სიკეთე.

იესო, შენ ცოცხალი ხარ, შენ გიყვარვართ: მიიღე დღეს ჩვენი გარჯა, ჩვენი სიხარული, ჩვენი გრძნობა!

შენა ხარ ჩვენი ყველა!

# 14 მაისი

წმ. მატათია მოციქული, დ, [ს], წ

# 2016 შაბათი

საქმ 1,15-17.20-26; ფს 112; იო 15,9-17

## მე აგირჩიეთ თქვენ იო 15,16

შენ აგირჩია იესომ: ათასთა და ათასთა შორის, შეგიყვარა განსაკუთრებული სიყვარულით, მოგიხმო თავისთან ღრმა თანაზიარებამდე, მისი სიხარულის დაგემოვნებამდე, დახსნის მისი მისიის გაზიარებამდე. ნუ ჰკითხავ, რატომ, მხოლოდ ჰმადლობდე, გაიხარე მისი სიყვარულით და მისი მშვიდობით; და უთხარი, რომ გიყვარს იგი: მას სჯერა შენი და ხარობს შენით!

# 15 მაისი

სუთმოფენობა, «გ», დდ, [ს], წ

## 2016 კვირა

საქმ 2,1-11; ფს 103; რომ 8,8-17; იო 14,15-16.23-26

ბათუმის ახალი ეკლესიის დღესასწაული

## სული წმიდა გასწავლით ყოველივეს იო 14,26

ვის ძებნაში ვართ? მოძღვარი ხომ ჩვენშივეა! ვიზრუნებ იმაზე, რომ არ ვაიძულო მას ჩემი დატოვება, არ დავამწუხრო, მეტიც, ყველაფერს ვიზამ, რათა მუდამ დარჩეს, დაბრუნდეს ყოველი ჩემი ცოდვის შემდეგ, კვლავაც მისი ხმა უფრო ძლიერად ჟღერდეს ამაქვეყნის ყველა ხმებს შორის. ამისათვის არ მოვშორდები იესოს, ყურს დავუგდებ მას, დავუთმობ ადგილს მას ჩემს გულში: იგი კვლავაც მობერავს ჩემში თავის სულს!

# 16 მაისი

რიგითი VII კვირა [III] მწ

(3.V) წმ. მამაი კათალიკოსი; (3.V) ღირ. მამანი მიქაელ
და არსენ ულუმბოელნი

2016 ორშაბათი

იაკ 3,13-18; ფს 18; მარ 9,14-29

## მაღლიდან გარდმომავალი სიბრძნე წმინდაა, მერე მშვიდობიანი, ლმობიერი, ნებიერი იაკ 3,17

ამ სიტყვის წყალობით ვსჭვრეტთ წმიდა სულს, გუშინ რომ მოგვეცა ჩვენ. იგი წმინდაა: არაფერსა და არავის აყენებს იესოსა და მამის გვერდით; მშვიდობიანია: შეუძლია სიმყუდროვე ჩამოაგდოს სხვებთან ურთიერთობაში; ლმობიერია: არც ძალადობით პასუხობს და არც თავს ახვევს სხვებს; ნებიერია, დამყოლი: უწყის, რომ არა საკუთარ თავში, არამედ ღმერთშია დაცვა საკუთარი თავისაც და სიმართლისაც.

# 17 მაისი

რიგითი VII კვირა [III] მწ

# 2016 სამშაბათი

იაკ 4,1-10; ფს 54; მარ 9,30-37

## მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ თქვენ იაკ 4,8

რა თქმა უნდა, რომ ღმერთი, მამა ჩვენი, არასოდეს გვშორდება, მისი სიყვარული მოგვდევს მაშინაც, როცა მას ვშორდებით. მასთან დაბრუნება, საკუთარი სიღატაკის აღიარებით და მისი მოტევების თხოვნით კიდევ უფრო ცოცხალად განგვაცდევინებს მის სიახლოვეს, მის სითბოს, მის მკლავებს, რომლებიც წამოგვაყენებენ.

# 18 მაისი

რიგითი VII კვირა [III] მწ

წმ. იოანე I, პაპი და წამებული, † 526

# 2016 ოთხშაბათი

იაკ 4, 13-17; ფს 48; მარ 9,38-40

**არ იცით, რა მოხდება ხვალ** იაკ 4,14

გონიერება, არა ადამიანური, არამედ წმიდა სულის ნიჭი, ყოველთვის იმედითა და მამის ხელთ სრული მინდობის თანხლებითაა. ოჯახის მამა, დედა, აღმზრდელი და ყოველი კარგი ქრისტიანი ცდილობს გაიგოს რა სურს მამას მისას სახვალიოდ; სთხოვს მას სიბრძნესა და ნათელს, მზადაა მიიღოს მისი წინადადებები, მაშინაც, როცა ისინი მოულოდნელი არიან მისთვის.

# 19 მაისი

რიგითი VII კვირა [III] მწ

## 2016 ხუთშაბათი

იაკ 5, 1-6; ფს 48; მარ 9,41-50

### იქონიეთ თქვენში მარილი მარ 9,50

მარილია გემოს რომ ანიჭებს ყოველ კერძს; იესოს
სიტყვაა, მისი სიბრძნე, ჩვენს ცხოვრებას რომ
კურთხევად აქცევს, ყოველ გარემოში,
სადაც აღმოვჩნდებით!
მსურს შენ გისმინო, იესო, და ვიცხოვრო
შენი გულისამებრ, შემეწიე ამაში!

# 20 მაისი

რიგითი VII კვირა [III] თ

წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი †1444

(7.V) წმ. ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, მოხს.

# 2016 პარასკევი

იაკ 5,9-12; ფს 102; მარ 10,1-12

## ნუ ჩივით იაკ 5,9

იესო მოგვიწმობს, საკუთარი თავის ფლობისაკენ, თავი შევიკავოთ იმ ჩივილებისაგან, ასე ხშირად რომ მოგვადგება ხოლმე ენაზე: ჩვენს გვერდით მყოფთა ნაკლოვანებებიც (და საკუთარის დავიწყებაც არ გვმართებს, ხშირად იმათ რომ სჭარბობს), მამის სიყვარულის ნიჭია: საშუალებას გვაძლევენ მომთმენ სიყვარულში ვივარჯიშოთ და ამგვარად უფრო ღრმად შევაღწიოთ მის გულში, კეთილმოსურნეობის ოკეანეში.

# 21 მაისი

რიგითი VII კვირა [III] მწ

წმ. ქრისტოფორე მაგალანეს ხუც. და მეგ., წამ.† 1927 ს.

# 2016 შაბათი

იაკ 5,13-20; ფს 140; მარ 10,13-16

## ილოცეთ ერთმანეთისათვის იაკ 5,16

როდესაც ჩავხედავთ უფლის „დავთარს“, სადაც ჩვენი ერთმანეთისათვის ლოცვები იწერება, ვინ იცის, რამდენი მოულოდნელობა გველის! სავარაუდოდ იგი ერთმანეთისათვის წაკითხულ ლოცვებს როდი დაითვლის, არამედ იმას, თუ რამდენად მიუძღვნა თითოეულმა თავისი ცხოვრება სხვა და სხვა გარემოებებში; ეს აქცევს ჩვენს ერთმანეთისათვის ლოცვებს ძვირფასად.

22 მაისი

ყოვლადწმიდა სამება, «გ», დდ, [ს], თ

2016 კვირა

იგავ 8,22-31; ფს 8; რომ 5,1-5; იო 16,12-15

ოჯახების იუბილე

## ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია იო 16,15

ყოვლადწმიდა სამების საიდუმლო, რომელსაც აღვნიშნავთ დღეს, იმ საიდუმლოთაგანია, რომელსაც მამა უცხადებს იმ პატარებს, ვინც მის წინაშე თავმდაბლად დგებიან. ჩვენი ღმერთი სიყვარულის საიდუმლოა: მამის, ძის, წმიდა სულის სიცოცხლე მათი ურთიერთმიმღვნაა სრულყოფილ თანაზიარებაში, სავსე სიხარულის წყაროში. ჩვენც მოგვეცა მასში მონაწილეობა, თუ მივიღებთ იესოს!

# 23 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV] მწ

2016 ოთხშაბათი

1პეტ 1,3-9; ფს 110; მარ 10,17-27

## რა ძნელია ღვთის სასუფეველში შესვლა

მარ 10,24

უფალი შეუძლებელს როდი გვთხოვს, მეტიც, ის, რაც ჩვენთვის შეუძლებელი იყო, ანუ ჩვენი თავის საკუთარი ძალებით დახსნა, თავად აღასრულა თავისი თავის ჯვარზე დაკვლით. თავისი სასუფევლის კარი მან გაგვიღო და ის კვლავაც ღიაა: სირთულე მდგომარეობს ჩვენს ნებაში რომელიც აჰყოლია თავკერძობას, ქონების და სიამის სიხარბეს, მოსახერხებელსა და იოლ გზას. უფალს თავისუფლები ვუნდივართ, მხოლოდ იმ გარჯას გვთხოვს, რომ გადაჭრით ავირჩიოთ იგი ჩვენი გულის მთავარ საუნჯედ.

# 24 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV] მწ

## 2016 სამშაბათი

1პეტ 1,10-16; ფს 97; მარ 10,28-31

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (†1912)

## თვითონაც იყავით წმიდები ყოველ საქციელში 1პეტ 1,15

ვაღიარებ, რომ როდესაც პატარა გოგო ვიყავი, სიტყვა „წმიდანი“ არ მიზიდავდა. როდესაც მეტად დავუახლოვდი ეკლესიას და მივიღე უფრო ცოცხალი ქრისტიანული აღზრდა, მივხვდი, რომ „წმიდანი“ შორეული ვინმე როდია, ხატებზე დასახატი; ნიშნავს, უბრალოდ, იცხოვრო იესოსთან ერთობაში, სიყვარულის მისი წმიდა სულით მართულმა. მშვენიერია წმიდანობა! ახლა ძლიერ მწადია და ყოველდღიურად თავმდაბლად ვითხოვ ამის მადლს.

# 25 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV] მწ

წმ. ბედა ღირსი, ხც. და ეკ. მძღ.†735; წმ. გრიგოლ VII, პაპი †1085; წმ. მარია მაგდალენა დე პაცი, ქ.†1607

# 2016 ოთხშაბათი

1პეტ 1, 18-25; ფს 147; მარ 10,32-45

## ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, ის თქვენი მსახური იყოს მარ 10,43

ვცხოვრობ ოჯახში, რომელსაც იესო სურს თავის გულის გულად. გაკვირვებული ვმადლობ ზეციერ მამას იმ მრავალი მაგალითისათვის, რასაც ყოველ დღე ვღებულობ და რომლებიდანაც სიცოცხლე მოედინება. აქ თითოეული, თუკი გააჩნია რაიმე ნიჭი, ცდილობს გამოიყენოს ის სხვებისადმი მსახურებისათვის; აქ ყველაზე ,,მცირეებს'' ყველაზე მეტად ემსახურებიან და ისინი კარგად გრძნობენ თავს! იესო, შენ მართლა ძალგიძს მიანიჭო შენს ოჯახებს მშვიდობისა და სიცოცხლის გზები! მადლობა!

# 26 მაისი

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი, «გ», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება
აღინიშნოს მომდევნო კვირადღეს

2016 ხუთშაბათი

დაბ 14,18-20; ფს 109; 1კორ 11,23-26; ლკ 9,11-17

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

## **თავად მიეცით მათ საჭმელი** ლკ 9,13

ამ დავალებას აკისრებს იესო თავის მოციქულებს; არა მხოლოდ იმ დღეს, როდესაც მან ხუთი პური გაამრავლა ხუთი ათასი კაცის დასაპურებლად, არამედ ეს დავალება ძალაშია მის მეორედ მოსვლამდე. მართლაც, იმ დღეს მორჩა თორემტი სიმბოლური გოდორი: თითეული მოციქულის ხელთაა კვლავაც ის პური, რომლითაც იესოს კვლავაც სურს ჩვენი დაპურება, ის პური, რომელიცაა მისი ხორცი და სისხლი, მათ ხელთ რომ გადაეცათ, რათა თავად მათ მოგვცენ ის საჭმელად.

# 27 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV] მწ

წმ. ავგუსტინე კენტერბერიელი, ეპ. †604

# 2016 პარასკევი

1პეტ 4, 7-13; ფს 95; მარ 11,11-26

## **იქონიეთ ღვთის რწმენა** მარ 11,22

რწმენა, რომლისკენაც მომიხმობს იესო, უბრალოდ ღმერთის არსებობის რწმენა როდია; არამედ იმის რწმენისა, რომ იგი იმყოფება ჩემს ცხოვრებაში, იგი აქაა ჩემთან ახლოს; ვუყვარვარ, შემიძლია ვენდო მას კონკრეტულად, ყოველ საჭიროებაში, ყველაზე მცირეში და ყველაზე დიდში, ჩემსა და ჩემი ძმებისაში.

# 28 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV] მწ

2016 შაბათი

იუდ 17. 20-25; ფს 62; მარ 11,27-33

ქმედითი სიყვარულის მუშაკთა იუბილე

## გულმოწყალენი იყავით იუდ 22

თავად ჩვენი ცხოვრებაა მამის მუდმივი გულმოწყალების ნიჭი! ამ შეგნებითა და ამ სიხარულით გულში, ვცდილობთ ჩვენც გავხდეთ ამავე გულმოწყალების იარაღი, რომელიც აცოცხლებს, იხსნის სევდისა და კაეშანისაგან, მამის გულთან გვაკავშირებს.

# 29 მაისი

რიგითი IX კვირადღე, «გ», [I], მწ

## 2016 კვირა

3მეფ 8,41-43; ფს 116; გალ 1,1-2.6-10; ლკ 7,1-10

## უფალო, ნუ გაირჯები მარ 11,24

ასისთავის რწმენა აკვირვებს უფალს. არადა, როგორც თითეული ჩვენგანის რწმენა, ასისთავსაც მან მიანიჭა ის, რაკი კაცობრიობის საყოველთაო დახსნა ჰქონდა მას განზრახული. მეც მეყოფა საიმისო თავმდაბლობა, რომ უფალმა თავი კარგად იგრძნოს ჩემს ცხოვრებაში.

# 30 მაისი

რიგითი IX კვირა [I] მწ

# 2016 ორშაბათი

2პეტ 1,1-7; ფს 90; მარ 12,1-12

## **მოვკლათ იგი** მარ12,7

ამ იგავში იესო პირველად აცხადებს თავის ვინაობას: იგია ,,საყვარელი ძე‘‘, წინასწარმეტყველნი რომ იუწყებოდნენ და რომელიც, მათ მსგავსად, უარყოფილ იქნა  ერის მეთაურთაგან. სიკვდილის გავლით იგი აღასრულებს კაცობრიობის დახსნის საკვირველ საქმეს, კაცობრიობისა, რომელიც მისი წყალობით იქცევა მამის ნაყოფიერ ვენახად.

# 31 მაისი

ნეტ. ქალწ. მარიამის მონახულება, დ, [ს], თ
(18.V) წმ. მოწამენი დავითი და ტარიჭანი

## 2016 სამშაბათი

სოფ 3,14-17 ან, რომ 12,9-16; ფს: ქს 12,2-6; ლკ 1,39-56

## ნუ დაგზარდებათ სიკეთის ქმნა რომ 12,11

აი, დედა ჩვენი ზეციერი: ყმაწვილი ქალი, თავისი პირველი და ერთადერთი შვილის მოლოდინში, რომლისთვისაც სრულებით გაურკვეველია, თუ რაგვარი იქნება მისი მომავალი ცხოვრება, მიისწრაფის თავისი ხნიერი ნათესავის დასახმარებლად შორეულ მხარეს! უწყის, რომ მასაც მოხედა უფალმა და რომ დახმარება სჭირდება... დედაო ჩვენო უწმიდესო, ჩვენც მოგვმადლე წმიდა სულის მონაბერს ავყვეთ, სიყვარულის სულს! მაშინ არც სიზარმაცე და არც შიში აღარ შეგვეხება!

# I ივნისი

რიგითი IX კვირა [I]

წმ. იუსტინე წამ., (მ) †~165 წ

(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, თ

## 2016 ოთხშაბათი

2ტიმ 1,1-3.6-12; ფს 122; მარ 12,18-27

კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს ეკლესიის დღესასწაული

## ჩემთან ერთად ევნე სახარებისათვის 2ტიმ 1,8

ტიმოთე მოციქულის მრავალი ტანჯვის მოწმე იყო, რომელთაგან ზოგიერთი პირადად გაიზიარა. ახლა, როცა იგი მარტოა ეფესოს საკრებულოს სათავეში, მართებს ახსოვდეს, რომ იესოს კვალში სიარული შესაძლებელია მხოლოდ ჯვრის ზიდვით.

# 2 ივნისი

რიგითი IX კვირა [I] მწ

წმ. მარცელინე და პეტრე წამებ. †304; ღირსნი ზაბულონი
და სოსანა, წმ. ნინოს მშობლები (IVს.)

# 2016 ხუთშაბათი

2ტიმ 2,8-15; ფს 24; მარ 12,28-34

**თუ მასთან ერთად ვკვდებით,
მასთან ერთადვე ვიცოცხლებთ,
თუ დავითმენთ მასთან ერთად,
მასთან ერთადვე ვიმეფებთ** 2ტიმ 2,11-12

შენი ნების აღსასრულებლად, იესო, საჭიროა, რომ ჩემი ნება მოკვდეს; შენი შემწეობით, ზოგჯერ გამომდის კიდეც, და მაშინაა რომ თავს თავისუფლად და შენთან სიყვარულის ერთობაში ვგრძნობ! სიყვარულია შენი სამეფო, და ნამდვილი სიყვარულია მეფობა!
შენ დამეხმარები შენი ერთგული დავრჩე.

# 3 ივნისი

იესოს ღმრთაებრივი გული, «გ», დდ, [ს], თ

## 2016 პარასკევი

ეზეკ 34,11-16; ფს 22; რომ 5,5-11; ლკ 15,3-7

ხიზაბავრის (ასპინძა) ეკლესიის დღესასწაული

## ცაში დიდი სიხარული იქნება ერთი მონანიე ცოდვილის გამო ლკ 15,7

რაოდენ დიდია შენი სიკეთე, მამაო!
თითოეული პიროვნება ძვირფასია შენს თვალში.
გმადლობთ, რომ მოელი ყველას შენს გულში,
გმადლობთ შენი მოთმინებისა და სიყვარულისათვის,
რომლითაც მოელი ჩვენს მოქცევას შენსკენ.

# 4 ივნისი

რიგითი IX კვირა [I]

ყოვლადწმ. მარიამის უმანკო გული (მ), თ

# 2016 შაბათი

2ტიმ 4,1-8; ფს 70; მარ 12,38-44
(ან, ეს 61,9-11; ფს: 1მეფ 2; ლკ 2,41-51)

## რწმენა შევინახე 2ტიმ 4,7

ეს სიტყვები მადლიერებით ამოვიკითხე ერთ ქვაზე, სასაფლაოზე. საფლავის ქვა ხუთი შვილის მამას ეკუთვნოდა: მან თავის რწმენას ცხოვრებაში შეასხა ხორცი და არა სიტყვებში. როდესაც სოფელში ჩხუბი ატყდებოდა, მას უხმობდნენ ხოლმე შემრიგებლად. მადლობა, იესო, ამ შენი მოწმისათვის! გმადლობთ, რომ დიდი ზნეობრივი დაბნეულობისა და „ჭორების სმენის“ ამ პერიოდში მარიამის უმანკო გულში გვაძლევ თავშესაფარსა და საიმედო შემწეს, შენი სახარების უძვირფასესი საგანძურის დასაცავად!

# 5 ივნისი

რიგითი X კვირადღე, «გ», [II], მწ

## 2016 კვირა

3მეფ 17,17-24; ფს 29; გალ 1,11-19; ლკ 7,11-17

## უფალს შეებრალა იგი ლკ 7,13

გმადლობ, იესო, იმედო ჩემო! სახარება მეხმარება გიმზირო შენ გულმოწყალებით სავსეს, გულისხმიერი რომ ხარ ყოველ ტანჯვაზე, მზად ხარ შეეწიო ყველა შეჭირვებულსა და დამცირებულს. შენ კეთილი ხარ და დიდი სიყვარულში: მწადია შენს მაგალითს მივბაძო.

# 6 ივნისი

რიგითი X კვირა [II] მწ

წმ. ნორბერტი, ეპისკოპოსი, †1134

# 2016 ორშაბათი

3მეფ 17,1-6; ფს 120; მთ 5,1-12

## წავიდა და უფლის სიტყვისამებრ მოიქცა

3მეფ 17,5

ელია წინასწარმეტყველი უყოყმანოდ ასრულებს, რასაც ღმერთი ეუბნება მას და ამგვარად ცოცხლად გამოსცდის თუ რას ნიშნავს ღმერთის ერთგულება და სიყვარული. რამდენჯერ თავადვე მინახავს იესოს დღევანდელი სიტყვების სიმართლე: ,,გაეცით და მოგეცემათ‘‘! ვიხილე მისი სიყვარული! მადლობა, უფალო იესო!

# 7 ივნისი

რიგითი X კვირა [II] მწ

# 2016 სამშაბათი

3მეფ 17,7-16; ფს 4; მთ 5,13-16

## უთხრა ელიამ: „ნუ გეშინია; წადი და, როგორც თქვი, ისე მოიქეცი“ 3მეფ 17,13

თავმდაბლად დაჰყვე, გაუგონო მათ, ვისაც ღმერთი უყვარს, ვინც მას აურჩევია თავისი ერის სამსახურად, დახსნის წყაროა. ასე შეემთხვა სარეპტელ ქვრივს, ელია წინასწარმეტყველს რომ გაუგონა. ასევე იქნება ჩვენთვის, რომლებიც ვემორჩილებით წმიდა ეკლესიის მწყემსებს.

# 8 ივნისი

რიგითი X კვირა [II] მწ

# 2016 ოთხშაბათი

3მეფ 18,20-39; ფს 15; მთ 5,17-19

## ღმერთი, რომელიც ცეცხლით გაგვცემს პასუხს, ნამდვილად ღმერთი იქნება 3მეფ 18,24

ელია წინასწარმეტყველი გამოიწვევს ცრუ წინასწარმეტყველებს; და მისი წრფელი და მტკიცე რწმენა მიაღწევს იმას, რომ ღმერთი ვლინდება. იესო, მოგვანიჭე სიფხიზლე და წრფელი რწმენა, რათა არ ავყვეთ დღევანდელ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც თვალს გვიხვევენ და გვატყუებენ, და მოგვანიჭე სიყვარული და სიბრძნე, რათა დავეხმაროთ ყველაზე მოუმზადებლებს, რომ არ გაჰყვნენ მათ. მადლობა, უფალო!

# 9 ივნისი

რიგითი X კვირა [II] მწ

წმ. ეფრემ დიაკ. და ეკ. მძღ. †373; (27.V) წმ. ღირ. ბასილ ბაგრატ III-ის ძე; წმ. ღირ. მიქელ პარეხელი

## 2016 ხუთშაბათი

3მეფ 18,41-46; ფს 64; მთ 5,20-26

## უფლის მარჯვენა იყო ელიაზე 3მეფ 18,46

მამა ღმერთი იცავს და მიუძღვის თავისი სულით მათ, ვინც თავმდაბლად მიეძლვნიან მის მსახურებას. როგორც ელიასათვის, ასევე მოხდეს თითეული ჩვენგანისთვისაც. მოდი, სულო წმიდაო, დაგვეხმარე ვიცხოვროთ დღეს მამისადმი სიყვარულით, იესოს მსგავსად!

# 10 ივნისი

რიგითი X კვირა [II] მწ

## 2016 პარასკევი

3მეფ 19,9.11-16; ფს 26; მთ 5,27-32

### **უფლის შურმა შემიპყრო** 3მეფ 19,14

მდუმარებაში ღმერთი ეცხადება მას, ვისაც მთელი გულით უყვარს ის; ასე შეემთხვა ელია წინასწარმეტყველს და ასევე მოხდება ჩვენს შემთხვევაშიც. იგი დაელაპარაკება ჩვენს გულს და თავის წმიდა ნებას გააცნობს მას, მშვიდობისა და სიხარულის წყაროს. მოვძებნი მდუმარე ადგილს, სადაც დაველოდები ჩემი ღმერთის ხმის ჩურჩულს.

# 11 ივნისი

წმ. ბარნაბა, მოციქული (მ), თ

# 2016 შაბათი

საქ 11,21b-26;13,1-3; ფს 97; მთ 10,7-13

## უქადაგეთ, რომ მოახლოვდა ცათა სასუფეველი მთ 10,7

მხოლოდ შენს მოწაფეებს შეუძლიათ, იესო, იქადაგონ ცათა სასუფევლის მოახლოება.
ბარნაბამ თავისი რწმენითა და სიყვარულით იმოქმედა, იცხოვრა და იარა წმიდა პავლესთან ერთად დიდი ხნის მანძილზე. ეს ორი მოწაფე იქცა ღვთის სასუფევლის იარაღად, ერთურთის სიყვარულით: მათი ცხოვრება თავის თავად იყო ქადაგება!

# 12 ივნისი

რიგითი XI კვირადღე, «გ», [III], მწ

2016 კვირა

4მეფ 12,7-10.13; ფს 31; გალ 2,16.19-21; ლკ 7,36 - 8,3

სტიგმატელთა კონგრეგაციის დღესასწაული

## მოგეტევა შენი ცოდვანი ლკ 7,48

ამ სიტყვის წინაშე მსურს გულითადი მადლობა ვუთხრა უფალ იესოს მისი მიტევებისათვის.

მადლობა, იესო, რადგან ამ სიტყვით ჩემი გულიდან და მეხსიერებიდან შლი იმ ბოროტებას, რაც ჩავიდინე.

მადლობა, რადგან იღებ ჩემი ბრალის სიმძიმეს და მანიჭებ ძალას განვაახლო შენდამი სიყვარული.

მადლობა სინანულის ნიჭისათვის, რომელიც მათავისუფლებს შენთან მოსვლის სირცხვილისაგან.

მადლობა შენი ეკლესიისათვის და მღვდლებისათვის, რომლებიც შენი სახელით მაძლევენ შენმიერ მიტევებას.

13 ივნისი

რიგითი XI კვირა [III]

წმ. ანტონ პადუელი,
ხუცესი და ეკლესიის მოძღვარი †1231(მ), თ

2016 ორშაბათი

3მეფ 21,1-16; ფს 5; მთ 5,38-42

# ადექი, პური ჭამე და გული გაიმხიარულე

3მეფ 21,7

ეს უგუნური სიტყვაა, მეფე აქაბს რომ უთხრა თავისმა ცოლმა, რომელსაც განზრახული ჰქონდა ადამიანის მოკვლა რათა თავისი ქმრის სურვილი შეესრულებინა. იესო, მოგვანიჭე წმიდა სულის ნათელი და ძალა, რათა შენი სიბრძნისამებრ ვიცხოვროთ და არ ავყვეთ ადამიანთა მანკიერებებს!

# 14 ივნისი

რიგითი XI კვირა [III] მწ

## 2016 სამშაბათი

3მეფ 21,17-29; ფს 50; მთ 5,43-48

**რაკი მოიდრიკა ჩემს წინაშე, არ დავათევ უბედურებას მის სიცოცხლეში** 3მეფ 21,29

მეფე აქაბმა, რომ მოისმინა მისი სახლის გაყლეტის წინასწარმეტყველება ყველა იმ ბოროტებისათვის, რაც მან ღმერთის თვალში ჩაიდინა, მოინანია და დაიმდაბლა თავი. ყოველ ქმედებას, მართლაც, თავისი შედეგი აქვს: სიკეთე შობს კურთხევას, ბოროტება იწვევს დიდ სატანჯველს. შევხედოთ, რაც ხდება იმ მენტალობის მიზეზით, რომელიც გაყრასა და აბორტს უშვებს. და ვერც კი წარმოგვიდგენია ის უბედურება, რაც მოგველის, თუკი ადამიანები მიიღებენ იმ გარყვნილ იდეებსაც, რომლებიც ვრცელდება. დავიმდაბლოთ თავი და მოვექცეთ მტკიცედ უფალ იესოსაკენ! მას ძალუძს თავიდან აგვაცილოს სხვა უბედურებანი.

15 ივნისი

რიგითი XI კვირა [III] მწ

2016 ოთხშაბათი

4მეფ 2,1.6-14; ფს 30; მთ 6,1-6.16-18

## **უფალს გეფიცები, თუ მიგატოვო** 4მეფ 2,6

ელისეს არ სურს მიატოვოს თავისი მოძღვარი, წინასწარმეტყველი ელია; გრძნობს მის სიყვარულს და დახმარებას უფლის მსახურებაში.
იესო, მოძღვარო ჩემო და ღმერთო ჩემო, მეც მსურს არასდროს მიგატოვო, რადგან ვუწყი, რომ გიყვარვარ; მოგეძღვნები შენ, რათა გემსახურო ისე, როგორც შენ გსურს; გმადლობ, რომ მიღებ!

# 16 ივნისი

რიგითი XI კვირა [III] მწ

# 2016 ხუთშაბათი

ზირ 48,1-14; ფს 96; მთ 6,7-15

## ელია გრიგალში რომ დაინთქა, ელისე აღივსო მისი სულით ზირ 48,12

წინასწარმეტყველნი ცხოვრობენ ღმერთის სიყვარულით,
მზად არიან მის ჩანაფიქრზე, სიხარულით გადასცემენ
თავიანთ სულს მათ, ვისაც ღმერთი ირჩევს მათ შემდეგ.
ამგვარად ელისემ მიიღო ის სული, რომელიც იყო
ელიაში. ასევე იყოს ჩვენთვის, ქრისტიანთათვის:
წმიდა სულმა გვაქციოს იესოს მდაბალ,
მისი სიყვარულით სავსე მსახურებად!

# 17 ივნისი

რიგითი XI კვირა [III] მწ

# 2016 პარასკევი

4მეფ 11,1-4.9-18.20; ფს 131; მთ 6,19-23

## ნუ იუნჯებთ თქვენს საუნჯეს ამ ქვეყნად

მთ 6,19

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ მშვენიერ მიწაზე ოდენ
მოგზაურნი ვართ! ჩვენი მამული ზეცაა, მამის წიაღი.
ჩვენი საუნჯე ახლავე იქ დავაგროვოთ;
იქ თავის ადგილს პოვებს მხოლოდ მაშინ,
თუკი სიყვარულისგან შემდგარი საუნჯე იქნება:
სიკეთის, გულმოწყალების, ერთგულების ქმედებანი!

# 18 ივნისი

რიგითი XI კვირა [III] მწ

## 2016 შაბათი

2ნეშ 24,17-25; ფს 88; მთ 6,24-34

### რატომ არღვევთ უფლის მცნებებს? 2ნეშ 24,20

ჭეშმარიტად, ურჩობაა ნამდვილი ფესვი იმ უბედურებებისა, რაც გარს გვარტყია და ხშირად გვიტევს. და როდესაც უფალი შეგვახსენებს ამას რომელიმე ძმის სიტყვით, ან რაიმე განსაცდელით, მადლიერნი ვიქნებით მისნი და ყურს დავუგდებთ მას: შესაძლოა ჩვენი ცოდვის ავი შედეგი არ გაქრეს, მაგრამ ჩვენს გულში მშვიდობა და მისი სიყვარულის სიხარული დაისადგურებს, და გაგვიადვილდება მათი ატანა და შეწირვა!

# 19 ივნისი

რიგითი XII კვირადღე, «გ», [IV], მწ

## 2016 კვირა

ზაქ 12,10-11;13,1; ფს 62; გალ 3,26-29; ლკ 9,18-24

**ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს სულს, ის იხსნის მას** ლკ 9,24

იესო, გიმზერ ჯვარზე, ხელ-ფეხ-გვერდ განგმირულს... და ვიდრე ვსჭვრეტ შენს სიყვარულს, ვღებულობ სიცოცხლეს, სამუდამოდ მჩქეფარე სიცოცხლეს, და ვსწავლობ მიძღვნას, და შენ მეც მაქცევ მრავალთათვის სიცოცხლის წყაროდ!

# 20 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

# 2016 ორშაბათი

4მეფ 17,5-8.13-15.18; ფს 59; მთ 7,1-5

**ნუ განსჯით** მთ 7,1

მადლობა, იესო, ამ შენი ბრძანებისათვის, ჩვენი სიყვარულით რომ გვაძლევ! შენ უწყი, რომ აუცილებლად ვცდებით ადამიანთა განსჯისას: გსურს აგვაცილო სატანჯველი.
მჯერა, რომ მხოლოდ შენ და მამას შეგიძლიათ განსაჯოთ, აღასრულოთ ეს ფაქიზი საქმე, რაკი იცნობთ იმას, თუ რა დევს თითოეული ადამიანის გულში.

# 21 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მნ

წმ. ალოიზი გონძაგა, ბერი, †1591 (მ)

# 2016 სამშაბათი

4მეფ 19,9-11.14-21.31-35.36; ფს 47; მთ 7,6.12-14

## **შედით ვიწრო ბჭით** მთ 7,13

იესო ამგვარად პასუხობს იმას, ვისაც აინტერესებს დახსნილთა რაოდენობა. თითქოს უნდა გვითხრას: ,,ცნობისმოყვარეობა როდი გიხსნით, არამედ უარი. უარი თქვი ყოველივეზე, რათა შეძლო შესვლა! ბარგი-ბარხანა ხელს შეგიშლის შესასვლელში. მე ვარ ღმერთის სამეფოს კარი. მიმიღე შენში და დაიხსნები!‘‘

# 22 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

წმ. პავლინ ნოლადან, †431; წმმ. იოანე ფიშერი, ეპ. და თომას მორი, წამ. †1535

# 2016 ოთხშაბათი

4მეფ 22,8-13;23,1-3; ფს 118; მთ 7,15-20

## ეკრძალეთ ცრუ წინასწარმეტყველთ მთ 7,15

უფლის ეს დავალება დღეს აუცილებელია, როგორც არასდროს. მრავალი ღვთის სიტყვის საწინააღმდეგო აზრი გვწვდება ტელევიზიით, ჟურნალ-გაზეთებით, ინტერნეტით. ნათლის სამოსით არიან მოსილნი: ხშირად საუბრობენ მშვიდობაზე, სიკეთეზე..., არადა გვაცურებენ; გვართმევენ შინაგან და ურთიერთ მშვიდობას. მხოლოდ ის, ვინც იესოს სახელით მოდის, ეკლესიასთან ერთობაში, არ გვატყუებს, არამედ ნამდვილი სიცოცხლის იარაღია.

# 23 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

# 2016 ხუთშაბათი

4მეფ 24,8-17; ფს 78; მთ 7,21-29

## უკვირდა ხალხს მისი მოძღვრება მთ 7,28

შენში წმიდა სულის სისავსით ყოფნა, იესო, სიახლეს ანიჭებს შენს სიტყვებს: მათ ნათელი მოაქვთ, სიყვარულის ნათელი. დღესაც იგივე წმიდა სული, შენს მოყვარულებში რომ მკვიდრობს, გაკვირვებას იწვევს: მართლაც, იგია უანგარო სიყვარულით, თავად მამის სიყვარულით მდიდარი სიტყვებისა და საქმეების წყარო.

# 24 ივნისი

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა
დდ, [ს], თ

# 2016 პარასკევი

ეს 49,1-6; ფს 138; საქ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

**იოანემ გაამზადა მისი მოსვლა** საქმ 13,24

დღეს აღვნიშნავთ იოანე ნათლისმცემლის დაბადებას; ლიტურგიას შუქზე გამოაქვს მისი მისია: იესო მაცხოვრის მოსვლის მომზადება.
ცხოვრების ნიჭთან ერთად მამა თითეულ ადამიანს აძლევს მისიასაც: რაოდენ მშვენიერი და მნიშვნელოვანია მისი ამოცნობა, მიღება და შეყვარება! ის თითოეულს აქცევს დიდად მამის თვალში და ძვირფას ძღვენად ძმათათვის.
წმიდაო იოანე ნათლისმცემელო, ილოცე ჩვენთვის!

# 25 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

(12.VI) წმ. იოანე თორნიკე

# 2016 შაბათი

გოდ 2,2.10-14.18-19; ფს 73; მთ 8,5-17

## შენი რწმენისამებრ მოგეგოს შენ მთ 8,13

იესო, შენ გსურს მონაწილედ გყავდე შენს საკვირველ საქმეებში! შენ ხომ ყველაფრის შენით კეთება ძალგიძს, არადა გსურს რომ მეც გჭირდებოდე: მთხოვ შენ მოგენდო. ვღებულობ მოულოდნელ წარუმატებლობებს, ვღებულობ აგრეთვე ტკივილს: შენ გესავ, შენს საკვირველებებს რომ იქმ, სამყაროს რომ იხსნი!

# 26 ივნისი

რიგითი XIII კვირადღე, «გ», [I], მწ

## 2016 კვირა

3მეფ 19,16.19-21; ფს 15; გალ 5,1.13-18; ლკ 9,51-62

## წადი და ღმრთის სასუფეველი ახარე ხალხს ლკ 9,60

იესო მიმართავს ერთ პიროვნებას, რომელიც დაინ-ტერესებულია მისი უწყებით, რომელიც მან თავად აირჩია, რომ გაჰყოლოდა. სთავაზობს მას რომ იგი დააყენოს პირველ ადგილზე, და არა მიცვალებულთა დამარხვის მართვა, და თვით მშობლებთან საღვთო კავშირს ამჯობინოს იგი.

მადლობა, იესო, შენი სიყვარულისათვის, რომელმაც დამარწმუნა მეც, გადამედგა ნაბიჯი და შემეყვარე ყოველივეზე მეტად!

# 27 ივნისი

რიგითი XIII კვირა [I]

წმ. კირილე ალექსანდრიელი, ეპ. და ეკლ. მოძ. †444, თ

# 2016 ორშაბათი

ამ 2,6-10.13-16; ფს 49; მთ 8,18-22

## გამომყევი მთ 8,22

ქრისტიანი ისაა, ვინც იესოს მისდევს ყოველდღიურად, სიყვარულით. ეს „მიყოლა“ გულისხმობს მზერის მუდამ იესოსკენ მიპყრობას, გულისხმობს იმასაც, რომ მიატოვო ყოველ ნაბიჯზე ის, რამაც შეიძლება ხელი შემიშალოს მის კვალად სიარულში. როდესაც ჩვენთვის ძვირფასი პიროვნება გვყავს მისატოვებელი, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ თავად იესო იზრუნებს მასზე, ისეთი ზრუნვით, როგორც ღმერთს შეეფერება!

# 28 ივნისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

## 2016 სამშაბათი

ამ 3,1-8; 4,11-12; ფს 5; მთ 8,23-27

## გაემზადე შენი ღვთის შესახვედრად ამ 4,12

უფალთან შეხვედრით ჩვენი ცხოვრება, ეჭვგარეშეა, იცვლება, რადგან მას მოთხოვნებიც აქვს ჩვენს მიმართ! მოემზადე: მოსწყვიტე შენი გული ყოველივეს, რაც გადარდებს, რათა შეგეძლოს მისთვის შენი უპირობო ,,ჰო‘‘-ს თქმა და მიძღვნა. იგი შეძლებს შენს ავსებას სიცოცხლითა და სიხარულით!

# 29 ივნისი

წმ. პეტრე და წმ. პავლე
მოციქულნი დდ, [ს] , წ

# 2016 ოთხშაბათი

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის დღესასწაული
შესაწირავი პაპისათვის

## ჰეროდემ ბოროტი ზრახვით აღმართა ხელი ეკლესიის ზოგიერთ წევრზე საქმ 12,1

მათ შორის იყო პეტრეც; და რამდენი დევნა გადაიტანა პავლემ, ყველამ ვუწყით!
ის ჰეროდე ეკლესიის ნამდვილი მდევნელის, ეშმაკის სიმბოლოა, უფლის ყველა მეგობარი რომ სძულს. არადა უფალი ხომ თავისიანებს არა შორდება, როგორც პეტრე, როგორც პავლე არ მიუტოვებია, რომლებიც ახლა მადლობენ მამას, რომ ქრისტეს ჯვარში წილი ერგოთ.
წმიდანო პეტრე და პავლე, ილოცეთ ჩვენთვის!

# 30 ივნისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

რომის ეკლესიის წმიდა პირველმოწამენი †64წ

წმ. შალვა ახალციხელი (†1227წ)

# 2016 ხუთშაბათი

ამ 7,10-17; ფს 18; მთ 9,1-8

## არ იქადაგო ისაკის სახლის წინააღმდეგ ამ 7,16

წინასწარმეტყველი აფრთხილებდა ერს ღმერთის მხრიდან და ამის გამო სდევნიდნენ მას. გავფრთხილდეთ ჩვენც, თავმდაბლად მივიღოთ უფლის შეგონებანი და დავლოცოთ ისინი, ვინც მისი იარაღია ამ საქმეში: ხანმოკლე ტანჯვის შემდეგ ვპოვებთ ღრმა მშვიდობას.

# I ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

# 2016 პარასკევი

ამ 8,4-6.9-12; ფს 118; მთ 9,9-13

## დღესასწაულებს გლოვად გადაგიქცევთ მთ 8,10

ამოსის სიტყვები საზარელია. იგი ხედავს ჰორიზონტზე დიდ სატანჯველს, რადგან რასაც ქვეყნის მდიდრები სჩადიან, მთელი საზოგადოებისთვის მძიმე შედეგების მომტანია. მაშინ, სატანჯველში ჩავარდნილი ადამიანები ხელახლა დაუწყებენ ძებნას უფლის სიტყვას, რომელიცაა ერთადერთი ნამდვილი გამოსავალი იმ ბოროტებისაგან კაცობრიობა რომ შეუბორკავს.

# 2 ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

# 2016 შაბათი

ამ 9,11-15; ფს 84; მთ 9,14-17

## დალევენ ღვინოს, გააშენებენ ბაღებს ამ 9,14

მოქცევისა და მორჩილებაში დაბრუნების შემდეგ ერი კვლავ იხილავს გახარებულ სახეებს, კვლავ ეწვევა მას მშვიდობა და ნამდვილი, შინაგანი კეთილდღეობა. არჩევანი არ არსებობს: ადამიანისა და მთელი კაცობრიობის ნამდვილი კეთილდღეობა უფლისგანაა. ამას ამბობს იესო დღევანდელ სახარებაში: როდესაც ის ჩვენთანაა, ჩვენ ქორწილში ვართ! იგია ნეფე, ყოველთა სიხარულის მიზეზი!

# 3 ივლისი

რიგითი XIV კვირადღე, «გ», [II], მწ

2016 კვირა

ქს 66,10-14; ფს 65; გალ 6,14-18; ლკ 10,1-12.17-20

## ის გიხაროდეთ, რომ თქვენი სახელები დაიწერა ცაში ლკ 10,20

მოწაფეები ბრუნდებიან ევანგელიზაციის პირველი გამოცდილებიდან. მათ გაუგონეს იესოს, რომელმაც მიავლინა ისინი წყვილ-წყვილად ნამდვილი მშვიდობის მისატანად, ღვთის მისათვის კარის გაღებას რომ მოსდევს. მათი გარჯა უნაყოფო არ დარჩენილა და ისინიც ძალზე კმაყოფილნი არიან. იესო კი სთავაზობს მათ მამის სიყვარულით კმაყოფილებას. ეს სიხარული დარჩება მათ გულებში წარუმატებლობისა და დევნის შემთხვევაშიც!

# 4 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

წმ. ელისაბედ პორტუგალიელი † 1336, თ

# 2016 ორშაბათი

ოს 2,16-18.21-22; ფს 144; მთ 9,18-26

## უდაბნოში წავიყვან, რომ მის გულს ველაპარაკო ოს 2,16

ოსია წინასწარმეტყველი ერს ადარებს მოღალატე ცოლს: მთელი რიგი ძალისხმევაა საჭირო მასში ქმრისადმი სიყვარულის ხელახლა გასაღვიძებლად. ერის „ქმარი“ ღმერთია, ქმარი, რომელსაც სურს უჩვენოს მას თავისი სიყვარულის მთელი მშვენიერება: ამგვარად მთელი ერი ხელახლა შეიყვარებს მას და დაჰყვება.

# 5 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ
წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუც. †1539

# 2016 სამშაბათი

ოს 8,4-7.11-13; ფს113ბ; მთ 9,32-38

## უფალს არ ეთნევა ისინი... მოჰკითხავს ცოდვებს ოს 8,13

ის, ვინც კერპებს სცემს თაყვანს, უფალს ვერ ესათნოება. რანი არის კერპები? ადამიანის ნაკეთობა: არა იმდენად ქანდაკებები, რამდენადაც, პირველ რიგში, ამბიციებისა და სიამეთა დაკმაყოფილების წადილი, რომლებიც საკუთარ აზრებს შორის პირველ ადგილს იკავებს. ვინც კერპებს ემსახურება, მას არ გააჩნია ღვთისმოშიშება, მხოლოდ საკუთარ თავს აკმაყოფილებს. და ცოდვას ცოდვაზე იდენს.

# 6 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

წმ. მარია გორეტი, ქალწ. და მოწ. †1902 წ

# 2016 ოთხშაბათი

ოს 10,1-3.7-8.12; ფს 104; მთ 10,1-7

## დროა უფლის მიებისა ოს 10,12

კეთილდღეობამ გააფუჭა ერი და დააშორა იგი ღმერ-
თისაგან. საჭიროა მასთან დაბრუნება, სხვაგვარად...
სხვაგვარად მძიმე სატანჯველი დაატყდება ერს. იმი-
სათვის რომ იგი მოუბრუნდეს უფალს, მოექცეს მისკენ,
იესომ მიავლინა თავისი მოწაფეები და მოციქულები,
იმათ განსაკურნებლად და გასაჯანსაღებლად, ვინც
მათ მიიღებს და მიიღებს მის სიტყვას.

# 7 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

# 2016 ხუთშაბათი

ოს 11,1-4.8-9; ფს 79; მთ 10,7-15

## მე წმიდა ვარ თქვენს შორის ოს 11,9

ამგვარად წარუდგენს თავს ღმერთი იმ ერს, რომელსაც მისი სიყვარული არ გამოსდის. იგია წმიდა, ანუ ის, ვინც კვლავაც განაგრძობს სიყვარულს, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, რომ ის დაშორდა მას. ღმერთი მამასა და დედასა ჰგავს, რომლებიც შვილის ჭირვეულობის მიუხედავად კვლავაც მის სიკეთეზე ზრუნავენ! და იესო გვასწავლის სიწმიდეს, ღმერთის სიწმიდით ცხოვრებას!

# 8 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

# 2016 პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 50; მთ 10,16-23

## შენში ჰპოვებს შებრალებას ობოლი ოს 14,4

ღვთის გულმოწყალება მცირეებისა და უპოვართა მიმართ, მისი ჭეშმარიტების დასტურია, მტკიცებულება, რომ იგი ერთადერთი და ჭეშმარიტი ღმერთია. ეს გულმოწყალება უნდა იყოს იესოს მოწაფეებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ უწევთ ცხოვრება ღიად მტრულად განწყობილ სამყაროში. მცირეთა და უპოვართ ყველაზე კარგი თვალით უყურებენ ღვთის სასუფეველში!

# 9 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

წმმ. ავგუსტინე ჟაო რონგი და მეგობ.,
ჩინელი წამებული †1648-1930

# 2016 შაბათი

ეს 6,1-8; ფს 92; მთ 10,24-33

## მისი დიდებით სავსეა ქვეყნიერება ეს 6,3

სერაბიმთა გალობაა, გალობა, რომლითაც ღმერთი წარუდგება თავის წინასწარმეტყველს. ვინც მას ისმენს, ყურადღებით იქნება, რათა დედამიწაზე ყოველივეში აღმოაჩინოს უფლის დიდება. და თუკი ღმერთი ვლინდება ყოველ ქმნილებაში, ვიღას შეეშინდება ადამიანისა? და ვიღას შეეშინდება მომავლისა?

# 10 ივლისი

რიგითი XV კვირადღე, «გ», [III], მწ

## 2016 კვირა

რჯლ 30,10-14; ფს 18; კოლ 1,15-20; ლკ 10,25-37

### სწორად მიპასუხე; ეგრე მოიქეცი და იცოცხლებ ლკ 10,28

რომ შეგვძლებოდა ყოველივე იმის კეთება, რაც ვიცით! არა კმარა იცოდე, თუ რა სურს ღმერთს ჩვენგან, საჭიროა ასევე „გვინდოდეს“. ჩვენი ნება, სამწუხაროდ, ძალზე დასუსტებულია ჩვენი და იმ საზოგადოების ცოდვის გამო, რომელშიც ვცხოვრობთ.

მოდი, უფალო იესო, ჩემს გულში, მის გასაძლიერებლად, გადაწყვეტილებისა და შენდამი ნამდვილი სიყვარულის მოსანიჭებლად. მხოლოდ შენი ძალით თუ შევძლებ ჯანსაღი და მშვიდი ცხოვრებისათვის საფუძვლის ჩაყრას.

# 11 ივლისი

წმ. ბენედიქტე, აბატი, †547
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

## 2016 ორშაბათი

იგავ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა მფარველი

### **საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს** მთ 19,29

ევროპის მფარველია წმიდა ბენედიქტე, რომლის რწმენითა და ლოცვით გაჩნდა ევროპის ერებში ასობით მონასტერი. მათ თესეს ღვთის სიტყვა, სიბრძნე და აღზრდა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის, ღარიბთა მიმართ ყურადღებითა და შრომისმოყვარეობაში. მისი რწმენის გარეშე ევროპა ვერ აღიზრდებოდა ქმედითი სიყვარულისა და ერთობისათვის. ვილოცოთ, რათა ევროპის ხალხებმა დაიცვან და ანაყოფიერონ ეს ძვირფასი მემკვიდრეობა: თავად წმიდა ბენედიქტემ კვლავ გვიშუამდგომლოს საამისოდ!

# 12 ივლისი

რიგითი XV კვირა [III] თ

# 2016 სამშაბათი

ეს 7,1-9; ფს 47; მთ 11,20-24

## თუკი არ ირწმუნებთ, ვერ დარჩებით მყარად ეს 7,9

ერთი საიდუმლოა გასამხელი: რწმენის გარეშე ,,ყოვე-ლივე ჩამოიშლება“. გამორიცხე რწმენა ოჯახიდან და ის დაგეშლება. ნუ მიაქცევ ყურადღებას რწმენას დაბა-ში, უბანში, და ის იქცევა მარტოხელა და მარტოსულ ადამიანთა ბრბოდ. იგივე ითქმის მთელ ერზეც. შემიძ-ლია ვენდო მხოლოდ მას, ვისაც სწამს, ვინც უჯერის ღმერთს და არა საკუთარ სურვილებსა თუ მიდრეკილე-ბებს. მეც პირადად სტაბილურობას ვპოულობ მხო-ლოდ მამა ღმერთზე მინდობით!

# 13 ივლისი

რიგითი XV კვირა [III] თ

წმ. ჰენრიხი, † 1024; (30.VI) წმ. ლინარ ლელოფალი

# 2016 ოთხშაბათი

გამ 1,8-14.22; ფს 123; მთ 10,34 - 11,1

## ჩემი ხელის ძალით ვქმენი ეს 10,13

ეს სიტყვები გამოხატავს იმის ამპარტავნობას, ვისაც ჰგონია, რომ საკუთარი სიმყარის შემოქმედი თავადაა, ვისაც თავისი თავი მიაჩნია საკუთარი კეთილდღეობის წყაროდ და არავისთვის აპირებს მადლობის თქმას, ღმერთისთვისაც კი! წინასწარმეტყველი ჰპირდება ამ კაცს, რომ ღმერთი თავის სიტყვას იტყვის: მისი სიმყარე მირშივე დაიშლება.

# 14 ივლისი

რიგითი XV კვირა [III] თ

წმ. კამილო დე ლელისი †1614
კამილიელთა ორდენის დამაარსებელი

## 2016 ხუთშაბათი

ქს 26,7-9.12.16-19; ფს 101; მთ 11,28-30

## უფალო, შენ მოაფვენ მშვიდობას ჩვენზე

გამ 2,10

ვინც უფლით იმედოვნებს, შეუძლია
გულდამშვიდებული იყოს, მიუხედავად სირთულეებისა
და საცხანჯველისა. უფლისაგან მხოლოდ სიკეთეს
შეიძლება მოელოდეს ადამიანი. იგია მშვიდობისა და
სიცოცხლის წყარო. მაშ, შეგვიძლია ვუთხრათ მას:
„შენს სახელსა და შენს სახსენებელს ელტვის სული
ჩვენი, ჩემი სამშვინველი გნატრობდა ღამღამობით,
ჩემი სული გეძებდა ჩემს გულში დილით“!
წმიდაო კამილო, სნეულთა ნუგეშო,
ილოცე ჩვენთვის!

# 15 ივლისი

რიგითი XV კვირა [III] თ

წმ. ბონავენტურა, ეპ. და მოძ. (მ) †1274

## 2016 პარასკევი

ეს 38,1-6.21-22.7-8; ფს: ეს 38,10-12.16; მთ 12,1-8

## გავიგონე შენი ვედრება, დავინახე შენი ცრემლი ეს 38,5

ღმერთიც ვერ რჩება გულგრილი ცრემლების წინაშე.
მძიმედ ავადმყოფი ეზეკია მოთქვამს სასოებით. და ღმერთიც კიდევ 15 წელს დაუმატებს მის სიცოცხლეს, რათა
კვლავაც შეძლოს მისი სამსახური სულგრძელობით.
მადლობა, მამაო, ყოველი იმ ჯერისათვის,
როცა ჩემი ცრემლებიც დაინახე!
მადლობა, რომ ხედავ შენი ეკლესიის ცრემლებსაც.

# 16 ივლისი

რიგითი XV კვირა [III] მწ

კარმელის მთის ნ. ქალწული მარიამი

# 2016 შაბათი

მიქ 2,1-5; ფს 9ბ; მთ 12,14-21

## **ვაი ავისმზრახველთ** მი 2,1

მიქა წინასწარმეტყველს სურს დაგვეხმაროს მოქცევაში, აზრთა მოქცევით დაწყებული. ჩვენი ფიქრები მუდამ კურთხევისა და უფლის მორჩილების ფიქრები უნდა იყოს.

შეგვეწევა ყოვლადწმიდა მარიამი, რომელსაც დღეს „კარმელის მთის", ღმერთის ბაღის ტიტულით მოვიხსენიებთ. მას სურს, რომ ყველას მისწვდეს ღვთიური კურთხევა და რომ თითოეული ჩვენგანი ვიქცეთ კურთხევად ერთმანეთისთვის.

# 17 ივლისი

რიგითი XVI კვირადღე, «გ», [IV], მწ

## 2016 კვირა

დაბ 18,1-10; ფს 14; კოლ 1,24-28; ლკ 10,38-42

## **მარიამმა უკეთესი წილი აირჩია** ლკ 10,42

იესო, შენ დააფასე მარიამის გულისყური. მისი და მართა თავისი ფუსფუსით აფორიაქებდა ირგვლივ ყველას, და სუფრის მომსახურებისას კერძებს კაზმავდა ჩივილისა და პრეტენზიების სუნელით, თავის დისა და თავად შენს მიმართაც. შენ უწყი, რომ ვინც შენ გიგდებს ყურს, შემდეგ ის იწყებს ძმათა მიმართ თავმდაბალ და უანგარო მსახურებას. ამიტომაც ნიმუშად მარიამს გვაძლევ, რომ მოგისმინოთ და გაგიგონოთ. გულხელდაკრეფილთ როდი დაგვტოვებ!

# 18 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

# 2016 ორშაბათი

მიქ 6,1-4.6-8; ფს 49; მთ 12,38-42

## **რით წარვდგე უფალთან?** მიქ 6,6

მშვენიერი კითხვაა! რა მოსწონს უფალს?
არა საგნები, ძვირფასეულობაც რომ იყოს, არამედ
„სამართლის ქმნა და წყალობის სიყვარული,
მოწიწებით სიარული უფლის წინაშე“.
დღეს, შენი შეწევნით, უფალო ჩემო, ასე მოვიქცევი.

# 19 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

# 2016 სამშაბათი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 84; მთ 12,46-50

## კვლავ შეგვიყვარებს ჩვენ მიქ 7,19

როდესაც ვცნობთ ჩვენს ცოდვებს და ღვთის სასჯელი გვაშინებს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას სწადია ჩვენი ხსნა და, რომ ამიტომაა რომ კვლავაც გვიცხადებს თავის სიყვარულს. დავადგები სინანულისა და მოქცევის გზას. რთული იქნება? თავად იგი შემეწევა!

# 20 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV] მწ
წმ. აპოლინარიუსი, ეპ. და წამ., †II ს.

# 2016 ოთხშაბათი

იერ 1,1.4-10; ფს 70; მთ 13,1-9

## აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად მთ 13,3

იესო იწყებს იგავის მოყოლას. რისი მოწოდება განუზრახავს ჩვენთვის? რა სურს, რომ ვიცოდეთ? რა სურს, რომ ვაკეთოთ? ეჭვგარეშეა, რომ სურს გამოგვეცხადოს: იგია მთესავი და თავადვეა მარცვალიც.
უფალო იესო, ჩემს გულშიც მოაბნიე შენი სიტყვა, რათა ვანაყოფიერო ის ჩემს ცხოვრებაში!

# 21 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

წმ. ლავრენტი ბრინდიზელი, ხუც.-მოძ.†1619;
(8.VII) წმ. მოწამე მირდატ მეფე †410

## 2016 ხუთშაბათი

იერ 2,1-3.7-8.12-13; ფს 35; მთ 13,10-17

მ. პავლე შჩეპანეკის მოხსენიება (†1999)

## რჯულის კაცებმა არ მიცნეს იერ 2,8

როგორაა ეს შესაძლებელი? სამწუხაროდ, შესაძლებელია, ზრუნავდე ღვთის რჯულზე და არა იმაზე, ვინც ეს რჯული მოგვცა, ისევე, როგორც შესაძლებელია იცავდე რჯულს და არა იმ ადამიანს, რომლის დასაცავადაც იქნა ეს რჯული მოცემული. ღმერთი საყვედურობს თავის ერზე პასუხისმგებლებს, რომლებიც მისი სიტყვით დიდობენ და არკი ზრუნავენ იმაზე, რომ მისი სიყვარულის მიმტანნი იყვნენ უპოვართა, უძლურთა და შეჭირვებულთათვის.

# 22 ივლისი

წმ. მარიამ მაგდალელი (მ), [ს],თ

# 2016 პარასკევი

ქებ 3,1-4 ან, 2კორ 5,14-17; ფს 62; იო 20,1-2.11-18

## ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა 2კორ 5,17

მართალია! როდესაც შეიყვარებ იესოს ყველაზე მეტად და თვით საკუთარ თავზე მეტად, ახალ სიცოცხლეს იწყებ. თავად ხვდები ამას, თავს რომ გრძნობ პატარა ბავშვივით, რომელსაც სჭირდება, რომ უფროსის ხელი ეჭიროს. და მიხვდებიან სხვანი, რომლებიც დაგინახავენ, როგორ შეიცვალე, დაგიახლოვდებიან მშვიდად და გთხოვენ დახმარებას.

# 23 ივლისი

## 2016

წმ. ბრიგიდა, (†1373) მონაზონი
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

## შაბათი

გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8

ეპარქიული მომლოცველობა

## უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ იო 15,5

იესო ამას ბაქიაობით როდი ამბობს, არამედ ადარდებს ჩვენი სიცოცხლე. მართალია, ცამდე მართალი, რომ მხოლოდ მასთან, იესოსთან ივსება ჩვენი ცხოვრება და ჩვენი ქმედებანი იქცევა სუფთა და უანგარო სიყვარულად. იესოს გარეშე თავად ჩვენ ვხდებით არასანდონი. მე საკუთარ თავსაც კი ვერ ვენდობი, არამედ ოდენ იესოს, რომელიც ღვთისგანაა! როდესაც მასთანა ვარ, შემიძლია წყნარად დავისვენო.

# 24 ივლისი

რიგითი XVII კვირადღე, «გ», [I], მწ

## 2016 კვირა

დაბ 18,20-32; ფს 137; კოლ 2,12-14; ლკ 11,1-13

### **ითხოვეთ და მოგეცემათ** გამ 20,2

დრო და დრო ვეუბნები ხოლმე მამას: იესომ მითხრა შენთვის მომემართა თხოვნით. ახლა მისი სიტყვით შეგთხოვ ამას შენ. და მეჩვენება, რომ მამა „ვალდებულია“ მიპასუხოს და ჩაერიოს საქმეში... ნათელია, რომ ჯერ თავიდან ვცდილობ გადავამოწმო, ვიყავი  თუ არა მისი დამცველი: საწინააღმდეგო შემთხვევაში ვერაფრის თხოვნას ვერ შევბედავდი, რადგან შეეძლო ეპასუხა: „შენი პრობლემა ხომ უკვე გადაჭრილია, ამაში დარწმუნდები, როგორც კი დამყვები, გამიგონებ, დამემორჩილები“!

# 25 ივლისი

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ;
(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი

# 2016 ორშაბათი

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

## ეს საუნჯე ჩვენ თიხის ჭურჭლებით დაგვაქვს 2კორ 4,7

მშვენიერ შედარებას აკეთებს წმიდა პავლე! უძლურნი და მყიფენივართ, მაგრამ ძვირფასნი, რადგან ჩვენში მკვიდრობს, იმალება, თავად იესო! სხვა სიტყვებით ნეტარი ტერეზა კალკუტელი ამბობდა: „მე ერთი პატარა ფანქარი ვარ ღმერთის ხელში“! მას არა სჭირდება ოქროს კალამი თავის საკვირველებათა დასაწერად. მე ფასი მადევს იმდენად და იმდენ ხანს, რამდენადაც და რამდენ ხანსაც ვარ მის ხელში.

# 26 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I]

წმიდანი იოაკიმე და ანა,
მშობელნი ნეტარი ქალწული მარიამისა, (მ), თ

# 2016 სამშაბათი

იერ 14,17-22; ფს 78; მთ 13,36-43

## ვაღიარებთ, უფალო, ჩვენს ორგულობას იერ 14,20

ღმერთისათვის გადარჩენისა და მტრისაგან დახსნისათვის თხოვნამდე, იერემია ითხოვს მოტევებას ერის ორგულობისათვის, მრავალი ღალატისათვის. ხოლო ამათ გამო მიტევების თხოვნამდე კი მათ აღიარებს. ჩვენი მოქცევა ის გზაა, რომელზეც ღმერთი შეძლებს სიკეთით აგვავსოს, გვანუგეშოს, განგვკურნოს და გაგვაძლიეროს!

# 27 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I] მწ

# 2016 ოთხშაბათი

იერ 15,10.16-21; ფს 58; მთ 13,44-46

## მსგავსია ცათა სასუფეველი ყანაში დაფლული განძისა მთ 13,44

ცათა სასუფეველი შეიძლება იპოვო მოულოდნელად, შემთხვევით, ან ხანგრძლივი ძიების შემდეგ, როგორც ემართება მარგალიტებით მოვაჭრეს. ნებისმიერ შემთხვევაში მისით გახარებას შეძლებ მხოლოდ მაშინ, თუკი უარს იტყვი ყოველივე დანარჩენზე. გინდა ღმერთისა იყო, იესოს ეკუთვნოდე? მიატოვე ყველა სხვა ფასეულობა, შენს გულს რომ იკავებენ: ამბიციები, სიმდიდრეები, ამპარტავნებანი და უამრავი სხვა ამაოება. ესენი ვერ დაიკავებენ მის გვერდით ადგილს შენს გულში: ის არ დაგთანხმდება ამაზე არასოდეს!

# 28 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I] მწ.

წმმ. ივლიტა და კვირიკე, წამ. († ~305წ.)

# 2016 ხუთშაბათი

იერ 18,1-6; ფს 145; მთ 13,47-53

## კარგი თევზით გოდრებს დაავსებენ, ხოლო უვარგისთ გადაჰყრიან მთ 13,48

არაფერია გასაკვირი, რომ მეთევზეები ასე იქცევიან. ქვეყნიერების აღსასრულ ასევე მოექცევიან ადამიანებს. რომელი აღმოჩნდება კარგი, კეთილი თევზი? ის, ვისაც თავის თავში აქვს ერთადერთი კეთილი, ისინი, ვინც შეერწყნენ იესოს და, შეგნებულად ან შეუგნებლად, დაჰყვნენ მის სიყვარულს!

# 29 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. მართა (მ), თ

# 2016 პარასკევი

Iიო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 ან, ლკ 10,38-42

## ღმერთი სიყვარულია Iიო 4,16

წმიდა იოანე მთელ მსოფლიოს აკვირვებს ამ გამოცხადებით. არავის ეფიქრა მანამდე, და არავინ ფიქრობს, რადგან ყველანი შეჩვეულნი არიან „ღმერთი“ უწოდონ იმეებს, რასაც იცნობენ, რისიც შურთ, ან, რაც დიდებას, ძალაუფლებას და კომფორტს აგონებს: სიყვარული კი, ყოველთვის უცხო ხილია, გაუთვლელი, შურს მოკლებული, მაგრამ, პირველ რიგში, „ძირის ძირამდე“, ბოლომდე მიძღვნა რომ სწყურია, სიკვდილამდე მიძღვნა! ღმერთი სიყვარულია!

# 30 ივლისი

რიგითი XVII კვირა [I] მწ

წმ. პეტრე ქრიზოლოგი, ეპ. და მოძ. †450

# 2016 შაბათი

იერ 26,11-16.24; ფს 68; მთ 14,1-12

30-31 ივლისი: ახალგაზრდების იუბილე
კრაკოვსა და წეროვანში

## გაიგონეთ უფლის ხმა იერ 26,13

იერემიას სიკვდილი მიუსაჯეს, ის კი ამ სევდიანი სიტყვებით მოუხმობს ყველას. გაიგონო ღმერთის ხმა და გაუგონო მას, აი, ხსნის გზა. ამას ვიმეორებთ დღესაც, ჩვენს მსოფლიოში, სადაც ძნელია ვინმეს ენდო, თვით ჩვენს მმართველებსაც, ანდა, იმათ, ვინც ამის პრეტენზიას აცხადებს. ყოველი უბედურების მიზეზი ცოდვაა და ისინი ვერ გადაწყდება, თუ არა იმ ღმერთისათვის ყურის დაგდებით, რომელმაც შეგვქმნა ჩვენ და ვუყვარვართ და გვირჩევს ჩვენს სასიკეთოდ!

# 31 ივლისი

რიგითი XVIII კვირადღე, «გ», [II], მწ

## 2016 კვირა

ეკლ 1,2; 2,21-23; ფს 89; კოლ 3,1-5.9-11; ლკ 12,13-21

# ვისღა დარჩება შენი სარჩო-საბადებელი

ლკ 12,20

იესოს პირში თქმისა არ ეშინია. უგუნური ადამიანი აგროვებს ფულსა და სიმდიდრეებს, თითქოს დიდი ხნით იყოს ამქვეყნად მოსული, არადა მასაც დაუდგება სიკვდილის ჟამი, და თანაც მოულოდნელად. იესო გვეკითხება: დაგროვილი სიმდიდრეები ვის გამოადგება? მფლობელს, რა თქმა უნდა, არა: მას გამოადგებოდა იმ შემთხვევაში, უპოვართა, ტანჯულთა, ჩაგრულთა შეყვარების საშუალებად რომ ექცია თავისი სიმდიდრე. უგნური ნუ იქნები: დროზე დაფიქრდი!

# I აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II]

წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი ეპ. და მოძ. †1787 (მ), თ;
წმ. სალომე ქართველი, წამ. (XIIს.)

2016 ორშაბათი

იერ 28,1-17; ფს 118; მთ 14,13-21

## წინასწარმეტყველს, რომელიც მშვიდობას წინასწარმეტყველებს, სცნობენ უფლისაგან მოვლენილ წინასწარმეტყველად

იერ 28,9

„...როცა მისი სიტყვა ახდება“: ასე გრძელდება ეს მუხლი. იესოს მოწაფეთა სიტყვაც, რომლებიც ახალი წინასწარმეტყველნი არიან, შემოწმებას ექვემდებარება: ღმერთის ნამდვილ სიტყვად აღმოჩნდება, ნათლისა და მშვიდობის მომნიჭებელ სიტყვად, თუკი იუწყება იესოს, რომელიცაა ადამიანისა და ხალხთა ნამდვილი მშვიდობა.

# 2 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II] მწ.
წმ. ევსები ვერჩელელი, ეპ. †372;
წმ. პეტრე ივლ. ეიმარდი, ხუც. †1868

# 2016 სამშაბათი

იერ 30,1-2.12-15.18-22; ფს 101; მთ 14,22-36

## იქნებით ჩემი ერი და მეც თქვენი ღმერთი ვიქნები იერ 30,22

ამგვარად ელაპარაკება უფალი ცოდვის გამო დამცირებულ და ყველა მოკავშირისაგან მიტოვებულ ერს. მეც, კეთილო მამაო, შევიცანი შენი ერთგულება: როდესაც მოგადექი, ღატაკი და ტანჯული, პატიების სათხოვნელად, შენ არასოდეს აგიგდივარ აბუჩად, არასოდეს მოგიშორებივარ თავიდან; მივხვდი, რომ შენი სიყვარული არ დასუსტებულა და იმ უბედურებაში, რომელიც მე თვითონ მოვაწიე საკუთარ თავს, შენ შემელი ჩემთვის ნუგეში გეცა. მადლობა!

# 3 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II] მწ

# 2016 ოთხშაბათი

იერ 31,1-7; ფს: იერ 31,10-13; მთ 15,21-28

## სამარადისო სიყვარულით შეგიყვარე, ამიტომ კვლავაც შენი ერთგული ვარ იერ 31,3

დიდი ნიჭია მამის სიყვარული: მუდამ შეგვიძლია გვქონდეს მისი იმედი, მას შუძლია დაეყრდნოს ჩვენი გული; ის არ იცვლება, გამძლეა და მას ვერ დაღლი... გვინდა, პირველი ადგილი ეკავოს მას ჩვენს ცხოვრებაში დღეს და ყოველ დღე!

# 4 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II] თ

წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუც. †1859 (მ)

# 2016 ხუთშაბათი

იერ 31,31-34; ფს 50; მთ 16,13-23

## ვაპატიებ მათ დანაშაულს და აღარ გავუხსენებ ცოდვებს იერ 31,34

უკვე წინასწარმეტყველები – ეს სიტყვები იერემია წინასწარმეტყველს ეკუთვნის – იუწყებოდნენ ცოდვათა მიტევებას, რასაც უფალი გამოგვიწვდიდა. ახლა ჩვენ ვხარობთ ამ დიდი ნიჭით: ეკლესიაში, მისი მღვდლების საშუალებით, იესო მუდამ მზადაა გაგმოგვიწოდოს ის ჩვენ. მან თავად მოგვიპოვა ის, თვით ჯვრამდე სიყვარულით! ეს ნიჭია ჩვენი მშვიდობისა და შეყვარების უნარის ნამდვილი წყარო.

# 5 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II] მწ

წმ. მარიამის მთავარი ბაზილიკის კურთხევა

# 2016 პარასკევი

ნაუმ 2,1.3; 3,1-3.6-7; ფს: რჯლ 32,35-41; მთ 16,24-28

უდის საკრებულოს დღესასწაული მთაში

## აღთქმები შეასრულე, რადგან უკეთური აღარ გადაგივლის ნაუმ 2,1

ეს სიმღერა გაჟღერდა ისრაელის ძველ ერში, თუმცა ის წინასწარმეტყველება იყო ჩვენთვისაც. ბრძოლები, მარცხი, გამარჯვების ყიჟინა, რასაც ვკითხულობთ ძველ აღთქმაში, ყოველივე იმის სიმბოლოა, რასაც ჩვენ, ქრისტეს მოწაფენი ამოვიცნობთ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში იესოსთან ერთობისათვის, მისი სიტყვის ერთგულებით.

# 6 აგვისტო

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი

# 2016 შაბათი

დან 7,9-10.13-14 ან, 2პეტ 1,16-19; ფს 96; ლკ 9,28-36

## ხმა რომ გაისმა, იესო მარტო დარჩა ლკ 9,36

სამი მოწაფის გამოცდილებას, მთაზე რომ მიიღეს, ჩვენც განვიცდით ხოლმე ზოგჯერ, თუმცა, რა თქმა უნდა, უფრო მსუბუქად. ნათლით სავსე დღე: ვგრძნობთ, რომ იესო ცოცხალი და ახლოა, გვერდით მყოფი ძმები სიმხნევეს გვმატებენ, მაგრამ, შემდეგ... მრავალიდ დღე ერთი მეორეს რომ ჰგავს, ზოგჯერ რუხი, ზოგჯერაც მძიმე... არადა, იესო კვლავაც ჩემთანაა, მხოლოდ იგი: იგი მუდამ ჩემთანაა, მუდამ ვუყვარვარ! მწამს ეს, იესო!

# 7 აგვისტო

რიგითი XIX კვირადღე, «გ», [III], მწ

2016 კვირა

სიბრძ 18,6-9; ფს 32; ებრ 11,1-2.8-19; ლკ 12,32-48

## ვისაც ბევრი მიეცა, ბევრი მოეთხოვება

ლკ 12,48

ყველა ჩვენგანი, უეჭველად, იმათ რიცხვს ვეკუთვნით, ვისაც ბევრი მიეცა: გვაქვს უდიდესი ნიჭი, ვიცნობდეთ ღმერთს როგორც მამას; ჩვენი მაცხოვარი იესოს ხელით შეგვიძლია მივენდოთ მას ნებისმიერ გარემოებაში. მაშასადამე, გულში სიხარულით გვსურს მივუძღვნათ ჩვენი ცხოვრების ყოველი წუთი მამას, რათა ვიცხოვროთ და ხორცი შევასხათ მის სიყვარულს.

# 8 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III]

წმ. დომენიკე, ხუცესი †1221(მ), თ

# 2016 ორშაბათი

ეზკ 1,2-5.24-28; ფს 148; მთ 17,22-27

## ხილვაში ვიხილე უფლის დიდება ეზკ 1,28

ეზეკიელ წინასწარმეტყველი გვიყვება უფლის დიდების ხილვას. ასევე მრავალი წმიდანი, ჩვენი უფროსი ძმები, რომლებმაც ჩვენს მსგავსად წმიდა ეკლესიის წიაღში იცხოვრეს, გვიყვებიან, რომ ,,იხილეს“ უფალი. ჩვენ გვწამს მათი მოწმობა და მივყვებით, რათა დაგვეხმარონ უფლის წინაშე ცხოვრებაში. განა არ განგვიცდია უკვე ჩვენც, ხან და ხან, ჩვენს გულში მისი სიყვარული?

# 9 აგვისტო

წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა,
(ედიტ შტაინი † 1942) ქალწ.დაწამ.
ევროპისმფარველი, დ, [ს], წ

# 2016 სამშაბათი

ოს 2,16ბ.17ბ.21-22; ფს 44; მთ 25,1-13

## დაგწინდავ ერთგულებით *იო 2,22*

ევროპის მფარველის, წმიდა თერეზა ბენედიქტა ჯვრისას დღესასწაულზეა რომ დღეს ვკითხულობთ ოსია წინასწარმეტყველის ამ მუხლს. შენს ზეიმზე, დაო ჩვენო, რომელმაც მიიღე და დაიცავი იესო ნეფის სრული სიყვარული, გვასწავლე ვიცხოვროთ მასთან, მოველოდეთ მხოლოდ მისგან ჩვენს სიხარულს, ჩვენი ცხოვრება მივანდოთ მის ხელთ!

# 10 აგვისტო

წმ. ლავრენტი, †258 დიაკ. და წამ. დ, [ს], წ.
(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი

# 2016 ოთხშაბათი

2კორ 9,6-10; ფს 111; იო 12,24-26

## ვინც მე მემსახურება, მევე გამომყვეს იო 12,26

შენთვის როდი გინდა, იესო, ჩემი მსაუხრება, ჩემი გარჯა; შენ ბრძანე: ,,მოვსულვარ რათა ვემსახურო და გავცე სიცოცხლე მრავალთათვის“. ამ შენს საქმეში, შენს გვერდში ამომიყენე, რათა მეც შენთან ერთად გა-ვისარჯო, ვიტანჯო, მოვკვდე, რათა მამის სიყვარული და გულმოწყალება კვალვაც მისწვდეს ვინმეს.

წმ. ლავრეტნი, დიაკონო და წამებულო,
ითხოვე იესოს ეკლესიისთვის მსახურების,
ძლიერების, დამოწმების სული!

# 11 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III]

წმ. კლარა ასიზელი, ქალწ. (მ), თ; † 1253
(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. (†589)

# 2016 ხუთშაბათი

ეზეკ 12,1-12; ფს 77; მთ 18,21-19,1

## ნიშნად დამიდგენიხარ ისრაელის სახლისათვის ეზეკ 12,6

უფალი იწვევს თავის წინასწარმეტყველს, რათა გაფრთხილება მისცეს ერს არა სიტყვით, არამედ ქცევით. ყოველი ქრისტიანი, რომელიც მიუტევებს, უახლოვდება გასაჭირში მყოფთ, წმიდად მიიჩნევს ლოცვის ჟამს, წინასწარმეტყველია, ,,ნიშანია“, სიმბოლო, მდუმარე ნიშია მათთვის, ვინც კვლავაც წუთისოფლის წყვდიადშია.

# 12 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III] მწ

წმ. იოანა ფრანცისკა დე შანტალი †1641, მონ.

# 2016 პარასკევი

ეზეკ 16,1-15.60.63; ფს: ეს 12,2-6; მთ 19,3-12

## გავარდა შენი სილამაზის სახელი ხალხებში

ეზეკ 16,14

ჩვენ ყველა, ვინც შევხვდით იესოს და შენს სიყვარულს, ვაღიარებთ სიხარულით და მადლიერებით, რომ მან მოგვანიჭა ახალი სიცოცხლე, მეტიც, მხოლოდ მან მოგვანიჭა ნამდვილი სიცოცხლე. სასარგებლო იქნება ჩვენთვის ამის დამახსოვრება, რათა მუდამ თავმდაბლობით ვიცხოვროთ უფლისა და ძმათა მსახურების სულით.

# 13 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III] მწ

წმ. პონციანე პაპი და იპოლიტე ხუც., წამ. † 235

## 2016 შაბათი

ეზეკ 18,1-10.13.30-32; ფს 50; მთ 19,13-15

## შეიქმენით ახალი გული და ახალი სული

ეზეკ 18,31

წმიდა ნათლისღებაში საჩუქრად მივიღეთ ,,ახალი გული და ახალი სული“, ვიქეცით ღმერთის შვილებად. ჩვენი სიხარულით სავსე ვალდებულებაა მოვუაროთ და ვაცოცხლოთ ეს შვილი, დღითი დღე, ყოველ ჩვენს ფიქრში, ყოველ რეაქციაში, ყოველ საქმეში: ამგვარად ვიქნებით ერთი მთლიანობა მე იესოსთან.

# 14 აგვისტო

რიგითი XX კვირადღე, «გ», [IV], მწ

2016 კვირა

იერ 38,4-6.8-10; ფს 39; ებრ 12,1-4; ლკ 12,49-53

## მოვედი, რათა ცეცხლი მოვდო ამ ქვეყანას

ლკ12,49

ცეცხლი, რომელზეც დღეს იესო საუბრობს, მოგვაგონებს წმიდა სულს, რომელიც ცეცხლის დარად ანათებს, ათბობს, აცოცხლებს, განწმედს.
მოდი, სულო წმიდაო, ჩემი უფალი იესოს ვნების განდიდებული იარებიდან: შთაღვარე და გააძლიერე ჩემში ახალი სიცოცხლე, მის სიცოცხლე, რომელიც იცნობს და ასხივებს მამის სიყვარულს!

# 15 აგვისტო

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის
ზეცად აღყვანება, დდ, [ს], თ

# 2016 ორშაბათი

გამოცხ 11,19;12,1-6.10; ფს 44; 1კორ 15,20-27; ლკ 1,39-56

თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების
საკათედრო ტაძრის დღესასწაული

## გაიხარა ჩემმა სულმა ღმერთის, ჩემი მაცხოვრის გამო ლკ 1,47

ეს საგალობელი მარიამის გზის დასაწყისს აღნიშნავს: მან შეიცნო მამის სიყვარული მისდამი და, მისდამი საკუთარი თავის სასოებითა და მინდობით მიძღვნით, განიცადა ხსნა. ვეღარავითარი შიში, ვეღარავითარი ტანჯვა ვეღარ წაართმევს მას ამ სიხარულს. ამ ნიჭის ერთგული დარჩა მარიამი, იცავდა მას მისი ცხოვრების ყველაზე ბნელ ღამეებშიც კი! მადლობა, მარიამ! ახლა შენი რწმენის გზის გვირგვინსა ფლობ ზეცაში!

# 16 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV] მწ

წმ. სტეფანე უნგრელი, †1038; (3.VIII) წმ. რაჟდენ მოწამე

# 2016 სამშაბათი

ეზეკ 28,1-10; ფს: რჯლ 32,26-28.30.35-36; მთ 19,23-30

## ღმერთისთვის ყველაფერი შესაძლებელია

მთ 19,26

მოციქულთა მსგავსად, ჩვენც ვამბობთ: „მაშ, ვინღა გადარჩება?“ ჩვენი თავკერძობა, ჩვენი ამპარტავნება, თითქოს საბოლოოდ გვიკეტავენ გზას სასუფევლისაკენ, რომელიც მხოლოდ სიყვარული, სიკეთე და სიმშვიდეა... „ღმერთისთვის ყველაფერი შესაძლებელია“! იესო, არ შევშინდები; მე მწამს, რომ შენა ხარ „კარი“, შენ გიყვარვარ! მოგიხმობ შენ, შეგთხოვ პატიებას, მოგელი, გმადლობ, გეთაყვანები!

# 17 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV] მწ

# 2016 ოთხშაბათი

ეზეკ 34,1-11; ფს 22; მთ 20,1-16

## მე თავად მოვძებნი ჩემს ცხვარს ეზეკ 34,11

იესო, მოდი დღეს ჩემს საძებრადაც! დაე, ჩემი გული შენს გულთან ერთად ძგერდეს, რათა მეც შევძლო შეყვარება, დავეხმარო ვინმეს, გაიცნოს მამა, ჩვენს ოჯახს შემოუერთდეს, ეკლესიას, და გაიხაროს მშვიდობით!

# 18 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV] მწ

# 2016 ხუთშაბათი

ეზეკ 36,23-28; ფს 50; მთ 22,1-14

## ქორწილში მოიწვიეთ ყველა შემხვედრი

მთ 22,9

მახსოვს, როდესაც მივიღე იესოსთან შეხვედრის მადლი და დავაგემოვნე დიდი სიხარული, მწადდა, რომ ყველას, მეგობრებსა და ნათესავებს, ეკლესიიდან შორს მდგართაც მონაწილეობა მიეღო ზეიმში. მრავალ მცირე ინიციატივებს მივმართავდი ამ მიზნით.

მოდი, სულო წმიდაო,
გააცოცხლე ჩემში ნამდვილი სიყვარული!

# 19 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV] მწ

წმ. იოანე ოდი, ხუცესი †1680

# 2016 პარასკევი

ეზეკ 37,1-14; ფს 106; მთ 22,34-40

## აჰა, შევიყვან თქვენში სულს და გაცოცხლდებით ეზეკ 37,5

იმ საღამოს დაღლილი ვიყავ და გულიდან სიხარული გამცლოდა, მთელი ჩემი გარჯა უსარგებლო მეჩვენებოდა... მეორე დღეს, დიდი იმედების გარეშე, რამოდენიმე საათი გამოვყავი იესოსთან დასარჩენად, მარტოდ, როგორც ვიქცევი ყოველ კვირა. მივხვდი, რომ ნამდვილად იესოსგან, მდუმარებაში, მოვიდა ჩემში ნუგეშისმცემელი სული: დამიბრუნდა სიცოცხლისა და სიყვარულის სიხარული. მადლობა, იესო!

# 20 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV] თ

წმ. ბერნარ კლერვოელი, აბატი და ეკლესიის მოძღვარი, †1153 (მ)

# 2016 შაბათი

ეზკ 43,1-7; ფს 84; მთ 23,1-12

## ამბობენ და არ ასრულებენ მთ 23,3

არათანმიმდევრულობის ამ ბრალდებას მიმართავენ, და ჩვენც ხშირად მივმართავთ ხოლმე, ჩვენი ქრისტიანული საკრებულოების მწყემსებისა და პასუხისმგებლების მიმართ. მაგრამ, ხშირად, ამ მტკიცებულებიდან, რომელიც მართალიც შეიძლება იყოს, მცდარ დასკვნებს ვაკეთებთ: გამამართლებელ მიზეზად მოგვყავს, რომ ყური არ დავუგდოთ მათ. იესო კი გვეუბნება, რომ სერიოზულად მოვეკიდოთ მათ სიტყვებს და, მხოლოდ, არ მივყვეთ მათ ცუდ მაგალითს.

# 21 აგვისტო

რიგითი XXI კვირადღე, «გ», [I], მწ

# 2016 კვირა

ეს 66,18-21; ფს 116; ებრ 12,5-7.11-13; ლკ 13,22-30

## ილვაწეთ, რათა შეხვიდეთ ვიწრო ბჭით

ლკ 13,24

ვიწრო კარი ის კარია, რომელიც მოითხოვს
შემსვლელთაგან ბოღჩისა თუ ხურჯინის გარეთ
დატოვებას, რაიმეზე უარის თქმას. ესაა კარი, რომლის
გავლა შემიძლია იესოსთან, და მხოლოდ მასთან,
ერთობაში. მეტიც, ეს კარი თავად იესოა:
ანუ, დათმო ყველაფერი, ყველაფრის მისაღებად!

# 22 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I]

ნეტ. ქალწ. მარიამ დედოფალი (მ), თ

# 2016 ორშაბათი

2თეს 1,1-5.11-12; ფს 95; მთ 23,13-22

სულიერი ვარჯიები მღვდლებისა და ბერმონაზვნებისათვის

## ჩვენმა ღმერთმა ხმობის ღირსი გყოთ 2თეს 1,11

მოწოდებაა, დიდი ნიჭი, ღმერთი რომ მომართავს ჩვენსკენ, რათა ვიქცეთ მის შვილებად, სისავსით მივიღოთ მონაწილეობა მის სიცოცხლეში. მოწოდებაა, რომელსაც წინ ეღობება ამ წუთისოფლის თავადი, რომელიც ყველა ხერხს მიმართავს რათა სდევნოს იესოს, მამის ხმის გზაზე დამდგარნი.

დღეს ვილოცებთ იმ მრავალი ძმისათვის, ვისაც სდევნიან, რათა პოვონ წმიდა სულის შემწეობა.

# 23 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I] მწ

წმ. როზა ლიმელი, ქალწ. †1617

# 2016 სამშაბათი

2თეს 2,1-3.13-17; ფს 95; მთ 23,23-26

## ხელთ გეპყრათ სწავლა, რომ გადმოგეცათ

2თეს 2,15

წმიდა პავლეს შეგონება მუდამ ძალაშია. ყოველ ეპოქას გააჩნია თავისი ახალი იდეოლოგიები, რომლებიც ცდილობენ ჩვენ ქრისტიანებსაც შეგვაცვლევინონ ცხოვრების წესი. იესომ კი ჩვენი დაცვის გზას მიაგნო: კმარა რომ ერთობაში ვიყოთ, თავმდაბლად, მის საკრებულოსთან, იმ მწყემსებთან, რომლებსაც იგი გვაძლევს!

# 24 აგვისტო

წმ. ბართოლომე მოციქული, დ, [ს], წ

# 2016 ოთხშაბათი

გამოცხ 21,9-14; ფს 144; ინ 1,45-51

## განა შეიძლება ნაზარეთიდან კეთილი გამოვიდეს რამე? ინ 1,46

ძეო ღვთისაო, იესო, როდესაც ჩვენს დასახსნელად
განკაცდი, დამდაბლებული მოხვედი ჩვენთან. მაშ,
აღარ გამიკვირდება, თუკი დღეს ჩემთვის რაიმის თქმა
გენდომება ჩემი ყველაზე „მცირე“ ძმის მიერ!
არ გამიკვირდება, თუკი მეც მომანდობ
შენი სასუფევლის რაიმე დავალებას.
მხოლოდ გეტყვი: „მადლობა“ და „შენ გესავ“!

# 25 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I] მწ

წმ. ლუდოვიკე, †1270; წმ. იოსებ კალასანსი, ხუც. †1648

# 2016 ხუთშაბათი

I კორ I,1-9; ფს 144; მთ 24,42-51

## სარწმუნოა ღმერთი I კორ I,9

წმიდა პავლე მთელი დარწმუნებულობით ამბობს ამას, რაკი იესოში მან ღმერთი გაიცნო; არა ის ღმერთი, რომელსაც ადამიანები იქმნიან და, ვინ იცის, მისი ნდობა შეიძლება თუ არა, არამედ ღმერთი, რომელიც იესოში გამოვლინდა, რომელმაც მოგვიხმო თავისთან თანაზიარებისაკენ თავისი ძის მიერ. სწორედ ეს ძე ერთ დღეს დაბრუნდება დიდებით, რათა წარგვადგინოს მამის წინაშე.

# 26 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I] მწ

# 2016 პარასკევი

I კორ 1,17-25; ფს 32; მთ 25,1-13

## იფხიზლეთ, ვინაიდან არც დღე იცით და არც საათი მთ 25,13

ჩვენ, რომლებიც მიუხედავად ჩვენი ნაკლოვანებებისა და ცოდვებისა, ვცდილობთ გვიყვარდეს იესო, ჩვენი ძმა და მაცხოვარი, ნუ შეგვეშინდება ამ მისი სიტყვებისა! ისინიც ხომ მისი გულის საჩუქარია: მან უწყის, რაოდენ იოლად გვხიბლას ან გვითრევს საწუთროს საზრუნავი; შეგვახსენებს, რომ მის მოლოდინში ვართ, რომ მხოლოდ მისი სიყვარულია ჩვენი ნამდვილი სიხარული!

# 27 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I]
წმ. მონიკა, †387 (მ), თ

# 2016 შაბათი

I კორ 1,26-31; ფს 32; მთ 25,14-30

## ვინც იქადის, უფლით დაიქადოს I კორ 1,31

ბაქიაობა, ჩვეულებრივ, არაა კარგი განწყობა, რადგან თავის მოწონებაა, სხვებზე მაღლა შედგომით. სიქადული, რომლზეც წმიდა პავლე საუბრობს, უფლისადმი მადლიერებაა. იმის აღიარებაა, რომ მისთვის ძვირფასნი ვართ, რადგან იგი აღგვავსებს თავისი მრავალი ნიჭით, იმით გაკვირვებაა, რომ ჩვენი სიმყიფის მიუხედავად იგი გვიხმობს თავისთან თანასაღვაწად. მისით კმაყოფილებაა და, მარიამის მსგავსად, მისთვის მადლობის მიძღვნა!

# 28 აგვისტო

რიგითი XXII კვირადღე, «გ», [II], მწ

2016 კვირა

ზირ 3,17-20.27-28(19-21.30-31); ფს 67; ებრ 12,18-19.22-24; ლკ 14,1.7-14

მარიამის მიძინება საქ. მართლ. ეკლესიაში

## ყველა, ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება ლკ 14,11

მასწავლე, იესო, ჩემი ცოდვის ამოცნობა-აღიარება: მაშინ შევიცნობ შენმიერი მიტევების სიხარულს! მასწავლე ჩემი სიღატაკისა და სიმცირის ამოცნობა-აღიარება: შევიგრძნობ შენი მარჯვენის სიძლიერეს ჩემზე! მასწავლე თავმდაბლობა, ბოლო ადგილის დაკავება, როგორც მეკუთვნის კიდეც: ჩემს გვერდით გიპოვი შენ, უფალო, რომელიც სიყვარულით ყველაზე უკანასკნელი გახდი, ყველას მსახური!

# 29 აგვისტო

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, (მ), [ს], წ

## 2016 ორშაბათი

იერ 1,17-19; ფს 70; მარ 6,17-29

**არ უნდა გყავდეს შენი ძმის ცოლი** მარ 6,18

ერთმა ამხანაგმა შენიშვნა მომცა, რომ ჩემი საუბრით არ ვიყავი იესოს კარგი მოწმე. მაშინვე ფიქრების ზვავი აზვირთდა ჩემში: თავის მართლება, ამხანაგისთვის ბრალის დადება... მივხვდი, რომ მტერი ამოქმედდა: ვილოცე, შემდეგ მადლობა ვუთხარი ამხანაგს და უფრო ძლიერ შევიყვარე ის. იესო ნელ-ნელა მეხმარება ჩემი ნაკლის დაძლევაში.

# 30 აგვისტო

რიგითი XXII კვირა [II] მწ

# 2016 სამშაბათი

Iკორ 2,10-16; ფს 144; ლკ 4,31-37

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (†1937)

## ღმერთისა არავინ არაფერი იცის Iკორ 2,11

მხოლოდ შენმა მოსვლამ, სულო წმიდაო, შემაცნობინა იესო და მისი სიყვარული! ამიტომ, ვიდრე მასზე ხმას ამოვიღებდე, შევეცდები ვიცხოვრო მასთან, ანუ, ვილოცო, მუდამ, დავუჯერო, სიყვარულით ვატარო ჩემი ჯვარი. შენ, სულო წმიდაო, ღვთიური სიყვარულის საუნჯეს რომ გვაგემებ, შენც ხომ იესოს ნიჭი ხარ მათთვის, ვისაც უყვარს ის!

# 31 აგვისტო

რიგითი XXII კვირა [II] მწ

# 2016 ოთხშაბათი

I კორ 3,1-9; ფს 32; ლკ 4,38-44

## ხალხი ეძებდა მას ლკ 4,42

იესო კი, მას შემდეგ რაც დააგემოვნებინა მათ მამის სიყვარული სნეულთა განკურნებითა და გულთა გათავისუფლებით, მიდის... ცდილობს, მარტო დარჩეს მამასთან, პატარა შვილის მსგავსად; მისგანაა, რომ ღებულობს დავალებას, წავიდეს სხვებისაკენ.

იესო კეთილო, მსურს შენ გამოგყვე:
მასწავლე შენი სიყვარული!

# I სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II] მწ

# 2016 ხუთშაბათი

Iკორ 3,18-23; ფს 23; ლკ 5,1-11

ქმნილების დღე

## თქვენ ქრისტესნი ხართ, ქრისტე კი — ღვთისაა Iკორ 3,23

ამ თვეს ვიწყებთ გამოცხადების სიტყვით. ქრისტესნი ვართ, მისი საკუთრება, მისი მეგობრები. და ამის გამო ვეკუთვნით ღმერთს. არავინ ეკუთვნიის ღმერთს, თუკი ის ქრისტე იესოს ახლო მეგობარი არაა, თუკი არაა მასთან შეერთებული. თავს იტყუებს ის, ვისაც ჰგონია რომ ღმერთისაა, იესოს კი უგულებელყოფს და უგულებელყოფს მის ეკლესიას. უფალო იესო, მე შენ ჩაგეჭიდები, ეკლესიის თავს. და ღვთის ხელი ჩამჭიდებს მე და აღარ გამიშვებს.

# 2 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II] მწ

# 2016 პარასკევი

I კორ 4,1-5; ფს 36; ლკ 5,33-39

## **უფალი არის ჩემი განმკითხველი** I კორ 4,4

წმიდა პავლე ამბობს აგრეთვე სხვა ადგილას: „მე არც
კი განვიკითხავ ჩემს თავს“, რადგან ერთადერთი, ვინც
ხედავს ყოველივეს და კარგად ხედავს, უფალია.
იესო სწორედ საამისოდ იქნა მოვლენილი მამისაგან,
რათა ყველას გულმოწყალე მსაჯული იყოს,
კეთილთა და ბოროტთა, ცოცხალთა და მკვდართა.
ვუწყი ამას და ვცდილობ მის მოსაწონად ვიცხოვრო!

# 3 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II]
წმ. გრიგოლ დიდი, პაპი და მოძ., †604 (მ), თ;
(21.VIII) წმ. სარმეან კათალიკოსი

# 2016 შაბათი

I კორ 4,6-15; ფს 144; ლკ 6,1-5

## ქრისტეში სახარებით მე გშობეთ თქვენ

I კორ 4,15

ჩვენს რწმენას, და შესაბამისად ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებას, დასაბამი აქვს მავანის სიტყვაში ან მაგალითში, რომლის მუდმივი მოვალენიც დავრჩებით. გავფრთხილდებით, რომ არ უარვყოთ ეს რწმენა, ვიფხიზლებთ ყველა შემოთავაზებაზე, რასაც სხვებისგან მივიღებთ. შედარების საბოლოო საზომად გვექნება მრწამსი, რომელსაც სარწმუნოების სიმბოლოც ჰქვია. ის რწმენები, რაც მას შორდება, სიცრუეა, პირველი შეხედვით მიმზიდველნიც რომ იყოს.

# 4 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირადღე, «გ», [III], მწ

2016 კვირა

სიბრძ 9,13-18; ფს 89; ფილიმ 9-10.12-17; ლკ 14,25-33

## ვინც არ ატარებს თავის ჯვარს, ვერ იქნება ჩემი მოწაფე ლკ 14,27

მავანმა გითხრა, რომ ღმერთს ოდენ ჩვენი ბედნიერება სურს, და ამიტომ უნდა განშორდე ყოველივეს რაც ტანჯვის მიზეზია? ეს ხმა იესოს ხმა არაა: იგი საუბრობს ჯვარზე ჩემთვისაც და შენთვისაც. ჩვენ მივყვებით ჯვარცმულ ქრისტეს, სირცხვილისა და ჩივილის გარეშე. ის, ვინც გთავაზობს ცხოვრებას ჯვრის გარეშე სიბრძნით არ მეტყველებს, ის მაცდურია!

# 5 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III] მწ

ნეტ. დედა ტერეზა კალკუტელი, მოწყალების მისიონერ
დედათა კონრეგაციის დამაარსებელი

# 2016 ორშაბათი

I კორ 5,1-8; ფს 5; ლკ 6,6-11

## მოაშორეთ ძველი საფუარი,
## რათა იყოთ ახალი ცომი I კორ 5,7

მოციქული მოუხმობს ამ შედარებას, რათა მოგვიხმოს მოქცევისაკენ. ძველი საფუარია ის, რასაც გვთავაზობს ღმერთის მტერი წუთისოფელი, უწმიდურობაში, გრძნობისმიერ მანკიერებებში ჩაფლული წარმოუდგენელი სახით. იესოს მადლით შევეცდებით ვიცხოვროთ სისპეტაკით, ლაპარაკიდან და მზერიდან ყოველგვარი ურცხვის განდევნით.

# 6 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III] მწ

# 2016 სამშაბათი

1კორ 6,1-11; ფს 149; ლკ 6,12-19

## თქვენ განიბანეთ, განიწმიდეთ ჩვენი უფლის იესოს სახელით 1კორ 6,11

უწნეონი და გარყვნილნი ვიყავით, მატყუარანი და ძუნწნი, მიცემული ვიყავით მანკიერებას და ყოველგვარ ჩხუბისთავობას. ნათლისღების მადლმა განგვბანა, გაგვათავისუფლა და განგვკურნა ამ სნებებისაგან: და რა მშვენიერია ახლა იესოსთან, მის სიბრძნესთან და ნათელთან ცხოვრება!

# 7 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III] მწ

## 2016 ოთხშაბათი

I კორ 7,25-31; ფს 44; ლკ 6,20-26

### წარმავალია საწუთროს ხატი! I კორ 7,31

წმიდა პავლეს წმიდები ვუნდივართ! ამისათვის გვთავაზობს, დავეუფლოთ ჩვენს სურვილებს, მივმართოთ ისინი იმისაკენ, რაც სამარადისოდ რჩება. ამ ქვეყნის საგნები დიდხანს ვერ ძლებენ, ამიტომაც არა ღირს მათი გულთან ახლოს მიტანა. იგი იესოს ექოდ ჟღერს, რომელიც ნეტარად აცხადებს ღარიბებს.

# 8 სექტემბერი

შობა ნეტარი მარადქალწული მარიამისა
დ, [ს], თ

## 2016 ხუთშაბათი

მიქ 5,1-4ა ან, რომ 8,28-30; ფს 12; მთ 1,1-16.18-23
ვალეს ეკლესიის დღესასწაული

### შობს ძეს და უწოდებ სახელად იესოს მთ 1,21

ვზეიმობთ მარიამის შობას, ვინაიდან იგია იესოს დედა. მუდამ იესოა ჩვენი ყურადღების შუაგულში. დღეს მადლობას ვწირავთ მამას, რადგან მან განამზადა იგი, ვისაც უნდა მოევლინა ჩვენთვის მისი ძე: ღმერთმა მარიამის საშუალებით მოგვმადლა იგი. ანგელოზი უცხადებს ამას იოსებსაც და აუწყებს მას ბავშვის სახელს, სახელს, რომელიც ავლენს ადამიანის გადარჩენის ღვთიურ ჩანაფიქრს. მარიამის დაბადება ის საიდუმლოა, რომელიც ჩვენი დახსნის ნაწილია!

# 9 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III] მწ
წმ. პეტრე კლავერი, ხუც. †1654

## 2016 პარასკევი

I კორ 9,16-19.22-27; ფს 83; ლკ 6,39-42

## ყოველივეს ვასრულებ სახარებისათვის

I კორ 9,23

წმიდა პავლე იქცევა ყოველთა მსახურად, რათა აუწყოს სახარება, ანუ ის სასიხარულო ამბავი, რომ ღმერთს ვუყვარვართ და რომ მისი სიყვარული გვწვდება ჩვენ იესოს საშუალებით! ვინც იესომ დაიპყრო, მას მხოლოდ მისთვის სიცოცხლეღა ძალუძს და აცნობს მას ირგვლივ, სწორედ როგორც მოციქული. შეეცადე დღეს შენც, რაიმე მოიმოქმედო სახარებისათვის!

# 10 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III] მნ
(28.VIII) წმ. მოწამე შუშანიკი

2016 შაბათი

Iკორ 10,14-22; ფს 115; ლკ 6,43-49

## ყველანი ერთსა და იმავე პურს ვეზიარებით

Iკორ 10,17

სწორედ ამიტომ შორს გავდგეთ კერპთმსახურების ყოველი ფორმისაგან. კერპთმსახურებაა მიანიჭო რაიმე საგანს, თუნდაც ლამაზსა და კარგს, უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე იესოსადმი ჩვენს ერთგულებას. თუ კარგად დააკვირდები, დაინახავ, რომ შენც მრავალი კერპის გავლენის ქვეშ ექცევი ხოლმე. რაიმე გაბრაზებს? ის რაც გაბრაზებს, შენი კერპია. და თუკი ჩივი და წუწუნებ, ეს იმიტომ, რომ რომელიღაც კერპს დაუკავებია შენს გულში ღმერთის ადგილი.

# 11 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირადღე, «გ», [IV], მწ

## 2016 კვირა

გამ 32,7-11.13-14; ფს 50; 1ტიმ 1,12-17; ლკ 15,1-32

## მის გვერდით იყო ყველა ცოდვილი და უსმენდა მას ლკ 15,1

სწორედ ასე, უსმენდა მას! არ მოდიან რამის სათხოვრად, პრეტენზიებით, ცნობისმოყვარეობისათვის. სწორედ მაშინ, როცა ადამიანი მოდის მისი სიტყვის მოსასმენად, ცოდვილიც აღარაა: ის, ვინც იესოს უგდებს ყურს, უკვე დაადგა მოქცევის გზას. ამიტომაა იგი კმაყოფილი: ხედავს მამის სიხარულს! მართლაც, ღმერთი ხარობს, ხოლო მასთან ერთად ანგელოზნიც ხარობენ, როცა რომელიმე ცოდვილი ბრუნდება მისი სიყვარულის მისაღებად და გასაზიარებლად.

# 12 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ

მარიამის უწმინდესი სახელი

# 2016 ორშაბათი

1კორ 11,17-26; ფს 39; ლკ 7,1-10

## ეს არის ჩემი სხეული, თქვენთვის დამტვრეული 1კორ 11,24

მღვდელი წარმოთქვამს იესოს ამ სიტყვას წმიდა წირვაში პურის კურთხევისას. ეს საიდუმლოა, რომლის გონებით წვდომაც ჩვენს ძალებს აღემატება, თუმცა წმიდა სულს შევყავართ ამ საიდუმლოში, რათა ვიცხოვროთ მისით. ეს საიდუმლოა, რომელსაც, მიუხედავად ჩვენი უბადრუკობისა, უხვი ნაყოფი მოაქვს ეკლესიაში, ჩვენს ცხოვრებასა და მთელ საზოგადოებაში!

# 13 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

წმ. იოანე ოქროპირი, ეპ. და ეკ. მოძ.,†407(მ), თ

## 2016 სამშაბათი

Iკორ 12,12-14.27-31; ფს 99; ლკ 7,11-17

## ყველანი ერთი სულით მოვინათლეთ ერთ სხეულად Iკორ 12,13

ნათლისღებაც, ევქარისტიის მსგავსად, მამის სიყვარულის საიდუმლოებაა. მისი წყალობით ისე ღრმად ვუერთდებით იესოს, რომ მასთან ერთი სხეული ვხდებით, ერთი რეალობა. ვერავინ გააცალკევებს სხეულს სხეულისაგან, ვერავინ იფიქრებს ეკლესიაზე იესოს გარეშე და იესოზე, ეკლესიის გარეშე. ყველანი განსხვავებულნი ვართ, თითეულს თავისი ნიჭი და უნარი გააჩნია, მაგრამ ყველანი ღმერთის სიყვარულის სამსახურში ვდგავართ.

# 14 სექტემბერი

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

## 2016 ოთხშაბათი

რცხ 21,4-9 ან, ფლპ 2,6-11; ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღესასწაული

## უნდა აღიმართოს ძე კაცისა იო 3,14

დღევანდელი ზეიმის მიზეზი იმ ჯვრის პოვნაა,
რომელზეც აღესრულა იესო. შესაძლებლობა გვეძლევა
განვიაზროთ მისი ძღვენის მნიშვნელობასა და წონაზე,
რათა კიდევ ერთხელ მოგვიცვას მისმა სიყვარულმა.
შეგვიწყალე, უფალო იესო, და გვიხსენი ჩვენ!
გეთაყვანებით და მოგყვებით, შენთან ერთად
მამისათვის ჩვენი სიცოცხლის მიძღვნით!

# 15 სექტემბერი

მგლოვიარე ნეტ. ქალწ. მარიამი (მ), [ს], თ

# 2016 ხუთშაბათი

ებრ 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 ან, ლკ 2,33-35

არალში შუა ფარეხის ეკლესიის დღესასწაული

## თვით შენც სულში გაგივლის მახვილი ლკ 2,35

მარიამი ჯვრის გვერდით დარჩა, არ შერცხვენია თავისი შვილის გამო და არც მიუტოვებია იგი. მისი ტანჯვა ეკლესიის ტანჯვის დასაწყისია, ეკლესიისა, რომელიც ყოველ ჟამსა და ყოველ ადგილას იზიარებს იესოს ვნებას. რამდენი ქრისტიანი იტანჯება იმისათვის, რომ უფლის სიტყვისამებრ იცხოვროს! რაოდენი აბუჩად აგდება ხვდება მათ, რამდენი ცდუნება და დევნა! მარიამი უწყის მათ, იზიარებს და ანუგეშებს.

# 16 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV]

წმ. კორნელიუს პაპი †253 და
კვიპრიანე ეპ. †258, წამებულნი (მ), წ

# 2016 პარასკევი

Iკორ 15,12-20; ფს 16; ლკ 8,1-3

მ. მიხეილ თამარაშვილის მოხსენიება (†1911)

## აღდგა მკვდრეთით ქრისტე Iკორ 15,20

ამ დარწმუნებულობას ემყარება ჩვენი რწმენა. ჩვენ გვწამს რომ იესო აღდგა მკვდრეთით, და ამ რწმენის წყალობით ვუწყით, რომ ღმერთს ვუყვარვართ, რომ მისი შვილნი ვართ, რომ იგი გვიხსნის ჩვენ, რადგან შევიყვარეთ იგი. ეს ასე რომ არ იყოს, ყველაფერი ჩაიშლებოდა, ისიც აღარ იქნებოდა მართალი, რომ ღმერთი სიყვარულია! ის, ვისაც არა სწამს, რომ იესო აღდგა, ხომ არ აუწყებს ღმერთის სიყვარულს!

# 17 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ

წმ. რობერტ ბელარმინო, ეპ., მოძ. †1621

## 2016 შაბათი

1კორ 15,35-37.42-49; ფს 55; ლკ 8,4-15

სულიერი ვარჯიშები ახალგაზრდებისათვის

## თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა ლკ 8,5

შესაძლოა დაისვას კითხვა: მთესველის უყურადღებობის გამო ხდება ასე? რატომაა, რომ იგი თავის ძვირფას მარცვალს აბნევს ქვა-ღორღში, გზაზე და ეკალ-ბარდში? სარწმუნო პასუხი: რათა შენ იყო ყურადღებით საკუთარ თავზე. შესაძლოა იყო ზედაპირული ან გონგაფანტული და სხვა საზრუნავით დაკავებული, მაშინაც, როცა იესო გელაპარაკება!

# 18 სექტემბერი

რიგითი XXV კვირადღე, «გ», [I], მწ

## 2016 კვირა

ამ 8,4-7; ფს 112; 1ტიმ 2,1-8; ლკ 16,1-13

## ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც ლკ 16,13

ძვირფასი სიტყვაა, მაშინაც კი, როცა საზრესავით ხვდება მრავალს, თავი ქრისტიანად რომ მოგვაქვს ხოლმე. აი, მიზეზი იმისა, თუ რატომაა ამდენი უთანხმოება და უზნეობა, ამდენი სიცრუე მათ შორისაც ვინც ეკლესიაში დაიარება. აი, მიზეზი იმისა, თუ რატომ აკლიათ მსახურების სულისკვეთება მათ, ვინც პოლიტიკურ კარიერას შესდგომია! აი, მიზეზი იმისა, თუ რატომ ცარიელდება ტაძრები, კვირადღეობითაც კი!

# 19 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] მწ
წმ. იანუარიუსი, ეპ. და წამ., †IVს

# 2016 ორშაბათი

იგავ 3,27-34; ფს 14; ლკ 8,16-18

## მდაბალთ მადლს ანიჭებს იგავ 3,34

იესო მშვიდია და გულით მდაბალი: ამიტომ იგი ყველასათვის სასურველია. მარიამიც უფლის მდაბალი მხევალია, ამიტომაც ყველა თაობა მას ნეტარად შერაცხავს. როდესაც თავმდაბალი ვარ, არამხოლოდ ღმერთი მიღებს თავის კარს, არამედ სხვებიც მიახლოვდებიან. და შენი ყოფნაც სასურველი ხდება ჩემთვის, როდესაც შენი ხმაც და შენი ქცევაც თავმდაბალია.

# 20 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] მწ

წმმ. ანდრეა კიმ ტაეგონის, პავლე ხონგჰასანგისა და მეგ., წამ. (მ) †1839-1866

# 2016 სამშაბათი

იგავ 21,1-6.10-13; ფს 118; ლკ 8,19-21

## კაცის თვალში სწორია ყველა მისი გზა

იგავ 21,2

ჩვენ, ადამიანები ძნელად თუ ვეჭვობთ ხოლმე საკუთარ თავში. დღეს დილასაც მავანი მეუბნებოდა, რომ უცდომელი იყო და არასოდეს დაუშვია შეცდომა. არ უნდა ვენდოთ საკუთარ თვალსაც კი, ვინაიდან ,,ის, ვინც გულის სიღრმეს იკვლევს, ღმერთია'', კვლავ და კვლავ გვიმეორებს ჩვენ ღმერთის სიტყვა.

# 21 სექტემბერი

წმ. მათე, მოც. და მახარ., დ, [ს], წ

## 2016 ოთხშაბათი

ეფ 4,1-7.11-13; ფს 18; მთ 9,9-13

## მართალთა სახმობლად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა მთ 9,13

სწორედ წმიდა მათე გვაწვდის ჩვენ იესოს მანუგეშებელ სიტყვას. იგი იყო ერთი მებაჟეთაგანი, სახალხოდ მცოდავი, რის გამოც ყველასაგან ათვალწუნებული ჰყავდა. იესო მოსულა მათთვის, იგია მკურნალიც და წამალიც. მაშ, გულს ნურასოდეს გაიტეხ, არამედ მუდამ მას შეაფარე თავი. და უარს ნუ იტყვი მოქცევაზე, რაკი ამითაა რომ ხარობს იგი!

# 22 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] მწ

## 2016 ხუთშაბათი

ეკლ 1,2-11; ფს 89; ლკ 9,7-9

**ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა** ეკლ 1,2

რა მშვენიერი სიტყვაა! ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმართლეა, არადა რამოდენიმე საათიც არ გავა, რომ კვლავ რაიმე ამაოების, რაიმე არარაობის გამო გან-ვრისხდებით! დღეს სახარება ჰეროდეზე გველაპარაკება: რაში გამოადგა მას მისი სიმდიდრე, სახელი, პატივი?

# 23 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] თ

წმ. პიო პიეტრელჩინელი †1968 (მ)

# 2016 პარასკევი

ეკლ 3,1-11; ფს 143; ლკ 9,18-22

## თქვენ თვითონ ვინღა გგონივართ მე? ლკ 9,20

ყოველთვის, როცა ამ კითხვას ვისმენთ, ხმა ჩაგვივარდება ხოლმე, როგორც მოციქულებს. იესო იმედოვნებს, რომ მე ყველა სხვისაგან განსხვავებული პასუხი მექნება ამ კითხვაზე. იქნებ, სხვის ხმას ავყვები და ღვთისათვის ყურის დაგდების ნაცვლად, ადამიანურ მოსაზრებათა გავლენაში მოვექცევი? მაშინ, მხოლოდ პეტრე გასცემს პასუხს, თავისი მართალი სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობის გაგების გარეშე.

# 24 სექტემბერი

რიგითი XXV კვირა [I] მწ

## 2016 შაბათი

ეკლ 11,9 - 12,8; ფს 89; ლკ 9,43-45

## გახსოვდეს შენი გამჩენი შენს სიჭაბუკეში

ეკლ 12,1

ეკლესიასტე კარგი თვალით უყურებს ახალგაზრდათა მხიარულებას და მოუწოდებს მათ გულიდან დარდი და ძვლებიდან ტკივილი განდევნონ. მაგრამ შეახსენებს ახალგაზრდებსაც, არ მიატოვონ ღმერთის წმიდა მოშიშება. თუკი მის გულში არ იქნება ეგრეთ წოდებული „შიში ღმრთისა“, როგორ შეძლებ მის ნდობას? მაკვირვებს ხოლმე ის ყმაწვილი კაცი თუ ქალი, რომელიც თავის ცხოვრებას გეგმავს იმასთან ერთად, ვინც ღვთის შიშით არ დაიარება! თუნდაც... საცდელად!

# 25 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირადღე, «გ», [II], მწ

## 2016 კვირა

ამ 6,1.4-7; ფს 145; 1ტიმ 6,11-16; ლკ 16,19-31

## გაიხსენე, რომ შენსავე სიცოცხლეში მიიღე შენი სიკეთე, ლაზარემ კი ბოროტი ლკ 16,25

იესო აბრაამს ათქმევინებს ამ სიტყვებს. თუკი შენი ცხოვრებით ტკბები ახლა, უპოვართადმი ოდნავი გულმოწყალების გარეშე, ნუ მოელი სამოთხეს. ღმერთთან ადგილს ვერ იპოვის ის, ვინც ჯიბეებში ხელებჩაყოფილმა თვალი აარიდა ღარიბ-ღატაკს. ყველასათვის გასაგებია, რომ იმის გვერით, ვინც თავისი ჯვარი ატარა, ვერ გაჩერდება ის, ვინც ყოველთვის შორიდან უვლიდა ამ ჯვარს.

# 26 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II] მწ

წმ. დიდმოწამე ქეთევანი, (†1624წ.)
წმმ. კოზმა და დამიანე, წამ. †IVს; ნ. ლუიჯი ტეცა, კამილიელ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

2016 ორშაბათი

იობ 1,6-22; ფს 16; ლკ 9,46-50

## ვინც თქვენს წინააღმდეგ არაა, თქვენს მხარესაა ლკ 9,50

იესოს აზრით ეს უკვე საკმარისი მიზეზია იმისათვის,
რომ კარგი თვალით ვუყუროთ მათ, ვისაც უყვარს იგი,
მაშინაც კი, როცა ისინი ეკლესიას არ დაახლოებიან.
ჩვენ არავის უნდა გავუტეხოთ გული მის სიყვარულში,
მაშინაც კი, როცა ეს არასრულყოფილი სახით ხდება.
ნაყოფის გამოღებამდე ყოველ ხეს ზრდა სჭირდება!

# 27 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II] მწ

წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუც.,†1660 (მ)

## 2016 სამშაბათი

იობ 3,1-3.11-17.20-23; ფს 87; ლკ 9,51-56

## რისთვის ეძლევა სინათლე ტანჯულს? იობ 3,20

იობი თავის გულის დარდს ღვრის ღმერთის წინაშე. ღმერთს როდი გმობს იგი, არამედ ტანჯულის სათქმელს აჟღერებს და ეძებს საკუთარი ტანჯვის საზრისს. რამდენჯერ გვსმენია ეს კითხვა და რამდენჯერ ვერ გვიპოვია მასზე პასუხს! არადა პასუხი არსებობს: იერუსალემის გზაზე მდგარი იესო. დღეს ვხედავთ, როგორ მტკიცედ დაადგა იმ გზას, რომელიც თავისი სიცოცხლის შეწირვის ადგილას მიიყვანს მას, და ამგვარად მისი ჯვრით იგი უპასუხებს ჩვენს შეკითხვასაც.

# 28 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II] მწ

წმ. ვიჩესლავი, წამ. †935; წმმ. ლავრენტი რუის და მეგ.,
წამ. †1633-35; (15.IX) წმ. იოსებ ალავერდელი

## 2016 ოთხშაბათი

იობ 9,1-12.14-16; ფს 87; ლკ 9,57-62

## როგორ უნდა ემართლებოდეს ადამიანი ღმერთს? იობ 9,2

კვლავ იობი სვამს ამ კითხვას, რომელმაც ხმა უნდა გააკმედინოს მათ, ვინც ღმერთის კრიტიკას ბედავენ ანდა ჩივიან მასზე. თუმცა ღმერთი არ გვაძლევს ახსნ-განმარტებას მომხდარის მიზეზებზე, თუმცა არ გვიმარტავს თუ რატომ გვიბრძანებს, ამის გამო როდი ვართ მასზე ბრძენნი. და არც მასზე ძლიერი სიყვარული შეგვიძლია. ,,ვინმეს მასთან კამათი რომ მოსდომებოდა, ათასში ერთსაც ვერ უპასუხებდა"!

# 29 სექტემბერი

წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ
მთავარანგელოსნი, დ, [ს], თ

# 2016 ხუთშაბათი

დან 7,9-10.13-14 ან, გამოცხ 12,7-12; ფს 137; იო 1,47-51

## იხილავთ ღმრთის ანგელოზებს, აღმავალთ და გადმომავალთ კაცის ძეზე იო 1,51

დასაწყისიდან ბოლომდე ბიბლია მოგვითხრობს ანგელოზებზე, რომლებიც ჩვენ გვემსახურებიან და გვიცხადებენ ღმერთის სახიერებას და მეგზურობას გვიწევენ მისი კეთილი ნების აღსრულებაში. მათი მსახურება სრულყოფილი ხდება როდესაც მოდის იესო, ცოცხალი ღმრთის ძე. იგია მამის სიყვარული ადამიანებისადმი: მისკენ უნდა მიმართონ მათ ჩვენი მზერა და გული. მასზე ადიან და გარდმოდიან!

# 30 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირა [II] თ
წმ. იერონიმე, ხუც. და მოძ., †420 (მ)

## 2016 პარასკევი

იობ 38,1.12-21; 40,3-5; ფს 138; ლკ 10,13-16

**თქვენი მსმენელი მე მისმენს** ლკ 10,16

იესო თავისი თავმდაბლობის გამო, როდი გვიმალავს სიმართლეს. იგი თავადაა მამის სიტყვა და მან გადმოღვარა თავისი სული მოციქულებზე, რათა მათ განეგრძოთ მისი მოძღვრება. იგი ენდობა წმიდა სულს, და ამიტომ ენდობა თავის მოციქულებსაც. მეც ვენდობი მათი მისიის გამგრძელებლებს.

# 1 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II] თ

წმ. თერეზა ყრმა იესოსი, ქღწ. და მოძ., †1897 (მ)

# 2016 შაბათი

იობ 42,1-3.5-6.12-17; ფს 118; ლკ 10,17-24

მისიონერთა თვე

## ვიცი, რომ ყოვლისშემძლე ხარ და არცერ-თი განზრახვა შენი არ დაბრკოლდება იობ 42,2

მეც, იობთან ერთად, ვაღიარებ რომ შენი სიყვარული უძლეველია. შენ, მამაო, ყოველივე ძალგიძს, შეგიძ-ლია ყველას სიყვარული, შეგიძლია მიუტევო ნების-მიერს, ვინც სინანულით მოდის შენთან, შეგიძლია მეც მომანიჭო იმისი კეთების უნარი, რასაც თავად აკეთებ! მართლაც, შენ მიეცი იესოს მოციქულებს სიხარული ბოროტებისა და სიძულვილის, ბიწიერებისა და შუ-რის სულთა განდენისა, გინდ საკუთარი თავიდან, გინდ სხვებიდან. შენ, ჭეშმარიტად, ყოველივე ძალგიძს!

# 2 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირადღე, «გ», [III], მწ

## 2016 კვირა

აბდ 1,2-3; 2,2-4; ფს 94; 2ტიმ 1,6-8.13-14; ლკ 17,5-10

## უვარგისი მონები ვართ, ვინაიდან ვქენით ის, რაც უნდა გვექნა ლკ 17,10

რა მშვენიერი რამაა თავმდაბლობა! ვინც სიყვარულით მსახურობს, არ ყოყოჩობს. ვინც სიყვარულით მსახურობს კმაყოფილია მსახურებით, კმაყოფილია სხვის განკარგულებაში ყოფნით, კმაყოფილია იმისი სიხარულით, ვისაც ემსახურება.

კმაყოფილი ვარ, რომ გემსახურები, იესო!

# 3 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

# 2016 ორშაბათი

გალ 1,6-12; ფს 110; ლკ 10,25-37

## ადამიანთა თანხმობას ვეძებ, თუ ღმრთისას? გალ 1,10

სახარების მაუწყებელს ვერ ექნება იმისი მოლოდინი, რომ წუთისოფელში მას გაუგებენ და მხარს მისცემენ. როცა მეკითხებიან ხოლმე, თუ როგორ ხვდებიან ჩვენს საძმოს მეზობელ ქვეყნებში, ვპასუხობ ხოლმე: „ჩვენ ცოდვილნი ვართ, მაგრამ ვეკუთვნით იესოს. როგორ დახვდნენ იესოს, რომელიც არ ყოფილა ცოდვილი?“.

# 4 ოქტომბერი

წმ. ფრანცისკე ასიზელი, †1226 (მ)

## 2016 სამშაბათი

გალ 6,14-18; ფს 15; მთ 11,25-30

## დაიდგით ქედზე ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან მთ 11,29

აი ერთი იმათთაგანი, ვინც იესოს უღელი დაიდგა ქედზე: ფრანცისკე ასიზელი, უფლის გვერდში რომ იარა, და მისგან ისწავლა, არც სიმდიდრეებზე და, მით უმეტეს, არც მდიდრებზე არ დაემყარებინა თავისი იმედი. მან უფალს გაუგონა, აიტანა აბუჩად აგდებაცა და დაცინვაც, შეიყვარა, მიუტევა და აუწყა სახარება! ახლა ზეციდან ფხიზლობს ქვეყანაზე და გამოითხოვს ღმერთისაგან იესოს ახალ მიმბაძველებს!

# 5 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

# 2016 ოთხშაბათი

გალ 2,1-2.7-14; ფს 116; ლკ 11,1-4

## უფალო, გვასწავლე ლოცვა ლკ 11,1

თავად იესომ როდი გადადგა პირველი ნაბიჯი მოწაფეებისათვის ლოცვის სასწავლებლად. დააცადა, ვიდრე თავად არ ითხოვდნენ. მათ კი ამ თხოვნით მიმართეს მას, ვინაიდან გაკვირვებულნი იყვნენ მისი ლოცვის შემხედვარენი, როგორ აგრძელებდა იგი ლოცვას, მარტივი და ნდობით სავსე სიტყვებით რომ მიმართავდა მამას.
მადლობა, იესო, რომ გვასწავლე მამის სახის ჭვრეტა!

# 6 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

წმ. ბრუნო, ბერი †1101

# 2016 ხუთშაბათი

გალ 3,1-5; საგ.: ლკ 1,69-75; ლკ 11,5-13

## ყველა მთხოვნელს მიეცემა და მძებნელი ჰპოვებს ლკ 11,10

შენ თავად გვითხარი ეს, იესო! ამიტომაც სრული ნდობით ვითხოვ: ვეტყვი მამას, რომ შენი სიტყვა არ გაცრუვდეს. ვეტყვი იმასაც, რომ რასაც ვითხოვ, ვითხოვ შენდამი მორჩილებით: ვერ შეძლებს, არ მიპასუხოს და არ აღმავსოს თავისი და შენი სულით!

# 7 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III]

სავარდის ნეტარი ქალწული მარიამი, (მ), თ

# 2016 პარასკევი

გალ 3,7-14; ფს 110; ლკ 11,15-26
(ან, საქმე 1,12-14; გალობა: ლკ 1,46-55; ლკ 1,26-38)

ახალციხის საკრებულოს დღესასწაული

მომლოცველობა რაბათში მღვდლებისა და ბერმონაზონთათვის

## გამუდმებით ლოცულობდნენ ერთსულოვნად საქმ 1,14

ყოველთვის, როცა ვლოცულობ მარტო, ან სხვებთან ერთად, მოციქულებსა და მათ შორის მყოფ მარიამს ვუერთდებით ლოცვაში. თუკი ქრისტიანთა საკრებულო არ ლოცულობს, როგორღა ერქმევა მას ქრისტიანული? თუკი მრავალ ადგილებში ეკლესია უკან იხევს, ხედავს, როგორ ცარიელდება მისი ლიტურგიული კრებული, ეს იმიტომ, რომ არ ეთმობა დრო გამძლე ლოცვას. ეკლესიაში თანხმობაც ლოცვას ეფუძნება!

# 8 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

(25.IX) წმ. არსენ დიდი კათალიკოსი

# 2016 შაბათი

გალ 3,22-29; ფს 104; ლკ 11,27-28

## ნეტარ არიან, რომელნიც ისმენენ ღმრთის სიტყვას და იცავენ მას ლკ 11,28

რატომ არიან ნეტარნი? მოსმენით ისინი ღებულობენ ღვთის სიბრძნეს, და ამ სიტყვის დაცვით ცხოვრობენ ღვთიური სიცოცხლით. სიტყვა გვეუწყა, რათა და-ვიცვათ ის და ხორცი შევასხათ: დიადი ნიჭია ეს! ნუ დაუშვებ, რომ შენმა შვილებმა, შენმა და-ძმებმა, შენმა მეგობრებმა იცხოვრონ ღვთის სიტყვის ნიჭის გარეშე!

# 9 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირადღე, «გ», [IV], მწ

2016 კვირა

4მეფ 5,14-17; ფს 97; 2ტიმ 2,8-13; ლკ 17,11-19

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის მოხსენიება († 1892)

## იესოს ფერხთით დაემხო და მადლი შესწირა ლკ 17,16

სამარიელი იყო ის კაცი, იესოს რომ გაუგონა და განიწმიდა კეთრისაგან. დაბრუნდა მასთან მადლობის სათქმელად. მარტო დაბრუნდა: დაანება თავისი უბედობის, ხოლო შემდეგ, განკურნების მეგზურთ ის ექნათ, რაც უნდოდათ, თვითონ კი დაბრუნდა. იესოსთან სათხოვნელად მისვლა იოლია, ყველა გამოგყვება. მისთვის მადლობის თქმა კი შენ უნდა გადაწყვიტო, მაშინაც, როცა მარტო მოგიწევს ამის გაკეთება.

# 10 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

# 2016 ორშაბათი

გალ 4,22-24.26-27.31 - 5,1; ფს 112; ლკ 11,29-32

## თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ გალ 5,1

თავისუფლებაა ის, რასაც ყველა ეძებს. სად და როგორ? მრავალი თავისუფლება მონობად იქცევა ხოლმე, ვინმეს, ან რამის მონობად: ადამიანთაგან თუ ნივთიერებათაგან დამოკიდებულება. ნამდვილი თავისუფლება იესოს ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნისა და მისდამი მორჩილების ნაყოფია. იცხოვრე მასთან და გათავისუფლდები შიშებისაგან, სიცრუისაგან, სიყალბისაგან. მასთან ერთად შეიძენ შეყვარების უნარს, ძალდატანების გარეშე.

# 11 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

## 2016 სამშაბათი

გალ 5,1-6; ფს 118; ლკ 11,37-41

### ერთმა ფარისეველმა სთხოვა, მასთან ეჭამა პური ლკ 11,37

კიდევ კარგიო, იტყვის მავანი. მაგრამ, ეს რანაირი მიპატიჟებაა? იესოს როდი იწვევენ როგორც უფალსა და მოძღვარს, არამედ სწორედაც რომ მასპინძელი განიკითხავს მას და კიცხავს, რაკი ხელები არ განიბანა. ალბათ, განგებ მოიქცა იესო ასე, რათა საშუალება მისცემოდა ესწავლებინა, რომ გულია ის, რაც მუდამ სუფთა უნდა იყოს, ბოროტებისა და სიხარბის ყოველი ფორმისაგან განწმენდილი!

# 12 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

## 2016 ოთხშაბათი

გალ 5,18-25; ფს 1; ლკ 11,42-46

**თუ სულით იარებით,
რჯულის ქვეშ აღარა ხართ** გალ 5,18

ვინც წმიდა სულის შთაგონებებს მიჰყვება, მუდამ სიყვარულისკენაა მიმართული. სიყვარული აღემატება ყოველ რჯულსა და კანონს. აღარავითარი კანონი აღარაა იძულება, რაკი ის, ვისაც უყვარს, აკეთებს მეტს და უკეთ, ვიდრე შეიძლება ბრძანებით გამოხატო!

# 13 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

# 2016 ხუთშაბათი

ეფ 1,1-10; ფს 97; ლკ 11,47-54

## ქვეყნიერების შექმნამდე ამოგვირჩია მასში ეფ 1,4

ის, რასაც ღმერთი ირჩევს ჩვენზე როდია დამოკიდებული. მისი სიყვარული წინ გვისწრებს, მეტიც, ისაა ძალა, რომელიც გვაცოცხლებს. ჩვენი სახელი მუდამ თვალწინ უდგას, იმდენადაც კი, რომ სამყარო მოგვწვდა ჩვენ როგორც მისი სიყვარულის საჩუქარი.

# 14 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

წმ. კალიქსტე I, პაპი და წამ. †222;
(1.X) დღესასწაული კვართისა; წმმ. მირიან და ნანა;
წმ. მელქისედეკ I, კათ.

# 2016 პარასკევი

ეფ 1,11-14; ფს 32; ლკ 12,1-7

## ნუ შიშობთ, ვინაიდან ყველა ბეღურაზე უმჯობესნი ხართ ლკ 12,7

დრო და დრო ისეთი ამბების, შეხედულებებისა და იდეოლოგიების შესახებ გავიგებთ ხოლმე, რომლებიც სრულებით ეწინააღმდეგება ჩვენს რწმენას, და შესაბამისად, ჩვენს ცხოვრებას. შიშს უნდა მივეცეთ? არამც და არა: მამა დაგვყურებს, რადგან მისთვის ჩვენი ფასი ვერასოდეს შეედრება ბეღურების ფასს, არადა ის ხომ ბეღურებზეც ზრუნავს: მის თვალში შვილების წონა გვაქვს ყველას.

# 15 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV] თ

წმ. თერეზა ავილელი, ქალწ., მოძ. †1582 (მ)
(2.X) წმმ. დავითი და კონსტანტინე

# 2016 შაბათი

ეფ 1,15-23; ფს 8; ლკ 12,8-12

## ვინც იტყვის გმობას სულის წმიდის წინააღმდეგ, არ მიეტევება ლკ 12,10

ნუ გეშინია, შენზე არაა ეს ნათქვამი. წმიდა სულის გმობა ნიშნავს უარყო, რომ იესოა ერთადერთი მაცხოვარი და მისი საქმე ბოროტს მიაწერო. ვინც უარს ამბობს მისმიერ ხსნაზე, სხვა ვიღასთან იპოვის შველას? მაგრამ ის ვინც მას უბრუნდება და გამოართმევს მას მის სიყვარულს, უკვე ხსნილია!

# 16 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირადღე, «გ», [I], მწ

## 2016 კვირა

გამ 17,8-13; ფს 120; 2ტიმ 3,14 - 4,2; ლკ 18,1-8

მისიების მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის

**ძე კაცისა, როდესაც მოვა, ჰპოვებს კი რწმენას ამ ქვეყნად?** ლკ 18,8

რაღა თქმა უნდა, ძეს კაცისას დახვდება რწმენა ჩემიც და შენიც. დახვდება კიდევ უფრო მშვენიერი რწმენა მარტვილთა და იმ მშობელთა, დიდი წვალებით რომ უწევთ თავიანთი რწმენის დამოწმება შვილებისათვის. კვლავაც ვილოცებ მოუღლელად, რომ ჩემი რწმენა სულ უფრო მეტად გალამაზდეს თავისი ნაყოფით.

# 17 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

წმ. ეგნატე ანტიოქიელი, ეპ. და წამ. ~†107 (მ)

# 2016 ორშაბათი

ეფ 2,1-10; ფს 99; ლკ 12,13-21

## მადლით ხართ გამოხსნილნი ეფ 2,5

არაერთხელ იმეორებს წმიდა პავლე ამ მოძღვრებას. ჩვენ დახსნილნი ვართ არა ჩვენი დამსახურებით, და არც იმიტომ, რომ გავისარჯეთ და დავითმინეთ მრავალი ტანჯვა, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ იესო მოკვდა ჩვენთვის. ჩვენ ჩვენს გარჯას და ძალისხმევას გავცემთ მხოლოდ ჩვენს მადლობად და იმ სიყვარულის მოწმობად, ძირის ძირამდე რომ შეგვიყვარა!

# 18 ოქტომბერი

წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ
(5.X) წმ. ღირსი გრიგოლ ხანძთელი; კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი

# 2016 სამშაბათი

2ტიმ 4,10-17; ფს 144; ლკ 10,1-9

## გგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის ლკ 10,3

იესო, შენ გსურს, რომ შენი მოწაფენი შენ გგავდნენ: შენა ხარ კრავი, მშვიდი და დამყოლი, და როგორც კრავი, დაკლული იქენ; არც სირცხვილი ყოფილა ეს შენთვის და არც პატივის აყრა. არც რაიმე ამაზე უკეთესი გსურს შენიანებისთვის: წუთისოფელში იქნებიან ღვთის სიყვარულის მოწმეები, ძალადობისა და იძულების გარემოში. და თუ ეს ძალადობა მათ დატანჯავს და იმსხვერპლებს, მაშინ იქნებიან ისინი შენი ნამდვილი მოწაფენი!

# 19 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

წმმ. იოანე დე ბრებეფი და ისააკ ჟოგი, ხუც. და მეგ., წამ., †XVII ს.; წმ. პავლე ჯვრისა, ხუც., †1775

## 2016 ოთხშაბათი

ეფ 3,2-12; ქს 12,2-6; ლკ 12,39-48

## წარმართნიც, სახარების მეოხებით, თანასხეულნი არიან ეფ 3,6

წარმართნი, სხვა ხალხები... იესო არავის უარყოფს: ყველას შეუძლია გარდაიქმნას მისი წმიდა სულით, და მაშასადამე, ყველას შეუძლია შევიდეს მასთან ერთად მამის გულში. და ჩვენც არ შეგვრცხვება, ხელი გავუწოდოთ ნებისმიერს, ვინც გულში იესოსთან ცხოვრობს!

# 20 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

## 2016 ხუთშაბათი

ეფ 3,14-21; ფს 32; ლკ 12,49-53

## მამამ მოგცეთ თქვენ ძალა, მტკიცედ დამკვიდრდეთ შინაგან კაცში ეფ 3,16

შინაგანი კაცი! ვინაა? ვინაა ჩემში ის, ვისაც ვერავინ ხედავს? ჩემში იმყოფება იესო და მასთან ერთადაა რომ ვცხოვრობ, იგია რომ მიმიძღვის, მისგან ვღებულობ ძალას გადაწყვეტილების მისაღებად და შესაყვარებლად. უძლურებას, ყოყმანს გრძნობ? უნებისყოფო ხარ? გააძლიერე შინაგანი კაცი! შინაგანი კაცი ძლიერდება როცა იესოსთან ერთობაში ვარჯიშობ.

# 21 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

## 2016 პარასკევი

ეფ 4,1-6; ფს 23; ლკ 12,54-59

### ეცადეთ მშვიდობის საკვრელით შეინარჩუნოთ სულის ერთობა ეფ 4,3

ადამიანი, თითქოს, დღესასწაულისთვისაა შექმნილი. დღესასწაულზე ადამიანი კმაყოფილია, გრძნობს რომ მისი ცხოვრება შემდგარია. ზეიმი დგას იქ, სადაც გულია მრთელი, სადაც არაა დაყოფა და დაპირისპირება. არა ღირს მუდამ ჩვენი სიმართლე გავიტანოთ, თუკი ამით ზეიმს არა ვქმნით. ზეიმი მხოლოდ ერთობის, უფალზე დამყარებული ერთობის პირობებშია შესაძლებელი.

# 22 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

# 2016 შაბათი

ეფ 4,7-16; ფს 121; ლკ 13,1-9

## მის მიერ მთელი სხეული... იზრდება, რათა აღეშენოს სიყვარულში ეფ 4,16

იესო, შენა ხარ ყოველი სიკეთისა და მშვენიერების წყარო! შენი სხეული, ეკლესია ღებულობს ძალას, უნარს და ბიძგს სიმწიფისათვის, ერთობისათვის, წუთისოფლად მამის სიყვარულის მისატანად. დალოცე დღეს შენი ეკლესია, დამლოცე მეც, რათა მასში ვიყო ნაყოფის, სიწმიდის ნაყოფის მომტანი წევრი!

# 23 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირადღე, «გ», [II], მწ

2016 კვირა

ზირ 35, 12-14.16-18(15-17.20-22); ფს 33; 2ტიმ 4,6-8.16-18; ლკ 18,9-14

## ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი ლკ 18,13

მართლა ცოდვილი ვარ. მერე რა, რომ არავინ მომიკლავს! ხომ არავინ მყვარებია იმგვარად, როგორც შენ გიყვარს... შემომიშვია ჩემში მრისხანება, რაც კერპთმსახურების ნიშანია; მავანისთვის ზევიდან გადმომიხედავს ამპარტავნულად, სხვისთვის კი ქვევიდან შემიხედავს მონური მორჩილებით, ანუ, შენს შვილებად არ აღმიქვამს ისინი, პატივისცემას რომ იმსახურებენ, ამავდროულად ცოდვილნი. შემიწყალე მე დღესაც!

# 24 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ. †1870;
ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების პატარა ქალიშვილთა კონგრეგაციის დამაარსებელი, თ

2016 ორშაბათი

ეფ 4,32 - 5,8; ფს 1; ლკ 13,10-17

## მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა ეფ 5,1

როგორ შემიძლია ღმერთის მიბაძვა? რაში უნდა მივებაძო? განა მე, ცოდვილს, შემიძლია რაიმე ისეთი მოვიმოქმედო, რასაც ღმერთი აკეთებს? თუკი ღმერთი წარმომიდგენია ძლიერი, რამის დაწყებასაც არა აქვს აზრი. არადა, თუკი ვიფიქრებ იმ ღმერთზე, რომელიც იესომ გამოგვიცხადა, ღმერთი-მამა, ღმერთი-სიყვარული, მაშინ, დიახაც რომ შემიძლია მივბაძო. შევეცდები გავუღიმო პირველივე შემხვედრ უცნობს, კეთილმოსურნეობით შევხედო პირველივე შემხვედრ სევდიან სახეს... ვიქნები ღმერთის მიმბაძველი!

# 25 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

# 2016 სამშაბათი

ეფ 5,21-33; ფს 127; ლკ 13,18-21

## ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია ეფ 5,25

ქმრებს ღვთიური დავალება აკისრიათ. უნდა შეიყვარონ თავიანთი ცოლები იმ სიყვარულით, რომლითაც იესო მიეძღვნა ეკლესიას. უნდა შეიყვარონ სიხარულით, იმის შეგნებით, რომ ამით იესოს მიაგებენ პატივს. უნდა შეიყვარონ იგი თავდავიწყებით, სიფაქიზითა და სიმშვიდით, რომლებიცაა მათივე ლოცვების ნაყოფი.

# 26 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

# 2016 ოთხშაბათი

ეფ 6,1-9; ფს 144; ლკ 13,22-30

მ. გაბრიელ ასლანაშვილის მოხსენიება (†1930)

## დაემორჩილეთ... გულის სიწრფელით ეფ 6,5

მორჩილება ქრისტიანული ცხოვრების ნაწილია, რაკი იესო მუდამ მორჩილი წარმოგვიდგება. იგი მორჩილებს მამას, და ამას ასრულებს თავისი მშობლებისადმი მორჩილებით, შემხვედრი ადამიანისადმი მორჩილებით, ტანჯული ადამიანების საჭიროებებისადმი მორჩილებით. ჩვენც ღმერთისადმი და მოყვასისადმი სიყვარულს თავმდაბლად შევასხამთ ხორცს, და აღმოვჩნდებით მორჩილნი. მორჩილება როდია სამარცხვინო, რაკი მას ნამდვილი სიყვარულისაგან ერთი ნაბიჯი აშორებს.

# 27 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

# 2016 ხუთშაბათი

ეფ 6,10-20; ფს 143; ლკ 13,31-35

## აიღეთ... სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა ეფ 6,17

წმიდა პავლე ქრისტიანულ ცხოვრებას ადარებს ბრძოლას: მორწმუნეს მართებს აბჯრის ასხმა. სხვადასხვა იარაღი არსებობს დასაცავად, მაგრამ საჭიროა აგრეთვე მახვილიც, იარაღი, მტერს რომ შეაშინებს, უკან დაახევინებს და დაიფრენს. ეს იარაღი ღმერთის სიტყვაა. თავად იესომ უდაბნოში სამგზის უჩვენა მაცდურს ეს იარაღი, და ისიც გაიქცა.

# 28 ოქტომბერი

წმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

# 2016 პარასკევი

ეფ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის საკრებულოს დღესასწაული

## ძალი გამოდიოდა მისგან და კურნავდა ყველას ლკ 6,19

მრავალი სნეული, ვიდრე ექიმს ან საავადმყოფოს მიაკითხავდა, მიმართავს იესოს. და როდესაც ექიმი უძლური აღმოჩნდება ხოლმე, იესოსადმი იმედი ძლიერდება, იქცევა უწყვეტ, სერიოზულ ვედრებად, თვით ცხოვრების შეცვლის გადაწყვეტილებად. იესოსგან ოდენ განკურნება შეიძლება მივიღოთ და ისიც არამხოლოდ ხორციელი!

# 29 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

## 2016 შაბათი

ფილიპ 1,18-26; ფს 41; ლკ 14,1.7-11

## ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა, სიკვდილი კი — მონაგები ფილიპ 1,21

სიცოცხლე და სიკვდილი. დაწყვილებული სიტყვები. როდისაა რომ ვცოცხლობ ნამდვილად? როდესაც იესოა ჩემში და ჩემთან. მე ვხარობ სიცოცხლით, როცა მასთან ვარ ერთობაში. და მაშინ, წმიდა პავლეს მსგავსად, მწადია ვიყო მასთან ერთობაში რაიმე ხელისშემშლელი გარემოების გარეშე. ეს შესაძლებელი იქნება სიკვდილის შემდეგ. ამიტომაა რომ ამბობს მოციქული, სიკვდილი მონაგებიაო, რადგან სიკვდილი ჩვენს წინ გაღებული კარია, რათა მასში შევხვდეთ იესოს სიყვარულს მთლიანად და სამუდამოდ.

# 30 ოქტომბერი

რიგითი XXXI კვირადღე, «გ», [III], მწ

## 2016 კვირა

სიბრძ 11,22 - 12,2; ფს 144; 2თეს 1,11 - 2,2; ლკ 19,1-10

## ზაქე, ჩქარა ჩამოდი ძირს, ვინაიდან დღეს შენს სახლში უნდა ვიყო ლკ 19,5

იესო თვითონ იპატიჟებს თავს ზაქეს სახლში, ვინაიდან დაინახა მასში შეხვედრის, ნახვის, გაცნობის გულწრფელი და უყოყმანო სურვილი. უფალი ყოველთვის აფასებს და ყოველთვის შეისმენს ამგვარ სურვილებს!

# 31 ოქტომბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

# 2016 ორშაბათი

ფილიპ 2,1-4; ფს 130; ლკ 14,12-14

## ალავსეთ ჩემი სიხარული, რათა იყოთ თანამზრახველნი ფილიპ 2,2

მოციქული თავის ამ სურვილს უცხადებს ქალაქ ფილი-პეს ქრისტიანებს. საკრებულოსათვის ყველაზე რთული რამ ერთობაში ცხოვრებაა. რთულია, რადგან იოლი არაა საკუთარ პოზიციებზე უარის თქმა, ძნელია, ვინაიდან მოითხოვს თავმდაბლობას. არადა, არაა რთული, თუკი ჩვენი მზერა მუდამ იესოსკენა გვაქვს მიპყრობილი: იგი ხომ დამდაბლდა, წამოიცარიელა თავისი თავი, რათა მამის მორჩილი ყოფილიყო ჯვარზე სიკვდილამდე. უმზირე იესოს და შეძლებ, მიბაძო მას ამაშიც.

# I ნოემბერი

ყველაწმიდას დიდდღესასწაული, [ს], თ

# 2016 სამშაბათი

გამოცხ 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

**ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან** მთ 5,9

მშვიდობისმყოფელია ის, ვინც თავს არ იშურებს, რათა
ყველა ადამიანმა შეძლოს მიიღოს იესო, რომელიცაა
ნამდვილი მშვიდობა. ვინც ამგვარად იქცევა,
ნამდვილად ღვთის შვილია, რაკი იზიარებს
მის ცხოვრებას, სიყვარულს.
ყოველნო წმიდანნო უფლისანო, მადლობა თქვენდა,
რადგან მშვიდობის თქვენეული საქმე
თქვენივე შუამდგომლობის მიერ
კვლავაც გრძელდება უფლის დღემდე!

# 2 ნოემბერი

მოხსენიება ყველა მორწმუნე მიცვალებულისა, [ს], ი

# 2016 ოთხშაბათი

წირვა 1: იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40
წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46
წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს41; გამოცხ21,1-5.6-7; მთ5,1-12

## ჩემთან მოსულს არ გავაძევებ იო 6,37

იმ სასოებით, რასაც ეს შენი სიტყვა გვანიჭებს, იესო, დღეს შენს წინ მოგვყავს ჩვენი მიცვალებული ძმანი. მადლობა შენი უსასრულო ძალმოსილებისათვის სიყვარულში, მამამ რომ მოგცა შენ ჯვარზე! შენს ჯვარს მსურს შევუერთო ჩემი ჯვარიც დღეს, ასე ხომ ჩემი ლოცვა უფრო ძვირფასი იქნება შენს თვალში!

# 3 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

საქართველოს ყველა გარდაცვლილ
სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ)
წმ. მარტინ პორესელი, ბერი †1639

# 2016 ხუთშაბათი

ფილიპ 3,3-8; ფს 104; ლკ 15,1-10

## ქრისტე იესოთი ვიქადით ფილიპ 3,3

წმიდა პავლე ნათლად ამბობს, რომ იტრაბახო, ანუ, საკუთარ დამსახურებად მიიჩნიო ის ფაქტი, რომ მუდამ ეკლესიაში დადიხარ, რომ დროგამოშვებით მოწყალებასაც გასცემ და მოხალისედ მსახურობს კიდეც, რომ არასოდეს მოგიკლავს ვინმე... უგუნურობის ნიშანია. ჩვენ, ქრისტიანებმა ვუწყით, რომ იესომ სიცოცხლე გასწირა კაცობრიობისათვის: ჩვენი სიქადული, ანუ ჩვენი იმედი, სასოება მთლიანად და მხოლოდ მის სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს, ხოლო ყოველი ჩვენი კეთილი საქმე მისთვის ნათქვამი მადლობაა.

# 4 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ
წმ. კარლო ბორომეო, ეპ. †1584 (მ)
საქართველოს ყველა გარდაცვლილ სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ)

# 2016 პარასკევი

ფილიპ 3,17 – 4,1; ფს 121; ლკ 16,1–8

## ასე იდექით უფალში, საყვარელნო! ფილიპ 4,1

ძლიერია წუთისოფლის მენტალიტეტსა და მის მსწრაფლწარმავალ მიმზიდველ შემოთავაზებათა აყოლის ცდუნება. წმიდა პავლე გვიწვევს შევხედოთ სახარებისადმი ერთგულების ნიმუშებს; არა მხოლოდ „ოფიციალურ“ წმიდანებს, არამედ მრავალ გაბედულ დღევანდელ მოწმესაც, მაგალითად, იმ მტკიცე ექიმებს, რომლებიც უარს ამბობენ სინდისის წინააღმდეგ წასვლაზე, წყვილებს, რომლებიც სერიოზულად ემზადებიან ოჯახის შექმნისთვის ღვთიური სიბრძნის თანახმად, იმათ, ვინც საზოგადოებაში იცავენ სიცოცხლეს... და მრავალ სხვას.

# 5 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III] მწ

# 2016 შაბათი

ფილიპ 4,10-19; ფს 111; ლკ 16,9-15

## ყველაფერი შემიძლია ჩემს განმამტკიცებელ ქრისტეში ფილიპ 4,13

მოციქული მადლობს ფილიპელ ქრისტიანებს, რომლებმაც მას ხელი გაუმართეს. თუმც კი, აღიარებს, რომ მისი პირველი და ნამდვილი შემწე კვლავაც იესოა. ამიტომაა, რომ მისი გული მუდამ თავისუფალია, თავმდაბალი, გახარებული, მოსავი.

# 6 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირადღე, «გ», [IV], მწ

# 2016 კვირა

2მაკ 7,1-2.9-14; ფს 16; 2თეს 2,16-3,5; ლკ 20,27-38

## უფალმა წარმართოს თქვენი გულები ღვთის სიყვარულისაკენ 2თეს 3,5

კვლავაც მორწმუნე მიცვალებულთათვის ლოცვის გარემოში ვართ. ძველი აღთქმის საკითხავი და სახარება აღდგომაზე გვესაუბრებიან. მათთან სრულ თანხმობაში წმიდა პავლე ლოცულობს ჩვენთვის, რათა ამქვეყნიურ გზაზე ჩვენი ნაბიჯები წარემართოს ,,ღვთის სიყვარულისაკენ‘‘. თუკი ღვთის სიყვარულში ვცხოვრობთ, უკვე აღდგომაში ვართ, უფალთან და ჩვენს ცოცხალ თუ მიცვლაებულ ძმებთან თანაზიარებაში.

# 7 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] მწ

# 2016 ორშაბათი

ტიტ 1,1-9; ფს 23; ლკ 17,1-6

## მადლი და მშვიდობა მამა ღმერთისა და ჩვენი მაცხოვრის—ქრისტე იესოსაგან ტიტ 1,4

ამგვარად მიესალმება წმიდა პავლე ტიტეს, რომელთანაც იგი ძლიერადაა დაკავშირებული უფალში. ჩვენც, იესოს მოწაფეებს, ერთმანეთთან შეხვედრისას შეგვიძლია გავცვალოთ არამხოლოდ ადამიანური გრძნობის გამომხატავი თავის თავად ძვირფასი სალამი, არამედ ჩვენი ზეციერი მამის მრავალ ნიჭთა მატარებელი სალამიც: მშიდობა, სიყვარული, სიხარული, ძალა.

# 8 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV]

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი, თ

# 2016 სამშაბათი

ტიტ 2,1-8.11-14; ფს 36; ლკ 17,7-10
მ. შიო ბათმანიშვილისა და მ. ლაზარ გოზალიშვილის მოხს.

## **მან თავი დასდო ჩვენთვის** ტიტ 2,14

მადლობა, უფალო იესო, შენი სიყვარულისათვის! მსურს სიხარულში ვიარო დღეს: შენ მივსებ გულს და მანიჭებ გამბედაობასა და ძალას ძმათა შესაყვარებლად!

# 9 ნოემბერი

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

## 2016 ოთხშაბათი

ეზეკ 47,1-2.8-9.12 ან, 1კორ 3,9გ-11.16-17; ფს 45; იო 2,13-22

## შენი სახლის შური მჭამს მე იო 2,17

იერუსალემის ტაძარი, ფულის ბრუნვითა და პირუტყვის ვაჭრობით, აღარ იყო მამის გამოცხადებისა და მისი თაყვანისცემის ადგილი. სწორედ მისი სახის გამოსაცხადებლად მოსული იესო ვერ დარჩებოდა გულგრილი, ტკივილის გარეშე შემყურე, უმოქმედო. ყურადღება არ მოვადუნოთ, რათა ჩვენი ტაძრები და საკრებულოები, მათში რომ იკრიბება, მუდამ უფლისა და მისი სიყვარულის შეცნობის შედეგიანი იარაღი იყოს! ეს იქნება მათი ზეიმის ყველაზე ნამდვილი სახეც!

# 10 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] თ

წმ. ლეონ დიდი, პაპი და მოძ. †461 (მ)
(28.X) წმ. მღვ. მოწ. ნეოფიტე ურბნელი

# 2016 ხუთშაბათი

ფილმ 7-20; ფს 145; ლკ 17,20-25

## დიდი სიხარული და ნუგეში მომანიჭა შენმა სიყვარულმა ფილიმ 7

მამას სწადია, რომ ჩვენ ერთმანეთი მისი სიყვარულით გვიყვარდეს. სწორედ იმიტომ, რომ მამის გულიდან მოედინება, ძმათა სიყვარული „უდიდესი სიხარულისა და ნუგეშის მიზეზია“!

# II ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] თ

წმ. მარტინ ტურსელი, ეპ. †397 (მ)
(29.X) წმ. ღირსი სერაპიონ ზარზმელი

# 2016 პარასკევი

2იო I.3-9; ფს 118; ლკ 17,26-37

## **იარებოდეთ სიყვარულში** 2იო I,6

სამისოდ შეგვქმნა ღმერთმა, ამაში ვპოვებთ სიხარულს, სისავსეს, ესაა, რომ ახარებს მამის გულს! თუ რა არის სიყვარული, ყოველდღიურობის კონკრეტულ მდგომარეობებში, ამის დანახვა შეგვიძლია იესოში: მან შეგვიყვარა საკუთარი თავის შეწირვით, გაგვაცნო მამა, მისი ერთგულება, გულმოწყალება, სიწმიდე.

# 12 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV] წ

წმ. იოსაფატი, ეპ. და წამ., †1623 (მ)

## 2016 შაბათი

3იო 5-8; ფს 111; ლკ 18,1-8

### ჩვენ გვმართებს შევიწყნაროთ ამნაირნი, რათა შევეწიოთ ჭეშმარიტებას 3იო 8

იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა შეგვიძლია ჩვენს საკრებულოში ვუმასპინძლოთ მისიონერს, ვესაუბროთ მას მის მდგომარეობაზე, „მისი" ხალხის მდგომარეობაზე და ჩვენი მხრივ ხელი გავუმართოთ მას... სამაგიეროდ შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენს მისიონერებს, ჩვენი სამრევლოს თუ ეპარქიის წამოწყებებში მონაწილეობით: ნამდვილი და საიმედო გზაა სიყვარულის მოქმედებისათვის, რაკი ამგვარად ვმონაწილეობთ ჩვენი ძმებისთვის მარადიული სიცოცხლის მიწოდებაში.

# 13 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირადღე, «გ», [I], მწ

2016 კვირა

მალ 3,19-20(ებრ. 4,1-2); ფს 97; 2თეს 3,7-12; ლკ 21,5-19

## თქვენი თავიდან ერთი ბეწვიც არ დაიკარგება ლკ 21,18

იესომ თქვა: ,,ვინც დაკარგავს საკუთარ სიცოცხლეს ჩემი გულისთვის, პოვებს მას“. როცა იესოს მივუძღვნი ჩემს სიცოცხლეს (მისი სიყვარულისათვის არ ვუპასუხებ შეურაცხყოფას; ჩემს რომელიმე უფლებაზე უარს ვიტყვი გულის სიმშვიდის დაკარგვის გარეშე; მდუმარედ მივუტევებ მას, ვინც ვერც კი შეამჩნია რომ ჩემი ტანჯვის მიზეზი გახდა...), მაშინ თავად იესო უფრო ღრმად შემიშვებს თავის სიცოცხლეში, თავის სიყვარულში და მასში ვპოვებ ყოველივეს, გაასმაგებულს!

# 14 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ

## 2016 ორშაბათი

გამოცხ 1,1-4; 2,1-5; ფს 1; ლკ 18,35-43

## ნეტარია ვინც იმარხავს ამ წინასწარმეტყველებაში დაწერილს გამოცხ 1,3

წმიდა იოანემ უფლისაგან მიიღო დავალება მცირე აზიის საკრებულოთათვის გადაეცა მისი სიტყვა: შეგულიანებისა და შესწორების სიტყვა. მადლიერნი ვართ უფლისა, რომ კვლავაც გვესაუბრება თავის ეკლესიაში, და გვსურს ყოველი ღონე ვიხმაროთ რათა დავიცვათ და განვახორციელოთ მისი სიცოცხლის მომცემი სიტყვები.

ყოვლადწმიდაო მარიამ, სიტყვის მსმენელო
და შემნახველო დედავ, ილოცე ჩვენთვის!

# 15 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ
წმ. ალბერტ დიდი, ეპ. და მოძ. †1280

# 2016 სამშაბათი

გამოცხ 3,1-6.14-22; ფს 14; ლკ 19,1-10

## ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი

გამოცხ 3,19

მაშ, მადლობას ვეტყვი ყველა მათ, ვისაც უფალი მიანდობს ჩემთვის შესწორების დავალებას. მისი სასუფევლის გულისათვის, მისი სიყვარულის მზერით დავძლევ ჩემს თავკერძობას.

# 16 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] თ

სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;
წმ. მარგარიტა შოტლანდიელი †1093; წმ. გერტრუდა, ქალწ. †1302.

## 2016 ოთხშაბათი

გამოცხ 4,1-11; ფს 150; ლკ 19,11-28

სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;
ვარგავის ეკლესიის დღესასწაული

## ყველა მქონეს მიეცემა, ხოლო არმქონეს წაერთმევა ლკ 19,26

მაშ, ყურადღებით ვიქნებით: წყალი დავუსხათ ჩვენს გულებში იესოსადმი სასოებას და სიყვარულს, ყოველ საქმეში, რაც გვაბარია; ამგვარად იგრძნობს, რომ სასურველი სტუმარია და გვთხოვს გავუწიოთ რაიმე სამსახური მისი სასუფევლისთვის. კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენს უფალთან თანაზიარება და სიხარული!

# 17 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] თ
წმ. ელისაბედ უნგრელი, მონ. †1231, (მ)
(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია

# 2016 ხუთშაბათი

გამოცხ 5,1-10; ფს 149; ლკ 19,41-44

## ვინ არის ღირსი იმისა, რომ გადაშალოს ეს წიგნი და ბეჭედი ახსნას გამოცხ 5,2

ვის შეუძლია ახსნას ბეჭდები მამის გულის სიყვარულისა და გულმოწყალების საუნჯეს? ვინ მოგვაწვდენს მის სიფაქიზესა და მისმიერ ხსნას? მხოლოდ შენ, იესო, რომელიც როგორც კრავი დაკლული იქენ! შენმა სისხლმა გააცამტვერა ყველა კედელი, მეტრმა რომ აღმართა ჩვენსა და მამის მკლავებს შორის. მადლობა, იესო!

# I8 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ

წმიდანთა პეტრე და პავლე მოციქულთა
ბაზილიკათა კურთხევა

# 2016 პარასკევი

გამოცხ I0,8-II; ფს II8; ლკ I9,45-48

## კვლავინდებურად გმართებს წინასწარმეტყველება მრავალ ხალხთათვის გამოცხ I0,II

იოანემ, უფლის საყვარელმა მოწაფემ, ყოველი იმ მოწაფის სიმბოლომ, ვინც იცნობს იესოს სიყვარულს, მედგრად აუწყა ღვთის სიტყვა მრავალ გასაჭირში. ჩვენც სიხარულით შევასრულოთ ჩვენი მცირე წილი მსოფლიოს იმ მცირე მონაკვეთზე, სადაც მამამ დაგვსვა: მაგალითითა და სიტყვით ნათლის ერთი სხივი ვართ წყვდიადში, მზადმყოფნი ვიტანჯოთ იესოსთან ერთად!

# 19 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I] მწ

# 2016 შაბათი

გამოცხ 11,4-12; ფს 143; ლკ 20,27-40

## ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა ლკ 20,38

ჩვენმა ღმერთმა ინება, რომ მოსეს მისთვის ეწოდა „ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა, ღმერთი იაკობისა“. სადუკეველებისთვის, იმ არისტოკრატიული ჯგუფისათვის, აღდგომა რომ არა სწამდათ, პასუხის გაცემისას იესო უხსნის მათ, რომ ღმერთი მკვდრების ღმერთი როდია: მის თვალში მამამთავარნი სამუდამოდ ცოცხალნი არიან.

მადლობა, იესო, შენი მტკიცე სიტყვისათვის: მასზე ვაყრდნობ ჩემი ცხოვრების არჩევნებს! მუდამ ვცდილობ შენთან ერთობაში დავრჩე, რომელიცა ხარ მარადისობაში მამის გულში ცოცხალი მე!

20 ნოემბერი

რიგ. ჟამისXXXIV კვირადღე, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სამყაროს მეფისა,«გ», დდ, [I], თ

2016 კვირა

2მეფ 5,1-3; ფს 121; კოლ 1,12-20; ლკ 23,35-43

საიუბილეო წლის დახურვა

## მომიხსენე მე, უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში ლკ 23,42

იესო, დღეს ვზეიმობთ შენს საყოველთაო მეუფებას. და ეკლესია ჩვენს თვალწინ გაყენებს ჯვარზე... სწორედაც რომ ასეა: ჯვარზეა რომ მეფობ, მეფე, რომელსაც სურს და ძალუძს გაუხსნას თავისი სასუფევლის კარი ყველა ღატაკს, ვინც სასოებით შესთხოვს მას: ,,იესო, მომიხსენე მე, როცა მიხვალ შენს სასუფეველში!“ გეთაყვანები და გმადლობ, უფალო იესო!

# 21 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II]

ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ), თ

# 2016 ორშაბათი

გამოცხ 14,1-3.4-5; ფს 23; ლკ 21,1-4

## დაინახა ერთი საწყალი ქვრივიც, რომელმაც ორი ლეპტა ჩადო შიგ ლკ 21,2

მადლობა, იესო, შენი მზერისათვის! ყოველთვის ბოლო მოვდივარ ხოლმე, ჩემი სამუშაოც არასოდეს გამომდის კარგად, ყოველთვის უკანასკნელი ვარ ხოლმე სიაში... და რაც უარესია, ყოველივე ეს მამწუხრებს! არადა ვიცი, რომ გიყვარვარ, რომ ჩემს გულსაც იცნობ: მსურს მასში შევინახო ცოცხლად შენდამი სასოება; დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი დამრჩები!
და გმადლობ, რომ დედა ჩვენის გული პოვე უმშვენიერესი, უმოკრძალებულესი, ყველაზე ღირსი შენთვის დასამკვიდრებლად!

# 22 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II]

წმ. ცეცილია, ქალწ. და წამ., †~250 (მ), წ

# 2016 სამშაბათი

გამოცხ 14,14-19; ფს 95; ლკ 21,5-11

## გაფრთხილდით, არავინ მოგატყუოთ ლკ 21,8

თუკი მთელ ჩვენს ყურადღებას დავუთმობთ იმას, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვიცხოვროთ იესოსთან, ვერავინ მოგვატყუებს ან, დაგვაფრთხობს: იგია ყოველივეზე მაღლა, იგია უფალი! მხოლოდ იმაზე ვიზრუნებთ, რომ ჩვენი მასთან ყოფნა სულ უფრო ნამდვილი და კონკრეტული ხდებოდეს, მის სიტყვაზე დაყრდნობით, როგორც გვაწვდის მას ეკლესია.

# 23 ნოემბერი

(10.XI) წმ. გიორგი წამებული, დღ, [ს], წ

წმ. კლემენტ I, პაპი და წამ. †101; წმ. კოლუმბან, აბ. †615;
(10.XI) წმ. დიდმოწ. კონსტანტი-კახი

2016 ოთხშაბათი

გამოცხ 15,1-4; ფს 97; ლკ 21,12-19

გიორგობა.
უდეში „პირდაპირების“ სამლოცველოს დღესასწაული

## დიადია და საკვირველი შენი საქმენი, უფალო გამოცხ 15,3

ესაა იმ ჩვენი ძმების საგალობელი, ვისაც ამქვეყნად უყვარდა იესო, ახლა კი მის წინაშე არიან: მთელი გულით ადიდებენ მას, რადგან ხედავენ, რომ მათი დახსნა და ნეტარება მისი ნამოქმედარია. ჩვენც, რომელნიც ვიმედოვნებთ, შევუერთდეთ მათ გალობას, ახლავე ვიწყებთ: მთელი წლის მანძილზე რამდენჯერ ვიგემეთ უფლისმიერი ხსნა!

# 24 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

წმმ. ანდრია დუნგლაკი ხუც. და მეგ., ვიეტნამელი წამებულნი, XVI-XVIIIსს. (მ)

2016 ხუთშაბათი

გამოცხ 18,1-2.21-23; 19,1-3.9; ფს 99; ლკ 21,20-28

## ჭეშმარიტი დ სამართლიანია მისი განკითხვა

გამოცხ 19,2

უფლის თვალები ყველაფერს ხედავენ, გულის სიღრმესაც კი სწვდებიან: თუკი რაიმე ცოდვა დარჩა, მის მზერას არ გამოეპარება! მაგრამ უფლის გული ნებისმიერ დედის გულზე მეტად მოყვარულია, მისი მკლავი ნებისმიერ მამაზე უფრო ძლიერია: თუკი ვთხოვ მას მიტევებას, მას ძალუძს ყოველივეს განახლება!

# 25 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

წმ. ეკატერინე ალექსანდრიელი, ქალწ. და წამ., †III-IV სს.

# 2016 პარასკევი

გამოცხ 20,1-4.11 - 21,2; ფს 83; ლკ 21,29-33

## ცა და მიწა გადავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავლენ ლკ 21,33

და ყოველი ჩვენი მორჩილება, ყველაზე მცირეცა და დაფარულიც, რომლითაც დავყევით იესოს სიტყვას, თავის საზღაურს პოვებს ჯერ ამქვეყნად და შემდეგ ზეცაში. მადლობა, იესო, რომ ანიჭებ ჩვენს ცხოვრებას მარადისობის წონას!

# 26 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II] მწ

# 2016 შაბათი

გამოცხ 22,1-7; ფს 94; ლკ 21,34-36

## **იფხიზლეთ მარადჟამს** ლკ 21,36

როდესაც ჩემი გულისყური შენსკენაა მოპყრობილი,
იესო, შენს ჩვენთვის და ჩვენთან ყოფნაზე, შენს ნებაზე,
მაშინაა რომ ვარ მღვიძარე, აქ ვიმყოფები.
მოდი, სულო წმიდაო, გახელილი თვალი მქონდეს
მიპყრობილი იესოსაკენ: ყოველივე მასზე მითხრობდეს
და მისკენ მიმაქცევდეს, რადგან მის გარეშე ყოველივე
ამაოება და სიყალბეა!

# 27 ნოემბერი

ადვენტის I კვირადღე, «ა», [I], ი

# 2016 კვირა

ქს 2,1-5; ფს 121; რომ 13,11-14; მთ 24,37-44

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

## ამიტომ თქვენც მზად იყავით მთ 24,44

კვლავ ჩვენი ნაკისრი ვალდებულებების ერთგულნი ვიქნებით, უფალო იესო, ოღონდ განახლებული გულით: გულით, რომელსაც შენ უყვარხარ, ყოველივეზე და ყველაზე მეტად! გულით, რომელიც ხიზანია ამ ქვეყანაზე და შენ მოგელის... ჩემში მოლოდინის გამოსაღვიძებლად ვიკისრებ რამეს, მცირედს, ოღონდ ხელშესახებს: ადვენტის ამ ჟამს ავდგები ათი წუთით ადრე ჩვეულებრივზე, რათა შენთან დავრჩე მარტო და გიჩურჩულო: მოდი, იესო, ჩემო მხსნელო! მოდი, იესო, იმედო ჩემო; მოდი, იესო, ...

# 28 ნოემბერი

ადვენტის I კვირა [I] ი

# 2016 ორშაბათი

ეს 4,2-6; ფს 121; მთ 8,5-11

## მხოლოდ სიტყვა ბრძანე და განიკურნება ჩემი მსახური მთ 8,8

იესო გააკვირვა ამ წარმართი სამხედროს მდაბალმა რწმენამ: იგი გრძნობდა, რომ იესოს სტუმრობის ღირსი არ იყო და სწამდა, რომ მის სიტყვას ყოველივე შეეძლო. ვისწავლოთ მისგან: ამ ადვენტის ჟამს ველოდოთ, გვწყუროდეს, მოვუხმობდეთ იესოს მოსვლას; მივენდოთ თავმდაბლად მის სიტყვებს; „განკურნებულნი“ აღმოვჩნდებით: შეყვარების, მსახურების, გახარების მეტი უნარით!

# 29 ნოემბერი

ადვენტის I კვირა [I] ი

## 2016 სამშაბათი

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

**სიმართლით განსჯის ღარიბ-ღატაკთ** ეს 11,4

იგი, ვინც მოვა წმიდა სულით იქნება აღვსილი: იგი არავის მოატყუებინებს თავს გარეგნული იერით; დიდნი თუ მცირენი, ძლიერნი თუ გლახანი, მდიდარნი თუ ღატაკნი მის თვალწინ გაბრწყინდებიან მხოლოდ იმ სიყვარულის გამო, რაც მათში იქნება მამისადმი. მაშ, ვეძიოთ ის, რაც ჩვენს მსაჯულს ესათნოება და სასოებით ველოდოთ მას: იმედს როდი გაგვიცრუებს!

# 30 ნოემბერი

წმ. ანდრია, მოციქული, დ, [ს], წ

(17.XI) წმმ. მიქაელ გობრონი და 133 მხედარი

2016 ოთხშაბათი

რომ 10,9-18; ფს 18; მთ 4,18-22

ახალციხის საკრებულოს დღესასწაული

## უფლის სახელის ყველა მხმობელი ცხონდება რომ 10,13

დამწუხრებული ვიყავი, რადგან უსიყვარულოდ მოვექეცი ერთ დას; პატიება ვთხოვე, მაგრამ სევდა არა ტოვებდა ჩემს გულს: დამცირებასა და დიდ ტვირთსა ვგრძნობდი. თვალზე ცრემლით მივმართე იესოს, მხოლოდ მისი სახელის მოხმობით... სულ მალევე მესტუმრა მშვიდობა და სიხარული გულში: კიდევ ერთხელ გამომიხსნა მან!
მადლობა, წმიდაო ანდრია,
რომ მიუძღვენი შენი ცხოვრება იესოს სახარებას,
დედამიწის ყველა ღატაკისათვის მოსულ სიხარულს!

# I დეკემბერი

აღვენტის I კვირა [I] ი

# 2016 ხუთშაბათი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

## მიენდეთ უფალს უკუნისამდე ეს 26,4

ეს სიტყვა უფლის დიდი საჩუქარია: მასზე შეგვიძლია დავაყრდნოთ მთელი ჩვენი ცხოვრება. არ არსებობს ისეთი წყვდიადი, იმხელა ცოდვა, რომ შეგვიშალოს ხელი იესოსთან მისვლაში სასოებით. სიხარულით მოვამზადოთ მასთან ჩვენი ახალი შეხვედრა ამ წმიდა შობაზე!

# 2 დეკემბერი

აღვენტის I კვირა [I] ი

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი

## 2016 პარასკევი

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

### მდაბლებს მოემატებათ სიხარული უფალში ეს 29,19

იესო მესიის მოსვლაზე იქნება რომ მდაბალნი გაიხარებენ უფალში. როდესაც ჩვენი გული მდაბალია, აღიარებს თავის სიმცირესა და ცოდვას, მაშინაა ის ყველაზე შესაფერის მდგომარეობაში იესო მაცხოვრის მისაღებად. და მისი სტუმრობაც ნამდვილი ხდება, ხელშესახები, მშვიდობის, თავისუფლებისა და სიყვარულის საქმეთა ნაყოფით დახუნძლული.

შენ გელით: მოდი, იესო!

# 3 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I] თ

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუც. †1552 (მ)

## 2016 შაბათი

ქს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35 – 10,1.6-8

## წყალობით შეგიწყალებს უფალი... პასუხს გაგცემს ეს 30,19

უფალმა თავისი სიტყვა შეასრულა, უპასუხა თავისი ერის მოლოდინს: მოავლინა იესო, ჩვენი მაცხოვარი. რაღატომაა რომ კვლავ ველით მას ამ ადვენტში? რადგან იესოს სურს და ძალუძს, მეტი ადგილი დაიკავოს ჩვენს ცხოვრებაში; სურს კიდევ უფრო გაამშვენიეროს ის, მიანიჭოს მეტი უნარი სიყვარულის მიღებისა და გაცემისათვის. მოდი, უფალო იესო!

# 4 დეკემბერი

ადვენტის II კვირადღე, «ა», [II], ი

2016 კვირა

ეს 11,1-10; ფს 71; რომ 15,4-9; მთ 3,1-12

## მე წყლით გნათლავთ; ხოლო ჩემს შემდეგ მომავალი მოგნათლავთ სულით წმიდითა და ცეცხლით მთ 3,11

მხოლოდ იესოს ძალუძს შთაგვფლას წმიდა სულში და გვაქციოს ახალ ქმნილებად, ქმედითი სიყვარულით რომ ჰგვანან მამას. იოანეს მისიაც, უფლის მოსვლისათვის გზის გამზადების დავალება, მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი იყო. გვსურს ჩვენც დავყვეთ მას და გავემზადოთ იმ სიტყვის სმენით, რომელსაც გვაუწყებენ ჩვენი წინამძღვრები და ჩვენი ცოდვების აღსარებით: შევძლებთ იესოს მიღებას, რომელიც ნათლავს წმიდა სულის სიყვარულის ცეცხლით.

# 5 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

# 2016 ორშაბათი

ქს 35,1-10; ფს 84; ლკ 5,17-26

## უთხარით გულშემდრკალთ: „გამაგრდით, ნუ გეშინიათ!“ ეს 35,4

რამდენს ადამიანს ვხვდებით ხოლმე დღის განმავლობაში, რომელთაც სჭირდებათ ნათლისა და გამხნევების სიტყვა! თუკი ადვენტის ამ ჟამს შევძლებთ მოვემზადოთ იესოს უფრო სრულად მისაღებად შობაზე – მისი სიტყვის ბეჯითი სმენით, მასთან ერთად გულითადი კავშირით, ყოველ ნაბიჯზე რომ დავიცავთ – შეგვეძლება ჩვენი ძმებისთვის წმიდა სულით დატვირთული სიტყვების თქმა, საუკუნო სიცოცხლეს რომ აწვდიან.

# 6 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

წმ. ნიკოლოზი, ეპ. †326

## 2016 სამშაბათი

ეს 40,1-11; ფს 95; მთ 18,12-14

**აჰა, მოვა უფალი ღმერთი ძლიერებით** ეს 40,10

მოველით იესოს: მდაბალი და ძლიერი ლოცვით
მოვუხმობთ მის მოსვლას, ვემზადებით, მშვიდი
გულისყურის მოკრებით, მთლიანად რომ უსმენს მის
სიტყვას, ძმებისადმი გულისხმიერი. მოვლენა დიდია:
იესო მოდის, მოვა კვლავაც, სიყვარულის ძლიერებით:
რათა განკურნოს, შეკრიბოს, იხსნას!
მოდი, უფალო იესო, იმედო ჩვენო!

# 7 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II]

წმ. ამბროსი, ეპ. და მოძ., †397 (მ), თ

# 2016 ოთხშაბათი

ეს 40,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

## **მარადიული ღმერთია უფალი** ეს 40,28

ვინც მას ეყრდნობა, ვინც მის ხელთ მიანდობს თავის ცხოვრებას, – გინდ ღარიბი იყოს და გინდ მდიდარი, სნეული თუ ჯანსაღი, ნასწავლი თუ უბირი... – ყოველდღიურად პოვებს ძალასა და სიხარულს, პოვებს მარადილ, ანუ, სავსე სიცოცხლეს.

კვლავაც მოგელით, იესო,
ყოველი ადამიანის ნათელო და სიცოცხლევ!

# 8 დეკემბერი

უმანკოდ ჩასახვა ნეტ. ქალწ. მარიამისა
დდ, [ს], თ

## 2016 ხუთშაბათი

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფ 1,3-6.11-12; ლკ 1,26-38

ქუთაისის საკრებულოს დღესასწაული

**აჰა, მხევალი უფლისა!**
**მეყოს მე შენი სიტყვისამებრ!** ლკ 1,38

დღეს დედას ჩვენსას მივმართავთ „უმანკოს“ ტიტულით: მასში წინსწრებით იმოქმედა იმ გამოსყიდვის მადლმა, რომელიც მის ძეს უნდა მოემოქმედებინა ყველა ჩვენგანისათვის, მშვიდი და მოსავი შვილობის მადლმა. მარიამთან ერთად ჩვენც შეგვიძლია ყოველ წუთს ვუთხრათ მამას: აჰა, მე, მოგენდობი შვილივით; გიძღვნი ჩემს თავს და სასოებით ვღებულობ შენს ნებას!

# 9 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი †1548

# 2016 პარასკევი

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

## ასე ამბობს უფალი, შენი მხსნელი, ისრაელის წმიდა. ეს 48,17

პატარა ჩვილი უკვე არჩევს მამისა და დედის ხმას; წამოიზრდება და ამ ხმებზე იგი მგრძნობიარე გახდება, მორჩილი... ჩვენი სულიც ამოიცნობს მრავალ ხმას შორის იმის ხმას, ვისაც ვუყვარვართ და გვზრდის სიცოცხლესა და სიხარულში. ადვენტის ჟამი სმენის ჟამია, ფაქიზი და სიყვარულით სავსე მოსმენის ჟამი!

# 10 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

# 2016 შაბათი

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

მ. კონსტანტინე საფარიშვილის მოხსენიება (†1973)

## გამოჩნდა ელია წინასწარმეტყველი, როგორც ცეცხლი ზირ 48,1

წმიდა სულს ნებავს შეგვეწიოს ჩვენი გულის იესოს მოსვლისათვის გამზადებაში; აკეთებს ამას რწმენაში ჩვენი თანამორწმუნეების საშუალებითაც, განსაკუთრებით კი ჩვენი სულიერი მამის მიერ: ისინი ჩვენთვის ნამდვილი წინასწარმეტყველები არიან!

# II დეკემბერი

ადვენტის III კვირადღე, «ა», [III], 3

## 2016 კვირა

ეს 35,1-6.8.10; ფს 145; იაკ 5,7-10; მთ 11,2-11

## ცათა სასუფეველში უმცირესიც მასზე უმეტესია მთ 11,11

იესო დიდად აფასებს თავის წინამორბედს: „იგი წინასწარმეტყველზე მეტია“, იტყვის იგი; არადა, დასძენს: „სასუფეველში უმცირესიც კი მასზე დიდია“. არსობრივი ნახტომია: იესოს სიკვდილსა და აღდგომაში ნათლისღებით და წმიდა სულის ნიჭით ბავშვიც კი ღებულობს ღვთიურ წონას: იესოს სხეულის ნაწილი ხდება!

# 12 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

გვადალუპეს ნეტარი ქალწული მარიამი - 1531
(29.XI) წმ.აბიბოს ნეკრესელი, ეპ.,წამ. (VIს.)

# 2016 ორშაბათი

რიცხ 24,2-7.15-17; ფს 24; მთ 21,23-27

## და ღვთის სული გადმოვიდა მასზე რიცხ 24,2

ბალაამი, მოწესრიგებულად დაბანაკებული ისრაელის დანახვაზე ღებულობს წმიდა სულს და წინასწარმეტყველებს ნამდვილი მეფის, იესოს მოსვლას. წმიდა ავგუსტინემ, ჯერ კიდევ უფლისაგან შორს მყოფმა, ევქარისტიაზე შეკრებილი მორწმუნეების დანახვაზე და მათი გალობის მოსმენაზე შეიგრძნო ღმერთის სიტკბოება და მონატრება. რწმენაში თანამოძმეებთან ერთად შეკრებილნი ჩვენცა ვართ უფლის ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნის ნიშანი და ძლიერი იარაღი! მაშ, ნუ დავაკლდებით საკვირაო ევქარისტიას!

# 13 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III] ი

წმ. ლუცია, ქალწ. და წამ., †404 (მ);
(30.XI) წმ. ვახტანგ გორგ.; წმ. პეტრე კათ.; წმ. სამოელ კათ.

## 2016 სამშაბათი

სოფ 3,1-2.9-13; ფს 33; მთ 21,28-32

### დავტოვებ შენს წიაღში თვინიერ და ბეჩავ ხალხს სოფ 3,12

ცოდვის, უსიყვარულობის შემდეგ კიდევ ერთხელ დავაგემოვნე უფლის გულმოწყალება, აღმოვჩნდი უფრო თავმდაბალი, მდუმარე: იმის შეგნებით, რომ ჩემდა თავად ვერაფერს გავხდებოდი, უფრო უფლისაკენ ვიყავი მიქცეული, მეტი გულისყურითა და ძმებისადმი მადლიერებით.
მადლობა, იესო, რომ ჩემი წყვდიადიდანაც შეგიძლია გამოანათო!

# 14 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III] ი

წმ. იოანე ჯვრისა, ხუც. და მოძ., †1591, (მ)

# 2016 ოთხშაბათი

ეს 45,6-8.18.21-25; ფს 84; ლკ 7,19-23

## მე ვარ უფალი, არ არის სხვა ღმერთი ჩემს გარდა ეს 45,21

იოანე ნათლისმცემელმა ამოიცნო იესოში მესია მისი ნიშნების სიყვარულის ყოვლისშემძლეობით: იგი თვალს უხელდა ბრმებს, აცოცხლებდა მკვდრებს... დღესაც ვაღიაროთ, რომ არ არსებობს იმ ღმერთის გარდა, რომელსაც იესო იუწყება ეკლესიაში: კვლავ ამოვიცნობთ მას მისი სიყვარულის ნიშნებიდან, მრავალთ რომ ანიჭებს სიცოცხლეს.

# 15 დეკემბერი

აღვენტის III კვირა [III] ი
(2.XII) წმ. ისე წიღკნელი

# 2016 ხუთშაბათი

ეს 54,1-10; ფს 29; ლკ 7,24-30

## ნუ გეშინია, რადგან არ შერცხვები ეს 54,4

უფლის სიყვარულის სიდიადისა და ჩვენი პასუხის სიმცირის წინაშე, როგორ არ უნდა გავწითლდეთ? მისი გულმოწყალე სიყვარული კი, გვმოსავს, მისი მოტევება განგვაახლებს, მისი ერთგულება გულს გვიმაგრებს, მისი მოსვლა გვანუგეშებს. დიდი სიხარულით, მადლიერებითა და უშიშრად, შეგვიძლია ვუთხრათ მას: ,,მოდი, უფალო იესო!"

# 16 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III] ი

## 2016 პარასკევი

ეს 56,1-3.6-8; ფს 66; იო 5,33-36

## ჩემს სამლოცველო სახლში გავახარებ ეს 56,7

რა თქმა უნდა, უფალი ყველგანაა, მაგრამ ინება განსაკუთრებული სახით ყოფილიყო თავის სახლში, ეკლესიაში, თავის ერთად შეკრებილ ოჯახში: აქაა რომ აღგვავსებს სიხარულითა და ნათლით! აი, რატომაა, რომ იესოსთან შობაზე ახალი შეხვედრისათვის მოლოდინში, გვსურს ვასაზრდოოთ ჩვენში სიყვარული — მოთმინება, კეთილმოსურნეობა, სიმშვიდე — რაც გაგვზრდის ერთობაში. ამას ვაკეთებთ პირველ რიგში ლოცვისადმი ერთგულებით, ოჯახშიც და სამრევლოშიც.

# 17 დეკემბერი

შობის ნოვენის დასაწყისი [ს] ი

წმ.ბარბარა (ნ.მ)

## 2016 შაბათი

დაბ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

## **იაკობის ძენო, ისრაელს, მამათქვენს, უსმინეთ!** დაბ 49,2

იაკობი, როგორც ყოველი მამა დალოცავს შვილებს და უწინასწარმეტყველებს მათ: ხედავს, თავის ძმებს შორის გამორჩეულად ძლიერ იუდას, მაგრამ, წმიდა სული ათქმევინებს მას ისრაელის ნამდვილ ძლიერზე, მომსვლელ მეფეზე, იესოზე. ამგვარად, უფალო, შენ შეურთავ შენს სიტყვებს ადამიანთა სიტყვებს, შენს ღვთიურ სიცოცხლეს, ჩვენს სიცოცხლეს: შენი ნაწილი ვართ, მარადისობიდან რომ მოგვიხმობ, ღმერთო ჩვენო!

# 18 დეკემბერი

ადვენტის IV კვირადღე, «ა», [IV], ი

## 2016 კვირა

ეს 7,10-14; ფს 23; რომ 1,1-7; მთ 1,18-24

### **შობს ძეს და უწოდებ სახელად იესოს** მთ 1,21

იესოს ამქვეყნად, ადამიანად მოსვლისათვის ღმერთმა დავალება მისცა ერთ ქალსა და ერთ კაცს, დედას და მამას: ამგვარ ოჯახს მიანდობს მას. რა თქმა უნდა, შეეძლო ამის გარეშეც და აერჩია, ვინ იცის, რა გზა, მაგრამ არ მოქცეულა ასე. თუკი ჩვენთან-არს-ღმერთმა ინება თავისთვის ასეთი ოჯახი... ალბათ იმიტომ, რომ ეს გზა არის საუკეთესო!

# 19 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

# 2016 ორშაბათი

მსჯ 13,2-7.24-25; ფს 70; ლკ 1,5-25

## ნუ გეშინია, ზაქარია, ვინაიდან შესმენილ იქნა შენი ვედრება ლკ 1,13

ძალზე ლამაზი მონათხრობია დღევანდელი სახარება: ოჯახში ყველაზე პატარას შეუძლია აიღოს სახარება და სთხოვოს მამიკოს წაუკითხოს! ,,ნუ გეშინია,... შესმენილ იქნა შენი ვედრება‘‘. ლოცვა, რომელიც გაისმოდა ტაძარში, ასე ჟღერდა: ,,გაარღვიე ზეცა და გარდმოდი!‘‘. ჩვენი ლოცვა ამბობს: ,,მოდი კვლავ, იესო!‘‘. არ გვეშინია: მამა შეისმენს ჩვენს ვედრებას, ამ შობაზეც!

# 20 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

## 2016 სამშაბათი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ 1,26-38

### მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს ეს 7,14

ამ ნიშანს აუწყებს ღმერთი ესაია წინასწარმეტყველის პირით, აქაზ მეფის ურწმუნობის მიუხედავად: მოულოდნელი ნიშანი, მეტიც, წარმოუდგენელი! ისევე, როგორც წარმოუდგენელია ის საიდუმლო, რომლის აღსრულებისთვისაც ვემზადებით: ჩვენთან-არს-ღმერთის განკაცება. ვინ წარმოიდგენდა, რომ ღმერთი ისურვებდა ჩვენთან ასეთ სიახლოვეს, რომ განკაცდებოდა თავისივე ქმნილების, ერთი ქალის წიაღში? მადლობა, მამაო, რომ გაგვაცანი შენი ესოდენ დიდი სიყვარული. და მადლობა შენ, მარიამ, რომ ერწმუნე ანგელოზის ნათქვამს.

# 21 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

მოხს.: წმ. პეტრე კანიზიუსი, ხუც. და მოძ. †1597

## 2016 ოთხშაბათი

ქებ 2,8-14 ან. სოფ 3,14-18; ფს 32; ლკ 1,39-45

## ნუ გეშინია, სიონ, ნუმც მოგეღლება მკლავი! სოფ 3,16

იოლია, წუთისოფელმა წაგვართვას თავი და მოსწყვიტოს უფლისაგან ჩვენი შინაგანი მზერა... აქედან აღარაფერი უკლია გულგატეხილობამდე და სევდამდე! იესო კი, კვლავაც მოდის, სურს და შეუძლია კიდეც, მოგვანიჭოს ახალი ძალა, ახალი სიხარული! ამ სასოებით ადგილს დავუთმობთ მას ჩვენს ცხოვრებაში!

# 22 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

## 2016 ხუთშაბათი

1მეფ 1,24-28; ფს: 1მეფ 2,1.4-8; ლკ 1,46-55

## **დიდი სიკეთე მიყო ყოვლადძლიერმა** ლკ 1,49

ის-ის იყო, რომ ელისაბედმა გაკვირვებით სავსე სალამი უთხრა მარიამს, რომ მარიამმა, უყოყმანოდ ყველა ხოტბა უფლისაკენ მიმართა. ვისწავლოთ ჩვენი დედისაგან: მადლი შევწიროთ ყველაფრისათვის, ყოველი სუნთქვისათვის, შეყვარების ყოველი უნარისათვის: ყველაფერი, დიახ, სულ ყველაფერი, მამის საჩუქარია!

# 23 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი
წმ. იოანე კენტელი, ხუც. †1473

## 2016 პარასკევი

მალ 3,1-4.23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

### **იოანეა მისი სახელი** ლკ 1,63

ზაქარია და ელისაბედი ერთი აზრისანი არიან: მათი შვილის სახელი იოანეა. დღესაც მშობლები, რომელბიც ერთი რწმენით, ერთი სიტყვით, ერთი პურით საზრდოობენ, ერთობაში არიან: მათი ოჯახი, საკრებულო და მთელი საზოგადოება მადლიერნი არიან მათი!

# 24 დეკემბერი

შობის ვიგილია [ს] ი

(11.XII) ყოველნი წმიდანი, საქართველოში წამებულნი

# 2016 შაბათი

2მეფ 7,1-5.8-12.14.16; ფს 88; ლკ 1,67-79

## გააკეთე ყველაფერი, რაც გულში გაქვს, რადგან შენთანაა უფალი 2მეფ 7,3

და მაშინვე წინასწარმეტყველი შეასწორებს თავის რჩევას; უფალი ელაპარაკა მას, რათა ესწავლებინა მეფისათვის ერთი მნიშვნელოვანი რამ: ყოველ მის წამოწყებას უფლისათვის სიყვარულისა და პატივის მისაგებად, ყოველთვის წინ უსწრებს თავად უფალი! „მე ვიქნები მისთვის მამა და ის იქნება ჩემთვის ძე“. მადლობა, მამაო: სიხარულით ვღებულობ ჩემს სიმცირეს და მოველი შენი გულიდან ნამდვილ საჩუქარს: იესოს!

# 25 დეკემბერი

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი

2016 კვირა

ღამის წირვა: ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14
დღის წირვა: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

## სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენს შორის იო 1,14

დაემკვიდრა: ღმერთი გამვლელი აღარაა, ადამიანის სტუმარი აღარაა, და აღარც რომელიმე ტაძარშია გამომწყვდეული, რაოდენ წმინდაც არ უნდა იყოს ეს სალოცავი. იგი „ჩვენს შორის მკვიდრობს“: ჩვენ, თითოეული და ყველა ერთად, მისი წუთისოფელში ყოფნა ვართ. ჩვენ მოვემზადეთ მის მისაღებად, და ახლა ვანებებთ, იმოქმედოს. რას იზამს? გარდაგვქმნის, გაგვაგონიერებს, ძმათა მიმართ მოთმინებას, კეთილ-მოსურნეობას, ყურადღებას მოგვანიჭებს, მშვიდნი და გაბედულნი ვიქნებით, უძლურთა შეყვარებით გახარე-ბულნი და მოხარულნი მიტევებისას!

# 26 დეკემბერი

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

# 2016 ორშაბათი

საქ 6,8-10.12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის საკრებულოს დღესასწაული

## მოგიძულებთ ყველა ჩემი სახელის გამო

მთ 10,22

გუშინ ვიზეიმეთ მამის საჩუქარი, იესო, ემანუელი, ჩვენთან-არს-ღმერთი; დღეს მადლობას ვუძღვნით წმიდა სტეფანეს, რომელმაც პირველმა გვიჩვენა, თუ რა დონემდეა შესაძლებელი ამ საჩუქრისადმი ერთგულება. წმიდაო სტეფანე, ჩვენთვისაც ევედრე მადლი, ვიყოთ იესოს ნამდვილი მოწმენი!

# 27 დეკემბერი

წმ. იოანე, მოც. და მახარ., დ, [ს], თ

## 2016 სამშაბათი

1იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

### სამარხიდან წაუღიათ უფალი იო 20,2

ტილოში გახვეულ და ბაგაზე მიწოლილ ჩვილს დღეს ვხედავთ, როგორ გაზრდილა, ტილოში გაუხვევიათ და სამარხში დაუწვენიათ. მაგრამ ეს ტილოები დაცარიელებულა, დაჩუტულა, დარჩენილა იმის ნიშნად ვინც მათში იყო გახვეული და ვინც ჭეშმარიტად აღდგა; არავის წაუღია მისი გვამი: მან თავად სძლია სიკვდილს, რაკი იგია ,,მამასთან მყოფი სიცოცხლის სიტყვა'', როგორც გვიმოწმებს წმიდა იოანე, მისი საყვარელი მოწაფე.

# 28 დეკემბერი

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი
დ, [ს], წ

# 2016 ოთხშაბათი

1იო 1,5 - 2,2; ფს 123; მთ 2,13-18

## თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, თავს ვიტყუებთ 1იო 1,8

მძიმე ცოდვა გახდა წმიდა უდანაშაულო ჩვილთა წამებისა და მრავალი ოჯახის გლოვის მიზეზი, ჰეროდეს ცოდვა, თავისი ტახტის შენარჩუნებას რომ ცდილობდა. არამხოლოდ დავგმოთ, არამედ ვაღიაროთ კიდეც, რომ ცოდვა მუდამ ჩასაფრებულა ჩვენს გულებშიც და კვლავაც გვძლევს ხოლმე.

იესო, უდანაშაულო კრავო, რომელიც შენს სისხლთან აკავშირებს ცოდვის მრავალ უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლს, განგვწმიდე, გაგვაძლიერე, გვაქციე შენს მოწმეებად!

წმიდა ჩვილნო ბეთლემისანო, ილოცეთ ჩვენი ოჯახებისთვის!

# 29 დეკემბერი

შობის რვადღეულის V დღე [ს] თ

მოხს.: წმ. თომას ბეკეტი, ეპ. და წამ. †1170

# 2016 ხუთშაბათი

Iიო 2,3-11; ფს 95; ლკ 2,22-35

## აჰა, წევს იგი მრავალთა დამამხობლად და აღმადგინებლად ლკ 2,34

ჩვილო იესო მარიამის მკლავებში, ჩვილო იესო სიმეონის მკლავებში: შენა ხარ ყოველთა მაცხოვარი, ნათელი ყოველი ადამიანის გამნათებელი და სიცოცხლის მომნიჭებელი! რატომა ხარ დამამხობლად და აღმადგინებლად? იმიტომ, რომ შენი მტერი კვლავაც მოქმედებს, არ ისვენებს... ჩვენც ვიმოქმედებთ, ვილოცებთ  ერთად და მარტონი, გავირჯებით და ტანვასაც ავიტანთ: გვსურს, რომ შენი მოსვლა, შენი მსხვერპლი არ იყოს ამაო არცერთი ადამიანისათვის!

# 30 დეკემბერი

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «ა» [ს] თ

# 2016 პარასკევი

ზირ 3,2-6.12-14 ან, კოლ 3,12-21; ფს 127; მთ 2,13-15.19-23

გორის საკრებულოს დღესასწაული

## როგორც უფალმა მოგიტევათ, თქვენც ასევე მიუტევეთ ერთმანეთს კოლ 3,13

ზუსტად სადღეისოა ლიტურგიის ეს სიტყვები! როგორ შეძლებს ოჯახი თავის თავის შენარჩუნებას, ანუ, სიყვარულით დაკავშირებული ადამიანების ერთობად ყოფნას, თუ არა ურთიერთმიტევებით? არა ერთხელ, ათჯერ, ან ასჯერ, არამედ მუდამ. სიყვარულია ოჯახის საძირკველი, ხოლო მიტევება, ამ სიყვარულის ერთერთი სახე, ამ საფუძვლის არმირებული ბეტონია: ის არასოდეს შეირყევა! იესოს წმიდა ოჯახო, გიმზერთ შენ როგორც ღმერთის ჩანაფიქრს, ანუ, მისაბაძ ნიმუშს!

# 31 დეკემბერი

შობის რვადღეულის VII დღე [ს] თ

წმ. სილიბისტრო I, პაპი †335

# 2016 შაბათი

1იო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

## იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გა-ანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად

იო 1,9

წლის ბოლოც დაგვიდგა. ამ წელიწადში განვიცადეთ სიხარულიც და ტანჯვაც, სირთულის წუთებიც და სიმშვიდისაც; წუთები, როცა ხელით შევეხეთ უფლის სიყვარულით სავსე ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნას, და წუთები, როცა გვეგონა, რომ ის სხვაგან იყო. მაგრამ, ვუწყით, რომ იგი არასოდეს არაა სხვაგან: ამ ნათელმა, რომელიცაა თავად იგი, გაგვითენა და გაგვინათა ამ წლის 365-ვე დღე. მაშ, ვუთხრათ მას: „მადლობა! მადლობა, რაკი ამ შუაღამის შემდეგაც არ მიმატოვებ!“.